

კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი

ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ პაპავა

**ცენტრალური კავკასია:
გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები**



ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ პაპაეა

ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები

კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი

მთარგმნელი ნანა კაციტაძე

© კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი, 2007

ყველა უფლება დაცულია

პირველი ქართული გამოცემა, 2007

ISBN 978-99940-926-5-9

გამომცემლობა „დიოგენე“
თბილისი, კეკელიძის ქ. 6
ტელ. 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71
www.diogene.ge

მონოგრაფიაში გამოკვლეულია კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, გაანალიზებულია ძირითადი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციები გლობალიზაციის პირობებში. მოცემულია კავკასიის ეკონომიკური სივრცის ძირითადი პარამეტრების შედარებითი შეფასება, გამოკვეთილია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი, მათი კავშირი ერთმანეთთან და საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებებთან.

წიგნი გათვალისწინებულია კავკასიის, ახალი რეგიონალიზმისა და გარდამავალი ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებული მეცნიერების, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და პრაქტიკული მუშაკებისათვის.

სარჩევი

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

ალექსანდრე რონდელი 7

ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა

ს. ფრედერიკ სტარი 11

შესავალი

ელდარ ისმაილოვი და ელადიმერ ქაპაჯა 21

შენიშვნები 25

ნარკვევი 1. ცენტრალური კავკასიის ინტეგრაციისა და კონცეფციის შესახებ

ელდარ ისმაილოვი

1.1. საკითხის ისტორია 27

1.2. კავკასიური ინტეგრაციის მოდელები 30

1.3. „კავკასიის“ ცნების შესახებ 34

1.4. ცენტრალურ კავკასიაში ეკონომიკური ინტეგრაციის
პოლიტიკური წინამძღვრები 39

შენიშვნები 47

ნარკვევი 2. კავკასიის ინტეგრირებულ ზონის შესახებ

ელდარ ისმაილოვი

2.1. მოკლე ისტორიული ექსკურსი 49

2.2. კავკასიის ინტეგრირებულობის თანამედროვე მდგომარეობა 59

2.3. საერთაშორისო ინტეგრაციის სახეობები და კავკასია 68

შენიშვნები 74

ნარკვევი 3. ცენტრალური კავკასია: გლობალიზაცია და რეგიონალიზმი

ელდარ ისმაილოვი

3.1. გლობალიზაცია და რეგიონალიზმი 75

3.2. რეგიონალიზმი პოსტსაბჭოთა სივრცეში 79

3.3. „ახალი რეგიონალიზმი“ 86

3.4. ცენტრალური კავკასია მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში
და რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტიული მიმართულებები 94

შენიშვნები 106

ნარკვევი 4. კავკასიის ეკონომიკური სივრცის ძირითადი პარამეტრები

ელდარ ისმაილოვი

4.1. კავკასიის ეკონომიკური სივრცის შესახებ109
4.2. ცენტრალური კავკასია110
4.3. ჩრდილოეთ კავკასია117
4.4. სამხრეთ კავკასია124
4.5. კავკასიის ეკონომიკური სივრცის პარამეტრების შედარებით ანალიზი127
4.6. კავკასია სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნების სისტემაში132
შენიშვნები138

ნარკვევი 5. ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის თავისებურებანი

ვლადიმერ პაპაეა

5.1. პოსტკომუნისტური ტიპის ეკონომიკის ბუნების შესახებ140
5.2. ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის შესახებ152
შენიშვნები157

ნარკვევი 6. ეკონომიკური ურთიერთობანი ცენტრალურ კავკასიაში

ვლადიმერ პაპაეა

6.1. სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორობისა და რეგიონული
კლასტერის ჩამოყალიბების შესაძლებლობები159
6.2. ცენტრალური კავკასია, როგორც სატრანსპორტო-ენერგეტიკული პაზი170
6.3. საერთაშორისო ფაქტორები ცენტრალური კავკასიის ქვეყნების
ეკონომიკურ განვითარებაში176
შენიშვნები192
ლიტერატურა198

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი მსოფლიოს პოლიტიკურად ყველაზე „სეის-მური“ რეგიონის პრობლემებს მიეძღვნა. სსრკ-ს დაშლამ მსოფლიოს გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკაში ტექტონიკური ძვრები გამოიწვია. პოსტიმპერიულ-პოსტსაბჭოურ სივრცეში ახალმა ქვეყნებმა დაიწყეს ჩამოყალიბება. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების პოზიციებიდან დანახული და ამ ინტერესებიდან გამომდინარე შიდასაკავშირო დარაიონება აქტუალური აღარ არის, რადგან ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში თავიანთი იდენტიფიკაციისა და როლების პოვნასა და დამკვიდრებას ცდილობენ. ახალი პოლიტიკური წყობისა და საბაზრო ეკონომიკის შექმნა ამ ქვეყნებში გლობალურ პროცესებსა და სტრუქტურებში ინტეგრირებასაც გულისხმობს. ძველი „რეგიონული აზროვნება“ ახლით იცვლება, უწინდელი შიდასაკავშირო დარაიონების მაგივრად პოსტსაბჭოურ სივრცეში რეგიონების ახლებურად გაცნობიერება ხდება, რაც სსრკ-ს ეკონომიკური დარაიონების „პროკრუსტეს სარეცელსა“ და ტრაფარეტებს სცილდება, ახალ შინაარსსა და ფორმებს იღებს. ყოველი ახალი პოსტსაბჭოური სახელმწიფო უკვე ვითარდება არა როგორც უზარმაზარი ტოტალიტარული იმპერიის ნაწილი, არამედ როგორც საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ორგანული კომპონენტი.

როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ასევე სხვა ქვეყნებშიც ექსპერტები ცდილობენ, ახლებურად მოიაზრონ პოსტიმპერიული

სივრცე, მისი სტრუქტურები და პროცესები და იქ მიმდინარე მოვლენები ძირეულად შეცვლილ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ კონტექსტს მიუსადაგონ. რუსეთის ფედერაციაში ბევრი ინერტობა ამ ქვეყნის ადგილისა და როლის შესახებ გლობალურ ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ბევრი რუსი ექსპერტი ცდილობს პოსტსაბჭოური სივრცის იმგვარად წარმოჩენას, რომ გაამართლოს ამ ქვეყნის ნეოიმპერიული ზრახვები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი გავლენის სფეროს შექმნას, არამედ პოსტსაბჭოური სივრცის რუსეთის „თამადაობით“ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას გულისხმობს.

პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში თავის მხრივ ყალიბდება საკუთარი შეხედულებები და კონცეფციები პოსტიმპერიულ სივრცეში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების, უსაფრთხოების რეგიონული კომპლექსების ჩამოყალიბების, რეინტეგრაციული და დეზინტეგრაციული პროცესების თაობაზე. ამასთან, ხდება ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და რეგიონული მოვლენებისა და პროცესების გათვალისწინებით ეროვნული უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების კონცეფციების შემუშავება. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია მეცნიერთა შეხედულებები ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების არსსა და მათი გადაჭრის გზებზე.

აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში ასობით ექსპერტს შეაქვს საკუთარი წვლილი თავიანთი ახალგაზრდა სახელმწიფოების სტარტეგიული კულტურის განვითარება-დახვეწაში, საგარეო და საშინაო პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარებაში. ხაზგასმით მისასაღმებელია, როცა სხვადასხვა, განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების მეცნიერები თანამშრომლობენ და საერთო ხედვებისა და კონცეფციების გენერატორებად გვევლინებიან.

ეს წიგნი სწორედ ამგვარი სასიხარულო პროცესის ნაყოფი და მეზობლების, საქართველოსა და აზერბაიჯანის ნამყვანი ექსპერტების პროფესიული თანამშრომლობის მეტად საყურადღებო შედეგია.

ავტორები კავკასიის რეგიონის საკუთარ ხედვასა და კონცეფციას გვთავაზობენ. მათი მცდელობა განსაკუთრებით საყურადღებოა რეგიონის სახელმწიფოთა არაერთნაირი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ორიენტაციისა და სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით. „ცენტრალური კავკასიის“ კონცეფცია წიგნში ოსტატურადაა არგუმენტირებული. ჩვენი რეგიონი საბჭოთა კავშირში „ყოფნის“ დროსაც კი არ იყო სერიოზულად ინტეგრირებული, თუმცა „ამიერკავკასიის მსხვილი ეკონომიკური რაიონი“ ერქვა. იგი ეკონომიკურად მაინც რომ ყოფილიყო საკმარისად „შედულებული“, საეჭვოა, რომ ამდენი კონფლიქტის კერა გამხდარიყო.

პოსტიმპერიულ სივრცეში რეგიონული თანამშრომლობის გარეშე ძნელია სტაბილურობის, რეგიონული უსაფრთხოებისა და ჭეშმარიტი ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა. ჩვენ რეგიონში თანამშრომლობის საკმარისად დიდი პოტენციალი არსებობს, რომელიც ბევრი მიზეზის გამო ვერ იქნა რეალიზებული. ამგვარი ვითარება ხელს არ უწყობს რეგიონის განვითარებას, მის მიმზიდველად ქცევასა და იმიჯს. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი რეგიონული თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება.

ამ თავალსაზრისით საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. იმედია, რომ პერსპექტივაში რეგიონის სამივე ქვეყნის რეგიონული თანამშრომლობის პოტენციალი უფრო მეტად და კომპლექსურად იქნება რეალიზებული.

პროფ. ელდარ ისმაილოვისა და პროფ. ვლადიმერ პაპავას წიგნი არა მხოლოდ ხსენებული პოტენციალის რეალიზების საუკეთესო

მაგალითია, არამედ მეტად საყურადღებო ნაშრომია ყველასათვის, ვინც კავკასიის რეგიონისა და მასში შემავალი ახალგაზრდა სახელმწიფოების პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარების პრობლემატიკაში, ასევე ამ უაღრესად მრავალფეროვანი და რთული რეგიონის პერსპექტივებში გარკვევას მოინდომებს.

ალექსანდრე რონდელი
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა

დღევანდელი მსოფლიოს რეალებს რომ ჩვენვდეთ, ანალიტიკური აზროვნების და წარმოსახვის უნარია საჭირო. ორივე ეს თვისება ახასიათებთ ამ წიგნის ავტორებს – ელდარ ისმაილოვა და ვლადიმერ პაპავას. მათ სცადეს გადაენწყვეტათ ის საკითხები, რომლებსაც მკვლევართა და ანალიტიკოსთა უმრავლესობა თავს არიდებს. ავტორთა მიზანია, ახლებურად გაიაზრონ კავკასიის რეგიონის ისტორია, გაერკვნენ, აქვს თუ არა რეგიონს ან მის ცალკეულ ნაწილებს საკმარისი პოტენციალი საიმისოდ, რომ ახალ ეკონომიკურ სივრცედ იქცეს, და თუ აქვს, რა სახისაა იგი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორებმა კავკასიის, როგორც რეგიონის ხელახალი კონცეპტუალიზაციის ამოცანა დაისახეს.

ანალიზის დროს ელდარ ისმაილოვი და ვლადიმერ პაპავა ცდილობენ, სიცხადე შეიტანონ იმ სიტყვებისა და გეოგრაფიული ტერმინების შინაარსში, რომლებიც საყოველთაო მნიშვნელობით იხმარება. კერძოდ, მათ შეძლეს გაეშუქებინათ რუსული იმპერიული ტერმინის, „ამიერკავკასიის“ შინაარსი, რომელიც, მათი აზრით, დასაბამს იღებს არა კავკასიის სახელწოდებიდან, არამედ რუსეთიდან. შემდეგ ისინი სვამენ კითხვას, აქვს თუ არა რაიმე კავშირი საყოველთაოდ მიღებულ ტერმინ „სამხრეთ კავკასიას“ მათ წინაშე დასახულ ამოცანასთან. არგუმენტების გამოყენებით ისინი დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ არა აქვს. ამ ტერმინის სანაცვლოდ კი გვთავაზობენ ორ ახალ ტერმინს: „ცენტრალური კავკასია“, რომელიც რეგიონის ახალ სახელმწიფოებს – სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს მოიცავს, და „სამხრეთ კავკასია“, რომელიც, შესაბამისად, ირანისა

და თურქეთის კონტროლს დაქვემდებარებული აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებისაგან შედგება. ავტორები ახლანდელი მნიშვნელობით ტოვებენ ტერმინს „ჩრდილოეთ კავკასია“, თუმცა თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევენ მას და განიხილავენ ამ ტერმინს უფრო მსხვილი რეგიონის კონტექსტით.

სულ რამდენიმე პარაგრაფში ორი კავკასიელი მეცნიერი ეგონომისტი რეგიონის მენტალური რუკის შეცვლას ახერხებს! ეს მათი ახირება როდია, თუმცა ორივე დახვეწილი იუმორის გრძნობით გამოირჩევა. ზემოთ აღნიშნული ტერმინებით უბრალო ოპერირების ნაცვლად ავტორები ზედმინევენით აანალიზებენ სამივე რეგიონს პოლიტიკის, ბუნებრივი რესურსების, ეკონომიკური პოტენციალისა და ადამიანისეული რესურსების თვალსაზრისით. მათ მიერ შემოთავაზებული რუკა დამაინტრიგებელ ხასიათს ატარებს. ჩრდილოეთ კავკასია მთელი კავკასიის ტერიტორიის ნახევარზე მეტს მოიცავს და ეთნიკური და პოლიტიკური ფრაგმენტაციით, განკერძოებულობით, კონფლიქტურობის მაღალი დონით ხასიათდება. (ახალ) სამხრეთ კავკასიაში სიტუაცია კიდევ უფრო დამთრგუნველია, ვინაიდან ეს რეგიონი განვითარების შენელებული ტემპით გამოირჩევა.

განა შემთხვევითად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში შენელებულ განვითარებას თან სდევს ის ფაქტი, რომ აქ არ არსებობს თვითმმართველობა? ელდარ ისმაილოვი და ვლადიმერ პაპავა თვლიან, რომ არა. ისინი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ თვითმმართველობა (რომელსაც ისინი დემოკრატიასთან ათანაბრებენ) მნიშვნელოვანია არა მარტო ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, არამედ კორუფციის აღკვეთისთვისაც, ასე ფართოდ რომ არის გავრცელებული კავკასიის სამივე ნაწილში. მათი ვარაუდით, „გარედან“ მართვა, რუსეთის,

თურქეთისა თუ ირანის მხრიდან იქნება ეს, შეუთავსებელია კავკასიაში ეფექტიანად მოქმედი ეკონომიკური სივრცის წარმოქმნასთან. ამიტომ ავტორებს არა აქვთ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ძირითადად ცენტრალური კავკასიის, ანუ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ანალიზი მოახდინონ.

ანალიზის ამ ეტაპზე ავტორების წინაშე რეგიონის ისტორიის პრობლემა დგას. შეიძლება მათ მიერ განხორციელებული ანალიზის თვალსაზრისით ეს პრობლემა ყველაზე რთულიც კი იყოს. ყველაფერ ამასთან ერთად რეგიონის ისტორია იძლევა არგუმენტების ამა თუ იმ იდეის სასარგებლოდ გამოყენების საშუალებას, რომლებიც ხშირად ეწინააღმდეგება დასახულ ამოცანას. საბედნიეროდ, ავტორებმა მოახერხეს შედარებით უმტკივნეულოდ დაეძლიათ XVIII საუკუნემდე რეგიონის ათასწლოვანი ისტორიის ანალიზის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები. ჩემი ღრმა რწმენით, მათ წარმატებით დააღწიეს თავი იმპერიების, სახელმწიფოებისა და ციხესიმაგრეების „ულრან ტყეს“, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წიგნი მკითხველის სამსჯავროზე ვერ წარსდგებოდა.

ანალიზის პროცესში ელდარ ისმაილოვი და ვლადიმერ პაპავა ისტორიული პროცესისადმი სწორი მიდგომით ხელმძღვანელობდნენ. ისინი სვამენ კითხვას: არსებობდა კი მთლიანად კავკასიაში, ან მის შემადგენელ რომელიმე ნაწილში ინტეგრაციული პროცესები? სავსებით ბუნებრივია, რომ ავტორები ყურადღებას მიაპყრობენ შეიხ შამილის ეპოქას, რომელიც 1834-1859 წლების პერიოდში ამაოდ ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიის ინტეგრირებას ეთნიკური პრინციპისა და რელიგიის საფუძველზე. ამგვარადვე პრობლემურად გამოიყურება სამხრეთ კავკასიაში ინტეგრაციის პროცესი XIX საუკუნის ამირების დროს. სანამ საბჭოთა პერიოდის ფაზაზე და პოსტსაბჭოთა ეპოქის პირველ წლებზე გადავლენ, ავტორები ისტო-

რიულ ტენდენციებს გამოკვეთენ და დღემოკლე ამიერკავკასიის ფედერაციის (1922 წელი) ანალიზზე გადადიან. კავკასიის ისტორიის ბოლო მონაკვეთის შესახებ მსჯელობა მეტად საინტერესოა მკითხველისათვის. იგი უთუოდ დაინტერესდება კომენტარებით საბჭოთა კავშირს, თურქეთსა და ირანს შორის იმ არაფორმალურ შეთანხმებათა თაობაზე, რეგიონი შემდგომი სამი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გათიშულად არსებობისათვის რომ განირეს.

მთლიანად ისტორიული გამოცდილება არცთუ უხვად სთავაზობს სტიმულს იმათ, ვინც დღეს რეგიონული ან თუნდაც სუბრეგიონული ინტეგრაციის რომელიმე ფორმას და კერძოდ, გარედან კი არა, შიგნიდან ინტეგრაციას ემხრობა. ავტორები აღიარებენ ამ გარემოებას და უმთავრეს ყურადღებას მიაპყრობენ ზემოხსენებულ სამ ქვეყანას, რომლებიც ახალი სახელწოდების რეგიონის – «ცენტრალური კავკასიის» ბირთვის შეადგენენ. ამ წიგნის ყველაზე ურთიერთსაპირისპირო მომენტები, ავტორთა აზრით, ის გარემოებაა, რომ სომხეთი ორი ათწლეულის განმავლობაში ცენტრალური კავკასიის სხვა ქვეყნებისგან იზოლაციაში იქცევის თავს და კარგავს შესაძლებლობას, გახდეს ახალი ცენტრისკენული ძალის ნაწილი, ასე განუხრელად რომ მსჭვალავს რეგიონს. ამან განსაკუთრებით ცხადად იჩინა თავი, როცა სომხეთმა უარყო გორბაჩოვის უიმედო მცდელობა, ხორცი შეესხა საერთო «კავკასიური სახლის» იდეის განხორციელებისათვის. სომხეთი თავს დაესხა აზერბაიჯანის ყარაბაღის პროვინციას და აზერბაიჯანის ტერიტორიის მეზუთედი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა, მხარი დაუჭირა ადგილობრივ სომეხ სეპარატისტებს საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ბოლო დრომდე სომხეთი, როგორც ელდარ ისმაილოვი და ვლადიმერ პაპავა ამტკიცებენ, «ცენტრალურ კავკასიაში ინტეგრაციული პროცესებისგან კვლავაც თვითიზოლაციაში იმყოფება».

რეგიონში ახალი ცენტრისკენული ძალები, როგორც ეს ნიგნის ავტორებს წარმოუდგენიათ, აზერბაიჯანისა და საქართველოს საერთო ინტერესების ურთიერთგაგებიდან წარმოიქმნება. ავტორები თავიანთ კონცეფციას იმაზე აგებენ, რომ საქართველო რეგიონში ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ეკლესიას განასახიერებს, მაშინ როცა, აზერბაიჯანი ის ადგილია, საიდანაც ირანის შიიტურ ისლამში გადასვლის პროცესი დაიწყო. ავტორთა აზრით, გვერდზე უნდა გადაიდოს ეროვნული და რელიგიური იდენტურობა, როგორც რეგიონში კონფლიქტების ძირითადი მიზეზი, რომელიც რელიგიებისა და ეთნოსების მოზაიკად გვევლინება. ამჟამად ცენტრალურ კავკასიაში ეკონომიკური და ზოგადი ინტერესები ეთნიკურ და რელიგიურ ინტერესებზე პრევალირებს.

შთამბეჭქდავია აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის თანამშრომლობასა და მეგობრულ ურთიერთობაში მიღწეული წარმატებები. ამის ფონზე გამაოგნებელია სომხეთის პოლიტიკის წარუმატებლობა, რომელიც ამ ქვეყანას საშუალებას არ აძლევს, ცენტრალურ კავკასიაში მიმდინარე ეკონომიკურ პროექტებს შეუერთდეს. რა თქმა უნდა, სომხეთის ეკონომიკას დიდი პოტენციალი აქვს, განსაკუთრებით ბუნებრივი და ადამიანისეული რესურსების თვალსაზრისით. მაგრამ, მთლიანი შიგა პროდუქტის ან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (საერთო ან მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით) თვალსაზრისით, სომხეთი ჩამორჩება თავის მეზობლებს. ამასთან, ეს ჩამორჩენა გამუდმებით მატულობს. საქართველოს ეკონომიკას ასევე ახასიათებს ცალკეული უარყოფითი გადახრები, განსაკუთრებით ინვესტიციების სფეროში. და მაინც, სომხეთმა საქართველოს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში (1996 წლის შემდეგ) გაუსწრო უცხოური ინვესტიციების მოცულობის მიხედვით. გავრცელებულია აზრი, რომ სომხეთის

ერთადერთი აქტივია მისი ბუნებრივი რესურსები, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სომხური დიასპორის მხრიდან დახმარება. ამ ნიგში მოყვანილი ფაქტები ამ თვალსაზრისს არ ადასტურებს.

ამ გამოკვლევის ცენტრალური პუნქტია თეზისი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ცენტრალურ კავკასიას (სასურველია, თუმცა არ არის აუცილებელი, სომხეთთან ერთად) გახდეს არა მარტო რეგიონის „ბირთვი“, არამედ სავაჭრო კვანძი ან სულაც ეკონომიკური „ჰაბი“. ავტორთა აზრით, „ჰაბი“ თავის თავში მოიცავს რეგიონის სატრანსპორტო არტერიების გადაკვეთას, ძირითად ფინანსურ ინსტიტუტებსა და სტრუქტურებს მეცნიერების, ტექნოლოგიების და განათლების სფეროში. აზერბაიჯანი და საქართველო ამ განსაზღვრების შესაბამის ყველა ნიშანს ავლენენ. საკვანძო გარემოებაა ის, რომ სომხეთის გარეშეც ორივე ქვეყანა დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ვექტორზე კონტინენტური სატრანსპორტო გადაზიდვისა და ვაჭრობის ძირითად არტერიებს მოიცავს. ამ პროცესში სომხეთის ჩართვით ცენტრალური კავკასიის ორგანიზაციული და ინტეგრაციული შესაძლებლობანი კიდევ უფრო გაიზრდება.

ნიგში დანვრილებითაა ჩამოყალიბებული სატრანსპორტო და სავაჭრო არტერიების გამოყენების ასპექტები, დამაჯერებლად იკვეთება ამ არტერიების უმნიშვნელოვანესი როლი არა მარტო რეგიონის, არამედ მეზობლების – რუსეთის, თურქეთის, ირანისა და ცენტრალური აზიის, აგრეთვე ამ რეგიონისგან დაშორებული დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ჩინეთისა და ინდოეთის სუბკონტინენტის ცხოვრებაში.

პრობლემის მნიშვნელობის გათვალისწინებით გარდაუვალია, რომ სხვადასხვა გარეშე ძალები ეცდებიან, ცენტრალური კავკასია გარედან, თავიანთი საკუთარი ნარმოდგენებით მოაწყონ, ჩართონ იგი უფრო ფართო პოლიტიკურ არეალში, რომელსაც დაინტერე-

სებული მეზობლები აკონტროლებენ. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, სუამთან, ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციასთან, ნატოსთან და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან ცენტრალური კავკასიის ურთიერთობის სისტემატური ანალიზი შეიძლება ამ ნიგნის არცთუ ყველაზე საინტერესო ნაწილად მოგვეჩვენოს. მაგრამ მნიშვნელოვანი იყო რეგიონში მოქმედი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების ბუნების ყოვლისმომცველი გაგების ჩამოყალიბება. ავტორები გვთავაზობენ, რომ რეგიონის რუკას სხვადასხვა, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი პოზიციებიდან შევხედოთ.

ნიგნში რუსეთი ცენტრალური კავკასიის რეგიონალურ ჰაბად გადაქცევის გეგმებისადმი ძირითად საფრთხედ გვევლინება. ელდარ ისმაილოვი და ვლადიმერ პაპაევა არ მალავენ თავიანთ მოსაზრებას, რომ რუსეთი ჯერ კიდევ ცდილობს იმპერიის აღდგენას. „ლიბერალური იმპერიის“ თაობაზე ანატოლი ჩუბაისის სიტყვებს ისინი ჩვეულებრივ რიტორიკად მიიჩნევენ. ავტორები დარწმუნებული არიან, რომ რუსეთი, თუმცა ახალი ლიბერალური იმპერიის შესაქმნელად ძალის გამოყენებისაგან თავს იკავებს, მაგრამ სრულიად უწყოყმანოდ მიმართავს მას ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც კი ეს იმპერია შეიქმნება. ავტორები სკეპტიკურად ეკიდებიან ირანსაც, რომელსაც აზერბაიჯანისა და საქართველოსათვის საფრთხედ მიიჩნევენ. ამ მიზეზის გამო ისინი სიფრთხილეს იჩენენ საქართველოსა და სომხეთის გადამკვეთი რუსეთ-ირანის სავაჭრო მარშრუტის შეფასებაში და მთლიანად უპირატესობას დასავლეთ-აღმოსავლეთის მარშრუტს ანიჭებენ, რომელიც ევროკავშირს ჩინეთთან და ინდოეთთან აკავშირებს. აქ შეიძლება სამართლიანად დაიბადოს კითხვა: განა რუსეთი და ირანი, როგორც გაზის ძირითადი მიმწოდებლები,

საბოლოო ანგარიშით, ერთმანეთის კონკურენტები არ არიან? და ხომ შეიძლება, რომ ამ გარემოებამ ხელი შეუშალოს მათ, ერთიანი ფრონტით გაილაშქრონ რეგიონალურ შაბად ცენტრალური კავკასიის გადაქცევის წინააღმდეგ?

ვლადიმერ პაპავა, ცნობილი და აღიარებული ქართველი ეკონომისტი და ქვეყნის ყოფილი ეკონომიკის მინისტრი, და ელდარ ისმაილოვი, თვალსაჩინო აზერბაიჯანელი ეკონომისტი და არაორდინარული მეცნიერი ბაქოდან, ერთუზიანებით უყურებენ ცენტრალური კავკასიის განვითარების პერსპექტივებს. ამასთან, ისინი შორს არიან პრობლემისადმი გულუბრყვილო მიდგომისაგან. ერთი სიტყვით, მათ მკაფიოდ აქვთ გააზრებული, რომ ორივე ქვეყანა, აგრეთვე სომხეთი და რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ჩრდილოეთ კავკასია იტანჯებიან მასობრივი კორუფციით და იმით, რასაც ეკონომისტმა ადამ ლიპოვსკიმ საბჭოთა მმართველობისგან მემკვიდრეობად დატოვებული „მცდარი გზით განვითარება“ უწოდა. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორი ვლადიმერ პაპავა ამ საკითხის შესახებ შთამბეჭდავი ნაშრომის, „ნეკროეკონომიკის“¹ ავტორია.

ორი ქვეყნის ეკონომიკის „ცოცხალ“ ეკონომიკად გადაქცევისათვის ავტორები ფუნქციონალური დემოკრატიული ინსტიტუტების აქტიურ განვითარებას გვთავაზობენ. წიგნში დამაჯერებელი არგუმენტებია მოყვანილი ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ და გამოვლენილია ამ მიზნის მიღწევის გზაზე არსებული დაბრკოლებანი. ეს დაბრკოლებანი იმდენად სერიოზულია, რომ იბადება კითხვა: „რა მოხდება, თუ ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოები ვერ შეძლებენ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას?“ სულის სიღრმეში ოპტიმისტები, ელდარ ისმაილოვი და ვლადიმერ პაპავა ამ კითხვაზე პირდაპირ

¹ Vladimer Papava, *Necroeconomics: the Political Economy of Post-Communist Capitalism*, New York, iUniverse, 2005.

პასუხს არ იძლევიან. ამასთან, მათ მიერ მოყვანილი ფაქტები გულისხმობს, რომ ამის ალტერნატივა შეიძლება იყოს წარსულის გადმონაშთების, ფრაგმენტაციის, კორუფციისა და განუვითარებლობის დაბრუნება. ამგვარი შედეგი არახელსაყრელი იქნებოდა მეზობელი ქვეყნებისთვისაც, რომლებთაც თავიანთი გეოგრაფიული კონტროლისა და ჰეგემონიის გაფართოებით მათ მხოლოდ მოკლევადიანი სარგებლობის მიღების შესაძლებლობა მიეცემათ. ამავდროულად ეს მარცხი იქნებოდა ევროკავშირის, ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისთვისაც. თუ რაიმე გარემოება ხელს შეუშლის ცენტრალური კავკასიის, როგორც კონტინენტური ჰაზის, განვითარების გეგმების რეალიზაციას, ეს იქნება ევრაზიის სივრცის დამაკავშირებელი კონტინენტური ხიდის აგებისათვის განუვლი ძალისხმევის კრაზი. ასეთ შემთხვევაში დანაკარგის ფასის დადგენა შეუძლებელი იქნება.

ს. ფრედერიკ სტარი

პროფესორი, ჯონს ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტისა და აბრეშუმის გზის შესწავლის პროგრამის ხელმძღვანელი
ვაშინგტონი და უფსალა

ვერ კიდევ ცოტა ხნის წინათ კავკასია სსრ კავშირის ერთიან პოლიტიკურ სივრცეში შედიოდა, ახლა კი სხვადასხვა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთმოქმედების ასპარეზად იქცა (მაგალითად, MacFarlane, 2004, Yalowitz, and Cornell, 2004, Гаджиев К., 2003, Дегоев, 2001a, Дугин, 2000, Кулиев, 1999). საბჭოთა კავშირიდან გამოყოფილი სხვა რეგიონებისაგან – ბალტიისპირეთი, ცენტრალური აზია და საბჭოთა კავშირის დასავლურ-სლავური ნაწილი – განსხვავებით, კავკასიის ქვეყნების სამართლებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიო გაერთიანებასთან მიმართებაში არაერთგვაროვანი აღმოჩნდა (მაგალითად, Starr, 1994). კავკასიამ დაკარგა თავისი პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მთლიანობა: ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის ფედერაციის ოურისდიქციაში აღმოჩნდა; სამი რესპუბლიკიდან, რომლებმაც სახელმწიფო დამოუკიდებლობა მოიპოვეს, სომხეთი (მაგალითად, Curtis, 1995, Dudwick, 1993, Hovannisian, 1994, Hunter, 1994, pp. 22-57, Lang, 1988, Libaridian, 1999, 2004, Libaridian (ed.), 1991, Matossian, 1962, Suny, 1993, Walker, 1990, Гаджиев К., 2003, сс. 120-140), აზერბაიჯანი (მაგალითად, Akiner, 2000, Alijarly, 1996; Altdstadt, 1992, Goltz, 1998, Guluzade, 1999, Hunter, 1993, Hunter, 1994, pp. 58-96, Nichol, 1995, Swietochowski, 1994, 1995, Swietochowski, and Collins, 1999, Гаджиев К., 2003, сс. 98-119, Эйвазов, 2004) და საქართველო (მაგალითად, Allen, 1971, Coppieters, 1998a, Coppieters, and Legvold (eds.), 2005, Waal, 2005, Gachechiladze, 1995, Gege-

shidze, 2002, Hunter, 1994, pp. 110-141, Jones St., 1993, Lang, 1962, Metreveli, 1995, Slider, 1995, Suny, 1998, Габушев К., 2003, сс. 141-171), პირველს თავიდანვე ჰქონდა უმეტესი მხარდაჭერა რუსეთის მხრიდან, მაშინ, როცა დასავლეთისკენ ორიენტირებული დანარჩენი ორი რესპუბლიკა ეთნოკონფლიქტებში ჩაითრიეს, სადაც ეთნიკური უმცირესობანი ყოფილი მეტროპოლიის მფარველობით სარგებლობენ.

კავკასიის პოლიტიკური სივრცის მრავალგანზომილებიანობა (მაგალითად, MacFarlane, 2004, Yalowitz, and Cornell, 2004), რეგიონის, როგორც ნახშირწყალბადოვანი რესურსების „საკუჭნაოს“ და ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზარზე გასატანი სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობა, სახელმწიფოთა ჩამოყალიბების რთული გზა – ყოველივე ეს კავკასიისადმი როგორც სამეცნიერო საზოგადოებრიობის, ისე პოლიტიკოსების დიდ ინტერესს იწვევს (Марданов, и Исмаилов (ред.), 1998). ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კასპიის აუზის ენერგეტიკული რესურსებისადმი კონტროლისათვის ბრძოლას ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს (მაგალითად, O’Hara, 2004). კავკასიაში ინტერესების მქონე ყოველი ქვეყანა (რუსეთი, თურქეთი, ირანი, აშშ, ევროპისა და აზიის სახელმწიფოები და სხვ.), ამ რეგიონზე შეხედულებებისა და მისი განვითარების პერსპექტივების თავის სისტემას აყალიბებს (მაგალითად, Ahmady, 2001, Baev, 2004, Cornell, 1998, 2001b, Grabbe, 2004, Hale, 1996; Jaffe, 2001, Jones Sc., 2000, Kalicki, and Lawson (eds.), 2003, Larrabee, 2004, Light, 1996, Mohsenin, 2001, Nahavandi, 1996, Naumkin, 2001, Pauw, 1996, Trenin, 1996, Zubarevich, 1999, Пянцев, 1999, Чернявский, 1998a, 1998b, Язькова, 2002)¹.

კავკასიაში შექმნილი სიტუაციისადმი და ინტეგრაციული პროცესების განვითარების პერსპექტივებისადმი² უაღრესად განსხვავებული აზრები და მიდგომა არსებობს, მაგრამ საკვანძო საკითხი მაინც

იმში მდგომარეობს, შეინარჩუნებს თუ არა ძალას კავკასიის ესოდენ რთული ბედის განმსაზღვრელი ტრადიციული (უნინარეს ყოვლისა, რუსეთის) ფაქტორები, თუ მომავალი იმ ახალ სტრატეგიულ პრიორიტეტებს ეკუთვნის, ასე სწრაფი ტემპით რომ ვითარდება. ეს საკითხი საშუალებას გვაძლევს, შეხედულებათა სისტემა განვიხილოთ ორი მიმართულებით: კავკასიის მომავალს ძველი ინტეგრაციული მოდელის ახალი მოდიფიკაცია განსაზღვრავს თუ ე. წ. „ერთიანი კავკასიის“ ურთიერთობათა ახალი პოლიტიკური სისტემა.

ხშირად, ახალ სტრატეგიულ პრიორიტეტებში გულისხმობენ გაელენის ერთი ტრადიციული პრიორიტეტული ფაქტორის (რუსეთის) მეორით (დასავლეთის, თურქეთის და სხვ.) შეცვლას. ამ დიქტომიას ზოგჯერ ერთი „უფროსი ძმის“ მეორით შეცვლას უწოდებენ.

აშკარაა, რომ კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების ასეთი ორპოლუსიანი სისტემატიზაცია გამარტივებულად გამოიყურება. ნიგნში საკითხის გასაშუქებლად კავკასიის მთლიანობისა და რეგიონული სტრუქტურის შესახებ პრინციპულად ახალი შეხედულება გამოყენებული.

კავკასიაში დღევანდელი სიტუაციის გაგებისათვის, აგრეთვე რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანების ჩამოყალიბების პრინციპებისა და ძირითადი მიმართულებების შემუშავებისათვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, უნინარეს ყოვლისა, როგორც მთელი კავკასიის, ისე რეგიონის ცალკეული სახელმწიფოების განვითარების ძირითადი ეკონომიკური ტენდენციების გააზრება და განვითარება.

რეგიონში ყოველი ქვეყანა „ასრულებს“ თავის უნიკალურ ფუნქციას, რაც სპეციალურ გამოკვლევას საჭიროებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესწავლა.

კავკასიის ბევრი თანამედროვე მკვლევარი ძირითად ყურადღებას აქ არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მონესრიგების შესაძლებლობათა შესწავლას უთმობს და პუბლიკაციათა მხოლოდ მცირე ნაწილი ეძღვნება რეგიონში ეკონომიკური ურთიერთობის მდგომარეობის საკითხებს და მისი განვითარების პერსპექტივებს (მაგალითად, Herzig, 1999, Champain, 2004, Кляйн, Мириманова, и Шампейн (ред.), 2004).

რეგიონის ყოველი ცალკეული ქვეყნის, და განსაკუთრებით, მათი ურთიერთობის³ თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების პერსპექტივების შესახებ საკითხის კვლევას, გარკვეულწილად, პირობითი ხასიათი აქვს. ამასთან, ამგვარი კვლევის⁴ მიზანშეუწონლობას ნაწილობრივ მაინც თუ ვაღიარებთ, ჩვენი აზრით, ამით დაქსაქსულობისა და დაპირისპირების იმ სიტუაციის შენარჩუნებას შევეგუებით, რეგიონის ზოგიერთ სუბიექტს რომ ახასიათებს. ეს კი გლობალიზაციის გზას დამდგარი მსოფლიოს პირობებში (განსაკუთრებით ხანგრძლივი პერიოდისათვის), არათუ არასასურველია, არამედ პრინციპულად შეუძლებელიცაა: კავკასიას არ შეუძლია მოსწყდეს და არც უნდა მოსწყდეს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებს. ამასთან, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირება შიგარეგონული ინტეგრაციული შესაძლებლობების გააზრებას მოითხოვს.

ამ წიგნის მიზანია, გაეიაზროთ კავკასიის შესახებ ჩამოყალიბებული შეხედულებანი, გამოვიკვლიოთ რეგიონში ინტეგრაციული პერსპექტივების ძირითადი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პრობლემები. კავკასიის პრობლემათა შესწავლა „გეოპოლიტიკური ეკონომიის“ კონტექსტში მიმდინარეობს, რაც აფართოებს „პოლიტიკური ეკონომიის“ ფარგლებს, რადგან კვლევაში რთავს შესასწავლი ობიექტის გეოგრაფიულ და ისტორიულ ასპექტებს (Reifer, 2005,

pp. 195-196). ასეთ მიდგომას განსაკუთრებულ აქტუალურობას ანიჭებს კასპიის აუზის ენერგეტიკული რესურსები (მაგალითად, Алиев Ил., 2003, Гусейнов, 2002, Жильцов, Зонн и Ушков, 2003), რადგან თანამედროვე გეოპოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა იმ სხვადასხვა სახელმწიფოთა და-პირისპირების კვლევა, რაც ზოგჯერ ომში გადაიზრდება ხოლმე და ენერგეტიკულ და სხვა რესურსებზე კონტროლის ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად (მაგალითად, Le Billon, 2004).

იმის გათვალისწინებით, რომ მკითხველი, ალბათ, ყოველთვის არ დაეთანხმება აქ განხილული ზოგიერთი საკითხის ავტორისეულ გააზრებას, მივესალმებით ამ თემაზე საფუძვლიან დისკუსიას, აგრეთვე ნიგნში დასმულ პრობლემებზე შემდგომ მსჯელობას.

შენიშვნები

- ¹ იხ. აგრეთვე (Maleki, Abbas. *Iran and Turan. A Note for Iran's Relations with Central Asia and Caucasus Republics.* http://www.caspianstudies.com/irans%20neighbour/central%20Asia/iran_and_turan.htm).
- ² კავკასიაში შექმნილი სიტუაციისა და ინტეგრაციული პროცესების განვითარების პერსპექტივებზე შეხედულებები ვარიირებენ აბსოლუტურად პესიმისტურით დანწყებული (მაგალითად, Казарян, 1999) და მეტიმეტად ოპტიმისტურით (მაგალითად, Гасан-заде, 1999) დამთავრებული.
- ³ უნდა ვალიაროთ, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორისაც, თუმცა მათი რეგიონული ინტერესები მრავალი თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა, სამუხაროდ, ყოველთვის როდი არსებობს სრული ურთიერთგაგება, რაც განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება კონფლიქტურ რეგიონებთან დამოკიდებულებაში (მაგალითად, Welt, 1999).
- ⁴ თუ იმ იდეას გავიზიარებთ, რომ კავკასიაში ინტეგრაციული პროცესები (თუნდაც მის რომელიმე ნაწილში) მხოლოდ ოცნებებია, რადგან პოლიტიკური და კულტურული მთლიანობა კავკასიის ისტორიაში არასოდეს ყოფილა (Chikovani, 2005), ეს გამოინვევს საზოგადოებრივი პროცესების ისტორიულ დეტერმინი-

რებას, რისი უსაფუძვლობაც თავად ისტორიას არაერთგზის დაუმტკიცებია. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე კავკასიის ხალხების სრული დაქსაქსულობის შესახებ ყველაზე უკიდურესი პოზიციაც კი ახლა სულაც არ გამოირიცხავს დაახლოების პრინციპულ შესაძლებლობას, რეგიონის ქვეყნებისა და ხალხების ზოგიერთი ღრმა ინტერესების დამთხვევასაც კი, რაც სულაც არაა გასაკვირი თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში.

1.1. საკითხის ისტორია

კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების გააქტიურების მორიგი ფაზა XVIII საუკუნის დამლევეს რუსეთის იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკით დაიწყო (მაგალითად, Breyfogle, 2005), რასაც რუსეთ-კავკასიის ხანგრძლივი ომი მოჰყვა. ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხები იძულებული გახდნენ დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად გაერთიანებულიყვნენ (Кокиев, 1929, Нарочницкий, 1998, Пиотровский (ред.), 1988, Романовский, 2004, сс. 3-279 ამ მიზნის მიღწევის პირველ ფართომასშტაბიან მცდელობად იქცა მოძრაობა, რომელსაც 1785 წელს სათავეში ჩაუდგა შეიხი მანსური. მაგრამ ამ მოძრაობამ კავკასიელ ხალხთა მყარი ინტეგრაციული გაერთიანება ვერ შექმნა (Скитский, 1933, Смирнов, 1950). მოგვიანებით მხოლოდ შეიხმა შამილმა მოახერხა ეთნორელიგიურ საფუძველზე ჩრდილოეთ კავკასიაში მყარი ინტეგრაციული გაერთიანება – იმამატი შეექმნა, რომელმაც 1834 წლიდან 1859 წლამდე იარსება (მაგალითად, Гаммер, 1998, Дегоев, 2001б, Магомедов, 1939).

XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის დაშლასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში ისევ ძლიერდება ინტეგრაციული პროცესები. ამას კანონზომიერ შედეგად მოჰყვა 1918-1920 წლებში მთიელთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიის მრავალი ხალხი გააერთიანა (მაგალითად, Шафир, 1972). ამავე პერიოდში (1918 წლის აპრილი) დიდი კავკასიონის სამხრეთ ნაწილში

პირველად შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. ამ ინტეგრაციულმა გაერთიანებამ მხოლოდ ერთ თვეს იარსება და სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად და სომხეთის რესპუბლიკად დაიშალა.¹

რუსეთში ბოლშევიკების (კომუნისტების) ძალაუფლების განმტკიცებასთან ერთად კავკასიაში ინტეგრაციული პროცესები ახალ ხასიათს იძენს: 1922 წელს ყალიბდება პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პრინციპზე დამყარებული ინტეგრაციული გაერთიანება – ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ამჯერად უკვე საბჭოთა რესპუბლიკები – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, როგორც ინტეგრაციული წარმონაქმნი, უფრო დიდი გაერთიანების – სსრ კავშირის შემადგენლობაში, თავისი არსით, მხოლოდ შუალედური მექანიზმი იყო, რომელიც „ცენტრის“ (მოსკოვის) მიერ ამ „ტურბულენტური“ რეგიონის უფრო ეფექტიან მართვას უზრუნველყოფდა. შეასრულა რა თავისი ძირითადი ფუნქციები (ეთნიკურ დაპირისპირებათა მოსპობა, რუსეთთან ამიერკავკასიის ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველის შექმნა და ა.შ.), ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა 1936 წელს გაუქმდა (მაგალითად, Азизбекова, Мнацаканян и Траскунов, 1969, Сидамонидзе, 1972).

მთიელთა რესპუბლიკის და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ ძირითადი ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმები ორიენტირებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ერთიან ჩრდილოკავკასიურ ეკონომიკურ რაიონად (მაგალითად, Хмелевский, 1976), ამიერკავკა-

სიის მოკავშირე რესპუბლიკებისა (მაგალითად, Минск, 1969) – ამიერკავკასიის ერთიან ეკონომიკურ რაიონად (მაგალითად, Адамеску, и Силаев (ред.), 1973), აგრეთვე ამ რაიონების ერთმანეთთან და ცენტრთან ინტეგრაციისათვის. ისინი საბჭოთა კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის დაშლამდე განაგრძობდნენ ფუნქციონირებას როგორც მთლიანი რეგიონები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (მაგალითად, Лундестад, 2002), ისევე, როგორც XX საუკუნის დამდეგს, დიდი კავკასიონის სამხრეთ ნაწილში წარმოიქმნა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო – აზერბაიჯანის რესპუბლიკა, საქართველო და სომხეთის რესპუბლიკა, ჩრდილოეთ კავკასიაში კი გააქტიურდა ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში ძალისხმევის გაერთიანებისაკენ იყო მიმართული. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ჩეჩნეთი, რომელმაც დამოუკიდებლობა 1992 წელს გამოაცხადა (მაგალითად, Dunlop, 1998, Gall, and Waal, 1998, Lapidus, 1998, Нухаев, 2002a, 2002b, 2002c).

ამრიგად, კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების მოკლე ისტორიული მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ისინი ციკლურად წარმოიქმნება და უშუალოდ უკავშირდება რუსეთში ექსტრემალური სიტუაციების წარმოქმნას. ასეთ პირობებში კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება ინვევდა სუსტი გაერთიანებების წარმოქმნას, რომლებიც რუსეთში სიტუაციის სტაბილიზაციის და რეგიონებზე მისი ძალაუფლების გაძლიერების შედეგად იშლებოდა.

XX საუკუნის დამდეგს და XXI საუკუნის დამდეგს ახალი ექსტრემალური სოციალ-პოლიტიკური სიტუაციის შექმნის გამო კავკასიის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა, მოეხდინათ ინტეგრირება ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ

კავშირში, რომელიც მთლიანად რეგიონის და ცალკეულად ყოველი მისი სუბიექტის განვითარების საარსებო ინტერესებს შეესაბამებოდა. ამ ამოცანის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კავკასიის ინტეგრაციის რეალისტური მოდელის შემუშავების პირობით.

1.2. კავკასიური ინტეგრაციის მოდელები

ამჟამად არ იგრძნობა კავკასიის ინტეგრაციის შემოთავაზებული კონცეპტუალური მოდელების ნაკლებობა (კავკასიის საერთო სახლი, კავკასიის საერთო ბაზარი, ამიერკავკასიის შეერთებული შტატები და სხვ.). მასში მონაწილე ქვეყნების რიცხვი „ორეულიდან“ (აზერბაიჯანი, საქართველო) „რვიანამდე“ (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი, ირანი, აშშ და ევროკავშირი) მერყეობს. ამ მოდელებში ცალკეულ სახელმწიფოთა შეხამება და მონაწილეობის თანამიმდევრობა სხვადასხვაგვარია და თითოეული გარკვეული ამოცანების გადანყვეტას ისახავს მიზნად.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე წამოყენებული „კავკასიის საერთო სახლის“ იდეა (მაგალითად, Алиев P., 1997, Мамедов, 1997, Халаддин, 1997), არსებითად „თავისუფალი კავკასიის“ იდეის შემკვიდრე გამოდგა და მის მოდერნიზებულ და ახალ გეოპოლიტიკურ რეალობასთან შეხამებულ ვარიანტს წარმოადგენს, რომლის მიზანია, მიაღწიოს კავკასიაში მშვიდობას, სტაბილურობასა და აყვავებას².

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გახდა 1989 წელს კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის შექმნა, რომელიც 1991 წელს კონფედერაციად გარდაიქმნა და ჩეჩნები, ყაბარდოელები, ადიღეელები, აბაზგები, აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები გააერთიანა (Яндарбиев, 1997).

საწყის ეტაპზე „კავკასიის საერთო სახლის“ იდეამ ფართო

რეზონანსი გამოიწვია ჩრდილოკავკასიელ ხალხებში, რომლებსაც რეგიონული ინტეგრაცია მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებად წარმოედგინათ. მაგრამ იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ წარმონაქმნებს არ ჰქონდათ მთელი რიგი საჭირო წინამძღვრები (სახელმწიფო სუვერენიტეტი, საკუთარი რესურსების ნაკლებობა და სხვ.), დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი ხდებოდა. მოგვიანებით, ამ რეალობის გააზრების კვალობაზე, ჩრდილოკავკასიელმა პოლიტიკოსებმა უფრო ნათლად დაინახეს თავიანთ უშუალო სამხრეთელ მეზობლებთან – აზერბაიჯანთან და საქართველოსთან თანამშრომლობის გაფართოების აუცილებლობა.

შემდგომში, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ წარმონაქმნებზე მოსკოვის ძალაუფლების განმტკიცების შედეგად, ცხადი გახდა, რომ საერთო-კავკასიურ ინტეგრაციაში მათმა დამოუკიდებელმა მონაწილეობამ უფრო შორეულ ისტორიულ პერსპექტივაში გადაინაცვლა. მეორე მხრივ, რეგიონში სომხეთის პოლიტიკამ პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა ახლო პერსპექტივაში საერთო-კავკასიურ ინტეგრაციულ გაერთიანებაში ამ ქვეყნის მონაწილეობა. ამრიგად, თუმცა დროთა განმავლობაში „კავკასიის საერთო სახლის“ იდეამ ფართო რეგიონული მნიშვნელობა შეიძინა, რეალურად იგი ვერ განხორციელდა.

ახლანდელ პირობებში ასევე არარეალურია კავკასიის ინტეგრაციის მოდელი, რომელშიც ერთად მიიღებენ მონაწილეობას აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო (მაგალითად, ГОНД, 1997). მისი რეალიზაციის შესაძლებლობას ბლოკავს სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია (მაგალითად, Исмаилов М., 1996); გასათვალისწინებელია ის ინციდენტებიც, რომელთა პროვოცირებასაც სომხეთის სეპარატისტული ძალები პერიოდულად ახდენენ საქართველოში სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე (მაგალითად, Darchiashvili, 2000,

Metreveli, 2004, Young, 2006). ცხადია, რომ აზერბაიჯანი ობიექტურად დაინტერესებული ვერ იქნება სომხეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის მოგვარებით.

ამ მოდელის ერთ-ერთი ვარიანტია „ამიერკავკასიის შეერთებული შტატების“ (Тейон ირასი, 2000) ან „კავკასიის შეერთებული შტატების“ (Гулиев, 2003) შექმნის იდეა, რომელიც გულისხმობს პირველ ხანებში აზერბაიჯანისა და საქართველოს გაერთიანებას და შემდგომში სომხეთის ჩართვის შესაძლებლობას. ამ იდეის ავტორის აზრით, ამგვარი მიდგომით შესაძლებელია აზერბაიჯანისა და საქართველოს განვითარების ძირითადი მამუზრუჭებელი ფაქტორის – სეპარატიზმის პრობლემის გადაჭრა, ამიერკავკასიის შეერთებულ შტატებში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის შესვლის გზით, რომლებიც ფედერალურ მხარეთა უფლებებით ისარგებლებენ, მაგრამ არ ექნებათ გამოყოფის უფლება.

კავკასიის ინტეგრაციის კიდევ ერთ-ერთი ვარიანტია რუსეთის მიერ შემოთავაზებული მოდელი „3+1“, რომელიც 1996 წელს კისლოვოდსკის სამიტზე გამოცხადდა. შეხვედრაზე, რომელსაც აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის წარმომადგენელთა გარდა ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური წარმონაქმნების (ჩეჩნეთის გამოკლებით) ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, რუსეთის მხარემ არაერთგზის აღნიშნა „ამიერკავკასიაში რუსეთის ინტერესები“ და განაცხადა, რომ კავკასია გეოპოლიტიკურად რუსეთის ფედერაციას ვერ მოსწყდება. რუსეთის მხარის მიერ წამოყენებული კავკასიის ინტეგრაციის კონცეფცია „3+1“, ასახავდა რა, ძირითადად, ერთი მხარის ინტერესებს და სრულად არ შეესაბამებოდა კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ინტერესებს, პროექტის სტადიას ვერ გასცდა.

ამასთან აღსანიშნავია სუბგლობალური ინტეგრაციის მოდელებიც, რომელთა მიზანია კავკასიის, როგორც დიდი რეგიონული სისტემების

(მაგალითად, ევროპის გაერთიანება და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი) დამაკავშირებელი ცენტრის პლანეტური ფუნქციის რეალიზაციის დაჩქარება. ასეთი ტიპის ერთ-ერთი ვარიანტია პროექტი „3+3+2“ (რუსეთი-თურქეთი-ირანი + აზერბაიჯანი-საქართველო-სომხეთი + აშშ-ევროკავშირი), რომლის შესახებაც ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების 1999 წლის სტამბოლის სამიტზე იმსჯელებს.

ამრიგად, კავკასიის ინტეგრაციის არსებული მოდელების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

- „კავკასიის საერთო სახლის“ მოდელები, რომლებიც შეიცავს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს (ისეთი თვალსაზრისი არსებობს, რომ ეს ავტონომიური რესპუბლიკები ინტეგრაციის ამ მოდელში უნდა მონაწილეობდნენ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები), და აგრეთვე კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს;
- კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების – აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის გამაერთიანებელი მოდელები;
- მოდელი „3+1“, რომელიც კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და რუსეთს აერთიანებს;
- სუბგლობალური მოდელები, რომლებიც შეიცავს კავკასიის სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, სამ მოსაზღვრე სახელმწიფოს და მსოფლიოს სხვა დიდ სახელმწიფოებს („3+3+2“).

ყველა ეს პროექტი საინტერესო მომენტებს შეიცავს, და თავიანთი ნამუშევრების საფუძვლიანობის დასადასტურებლად ავტორთა არგუმენტები მეტად დამაჯერებლად გამოიყურება. მაგრამ ჯერჯერობით ყველა ეს მოდელი აბსტრაქტული ხასიათისაა და მათი რეალიზაცია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ხდება, თუმცა კავკასიის ინტეგრაციის იდეას აქტიურად უჭერს მხარს მსოფლიო გაერთიანება. როგორც ჩანს, არსებულ

მოდელებს ერთი საერთო ნაკლი აქვს, რაც არ აძლევს მათ საშუალებას, სრულფასოვანი კონცეპტუალური საფუძველი შეუქმნან პრაქტიკულ მოქმედებას ინტეგრაციის სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმის „ამუშავებისათვის“: ეს ნაკლი კავკასიის ინტეგრაციის მთელი პრობლემის, მისი სტრუქტურის, მექანიზმებისა და მაინიცირებელი ბირთვის არაადეკვატურ ხედვაში მდგომარეობს.

კავკასიის ინტეგრაციის ისეთი რელისტური მოდელის შემუშავება, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ მიმართულებით პრაქტიკულ მოქმედებას, წარმოქმნის აუცილებლობას, განვსაზღვროთ კავკასიის ადგილი და როლი მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში გლობალური და რეგიონული ცვლილებების გათვალისწინებით (Ковальский, 1999), აგრეთვე ახლებურად გავიაზროთ ცნებითი აპარატი და უკუვაგდოთ კავკასიის პოლიტიკურ-გეოგრაფიული დაყოფის სტერეოტიპული ხერხი.

1.3. „კავკასიის“ ცნების შესახებ

გეოპოლიტიკური ცნების „კავკასიის“ თანამედროვე შინაარსი XVIII-XIX საუკუნეებიდან – რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პერიოდიდან იღებს სათავეს. კავკასიის რეგიონში სწორედ რუსეთის შემოსვლით იწყება მისი დაყოფა კავკასიად და ამიერკავკასიად (მაგალითად, Gamkrelidze, 1999). მოგვიანებით დაპყრობილი ამიერკავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის აღნიშვნისათვის შემოიღეს ცნება „ჩრდილოეთ კავკასია“.

ცნება „ამიერკავკასია“ („Закавказье“) ერთმნიშვნელოვნად რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის პროდუქტი იყო, რომელიც ასახავდა მეტროპოლიის მიდგომას დაპყრობილი რეგიონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფისადმი. რა თქმა უნდა, ამ

შემთხვევაში რეგიონის ხალხთა ინტერესები, აგრეთვე რეგიონში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობა ხშირად რუსეთის იმპერიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. უფრო მეტიც, ცნება „ამიერკავკასია“ („Закавказье“) შეფარულად გულისხმობდა, რომ დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორია არ მიეკუთვნება საკუთრივ კავკასიას, მის შემდეგ, ანუ მის გარეთ მდებარეობს. ამით, ეს კატეგორია ფაქტობრივად კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ მიზანს გამოხატავდა და გარკვეულწილად წარმოადგენდა კიდევ ამ მიზნის მიღწევის საშუალებას, მიზნისა, რომელიც დაპყრობილი კავკასიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში მცხოვრები ადგილობრივი ხალხების გათიშვას გულისხმობდა.

რასაკვირველია, „ამიერკავკასიის“ კატეგორია მხოლოდ გეოგრაფიულს კი არა, გეოპოლიტიკურ აზრსაც შეიცავდა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ „ამიერკავკასია“ კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის მხოლოდ სამხრეთ სახელმწიფო საზღვრებამდე იყო გადაჭიმული და მისი ზომაც ამ საზღვრების შესაბამისად იცვლებოდა. მაგალითად, XIX საუკუნის დამლევს, როცა ოსმალთა იმპერიის ყარსის ოლქი რუსეთის იმპერიამ დაიპყრო, ის კავკასიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. მაგრამ, როცა რუსეთმა ყარსი, არდაგანი და ბაიაზეთი დაკარგა, რუსეთის პოლიტიკურ და ისტორიულ დოკუმენტებში ისინი კავკასიის შემადგენელ ნაწილებად აღარ მოიხსენიება. ამ ოლქებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და 1918 წლის ნოემბერში შექმნეს სახელმწიფო – „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) დემოკრატიული რესპუბლიკა“ (Гаджиев А., 1992, 2004, Тагиева, 2005).

ასახავდა რა არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას, კერძოდ, რუსეთის აბსოლუტურ დომინირებას კავკასიის რეგიონში, კატ-

ეგორია „ამიერკავკასია“ XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგამდე გამოიყენებოდა.

რეგიონის გეოპოლიტიკური დაყოფის „რუსული“ მოდელის უარყოფის პირველ მცდელობად იქცა „ამიერკავკასიის“ ცნების უფრო კონკრეტული „სამხრეთ კავკასიის“ ცნებით შეცვლა, რომელიც იმავე რესპუბლიკებს – აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს მოიცავდა.

აღსანიშნავია, რომ „სამხრეთ კავკასიის“ ცნება, ისევე, როგორც მისი წინამორბედი ცნება „ამიერკავკასია“, „რუსული“ გეოპოლიტიკური აზრის მატარებელია, ვინაიდან კავკასიის რეგიონის იმ ნაწილს აღნიშნავს, რუსეთისაგან დამოუკიდებლობას რომ მიაღწია ჩრდილოეთ კავკასიისაგან განსხვავებით, რომელიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩა. კავკასიის ამ ორ ნაწილად დაყოფა კვლავაც რუსეთსა და კავკასიის დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის საზღვრების შესაბამისად ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტიდან შემოვიდა ხმარებაში და დამკვიდრდა. ამით, „სამხრეთ კავკასიის“ კატეგორიამ ასახა კავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური სიტუაციის მნიშვნელოვანი ასპექტი – აქ სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა.

შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასო ამ მოვლენის ისტორიული მნიშვნელობა მთელი კავკასიის ხალხების შემდგომი ბედისათვის, რადგან მან პერსპექტივაში საძირკველი ჩაუყარა ერთიანი კავკასიის აშენებას იმით, რომ კავკასიის ყველაზე დიდ ხალხებს საკუთარი სახელმწიფოებრიობა მიანიჭა და კონსოლიდაციის გზა გაუხსნა.

ამასთან დაკავშირებით დასაზუსტებელია „კავკასიის სახელმწიფოს“ ცნების აზრი. ჯერ ერთი, ამ სახელმწიფოს, ისევე, როგორც ნებისმიერს, სახელმწიფოებრიობისათვის დამახასიათებელი ნიშნები უნდა ჰქონდეს. მეორე, ის ტერიტორიულად კავკასიაში უნდა მდებარე-

რეობდეს. ამჟამად ამ ჩამოთვლილ პირობებს მთლიანად მხოლოდ აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი შეესაბამება. რაც შეეხება რუსეთს, ეს სახელმწიფო შეიძლება კავკასიის რეგიონის მოსაზღვრე სახელმწიფოდ ჩაითვალოს, რადგან მისი ტერიტორიის მხოლოდ მცირედი ნაწილი განეკუთვნება კავკასიას.

ამის გათვალისწინებით შეგვიძლია „სამხრეთ კავკასიის“ ცნების კიდევ ერთი აზრობრივი დატვირთვა გამოვყოთ. ეს, შესაძლოა, იყოს არცთუ ბოლომდე გააზრებული მისწრაფება, გამოვკვეთოთ „სამხრეთ კავკასიის“ სამი სახელმწიფოს კავკასიური ბუნება რუსეთის საპირწონედ, რომელიც გარკვეული გეოპოლიტიკური მოსაზრებით გამოდმებით იჩემებს „კავკასიური სახელმწიფოს“ სტატუსს.

და მაინც, ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ თავისი ახლანდელი მნიშვნელობით, ჩვენი აზრით, მთლად ადეკვატურად არ ასახავს კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების არსისა და შინაარსის შეცვლას. არსებითად, აქ საქმე გვაქვს ერთი ცნების მეორეთი მექანიკურ შეცვლასთან კავკასიის სტრუქტურულიზაციის ადრინდელი, „რუსული“ მოდელის ფარგლებში, რომელიც მას ჩრდილოეთად და სამხრეთად (ამიერკავკასიად) ყოფს პოსტსაბჭოთა სივრცის საზღვრებში. ვფიქრობთ, ამ მოდელს ორი ძირითადი ნაკლი ახასიათებს. ჯერ ერთი, ის დრომოჭმულია, რადგან გამოეცალა საფუძველი – კავკასიაში რუსეთის მონოპოლიური დომინირების პერიოდის გეოპოლიტიკური რეალობა. მეორე, აღნიშნული მოდელი ემყარება კავკასიის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური, სოციოკულტურული და ეთნიკური პარამეტრების არასწორ ასახვას. საქმე ეხება ამ პარამეტრების უმარტებულო შევინროებას იმის ხარჯზე, რომ კავკასიის რეგიონის ფარგლებში არ შედის თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქები (ვილაიეთები – ყარსი, არდაგანი, ართვინი, იგდირი და სხვ.) და ირანის ჩრდილო-

დასავლეთი ოლქები (ოსტანები – აღმოსავლეთ აზერბაიჯანი და დასავლეთ აზერბაიჯანი). აღნიშნული ოლქები რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე მრავალი საუკუნე ერთ სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ არეალში იმყოფებოდნენ, სადაც ამჟამად ძირითადად კავკასიელი ხალხები ცხოვრობენ, რაც საშუალებას გვაძლევს, ისინი ამ ქვეყნების „კავკასიურ“ ოლქებად მივიჩნიოთ, ისევე როგორც რუსეთის კავკასიის რეგიონი (ჩრდილოეთი კავკასია).

ამ პოზიციის სასარგებლოდ იმ ფაქტის მოშველიებაც შეიძლება, რომ სომხეთი, რომელიც უდავოდ კავკასიურ სახელმწიფოდ ითვლება, ისევე, როგორც თურქეთისა და ირანის ზემოხსენებული ოლქები, დიდი კავკასიონის გარეთაა. ამასთან, როგორც სომხეთის ტერიტორია, ასევე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონები (ყარსი, იგდირი, არდაგანი და სხვ.) თანაბრად დაშორებული დიდი კავკასიონისგან და ნაწილობრივ მცირე კავკასიონის ტერიტორიაზე მდებარეობს.

აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია, წამოვაცენოთ კავკასიის რეგიონის სტრუქტურულიზაციის შემდეგი მეთოდი (Is-mailov, and Kengerli, 2003, Исмаилов Э., 2002):

1. ცენტრალური კავკასია, რომელიც სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – აზერბაიჯანს, საქართველოს, სომხეთს შეიცავს;
2. ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც რუსეთის ფედერაციის საზღვრისპირა ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნებისაგან შედგება;
3. სამხრეთ კავკასია, რომელიც აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთებს (სამხრეთ-დასავლეთი კავკასია) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანებს (სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია) შეიცავს.

ვფიქრობთ, კავკასიის პარამეტრების განსაზღვრის და მისი

სოციალურ-ეკონომიკური სივრცის დაყოფის შემოთავაზებული ვარიანტი რეგიონში თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობას ყველაზე სრულად და ზუსტად წარმოაჩენს, მის ყველა შემადგენელ ელემენტს (ქვეყნები, ოლქები, ავტონომიური ერთეულები) მოიცავს და კავკასიის როგორც სოციოკულტურული ერთეულის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სპეციფიკას ითვალისწინებს⁴.

ამრიგად, კავკასიის რეგიონის ცენტრალურ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად დაყოფა საშუალებას გვაძლევს, კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების განვითარების პრინციპულად ახალი, რეალისტური გზები დავსახოთ.

1.4. ცენტრალურ კავკასიაში ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკური ნაბიჯები

კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური სივრცის პარამეტრებისა და სტრუქტურის განსაზღვრის შემოთავაზებული მეთოდოლოგია იმ ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ტერიტორიებს (ჩრდილოეთ კავკასიას და ამიერკავკასიას) მოიცავს, ირანის ჩრდილო-დასავლეთი ოლქებისა და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქების ჩართვასაც ითვალისწინებს. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს კიდევ უფრო გაართულებს რეგიონის ისედაც უაღრესად რთულ გეოპოლიტიკურ სურათს. მაგრამ საკითხის სწორედ ამგვარად დაყენება გვაძლევს საშუალებას, კავკასიის მთლიანობა შევავსოთ „ელემენტებით, რომლებიც აკლია“ და ამით მთელ რეგიონში ინტეგრაციული პროცესების დინამიკურ, სტაბილურ და სისტემურ განვითარებას მივალნიოთ, ანუ გთავაზობთ კავკასიის ინტეგრაციის ისეთ მოდელს („3+3“), რომელიც აერთიანებს ცენ-

ტრალური კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) და რეგიონულ სახელმწიფოებს (ირანი, რუსეთი, თურქეთი).

შემოთავაზებული მოდელის ფარგლებში კავკასიის თანამედროვე გეოპოლიტიკური სურათი საშუალებას გვაძლევს, უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მთელი რეგიონის ინტეგრაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნაწინამძღვრები, გამოვყოთ მის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებითი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი.

კავკასია, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური რეგიონი, ყოველთვის და ახლაც რეგიონული სახელმწიფოების – ირანის, რუსეთისა და თურქეთის განსაკუთრებული ინტერესების სფეროში იმყოფება (მაგალითად, Nahavandi, 1996, Аваков, и Лисов (ред.), 2000, 2002, Каджаман, 2004), რომელთაგან თითოეულს ამ რეგიონში თავისი ინტერესები აქვს და თავისებურად წარმოუდგენია მისი მთლიანობა. ისინი თავიანთი პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით ახდენდნენ და კვლავაც ახდენენ გავლენას კავკასიის სახელმწიფო წარმონაქმნების ინტეგრაციის პროცესზე და მათი განვითარების ტემპებზე. გარდა ამისა, რეგიონული სახელმწიფოების ძალთა თანაფარდობა პერიოდულად იცვლებოდა, და, როგორც წესი, რეგიონში გარკვეული დროის განმავლობაში მხოლოდ ერთი მათგანი დომინირებდა. ბოლო ასეთი „მონოპოლისტი“ რუსეთი იყო.

თანამედროვე გეოპოლიტიკური ტენდენციების და „ამიერ-კავკასიის“ სამივე ყოფილი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვების გათვალისწინებით, ახლა პირველად იქმნება სიტუაცია, როცა ყველა რეგიონულ სახელმწიფოს თავისი საზღვრისპირა ოლქების მონაწილეობის მეოხებით თანაბარი შესაძლებლობანი ეძლევა საიმისოდ, რომ ერთდროულად ჩაერთონ საერთო-კავკა-

სიურ ინტეგრაციულ პროცესებში. ეს, საბოლოო ანგარიშით, ხელს შეუწყობს იმას, რომ „განხეთქილების ვაშლიდან“ კავკასია ისეთ სივრცედ იქცეს, სადაც ყველა რეგიონული სახელმწიფოს ინტერესები შეთანხმებული იქნება და ამით კავკასიაში არსებული კონფლიქტებისა და პრობლემების გადაჭრის რეალური შესაძლებლობა გაჩნდება. შედეგად მნიშვნელოვნად მატულობს მთლიანად რეგიონისა და მისი ცალკეული ნაწილის არსებითი ინტერესების რეალიზაციის ალბათობა.

უკანასკნელ ათწლეულში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ცენტრალური კავკასიის ზონაში ხდებოდა. კავკასიის მხოლოდ ამ ნაწილში წარმოიქმნა და დამოუკიდებლობა განიმტკიცა კავკასიის სამმა სახელმწიფომ – აზერბაიჯანმა, საქართველომ და სომხეთმა, რომლებსაც სუვერენიტეტი საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავიანთი გეოსტრატეგიული ორიენტირები. აზერბაიჯანისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა დასავლეთთან და თურქეთთან დაახლოება, და ეს სახელმწიფოები ამ გზით მეტ-ნაკლები ნარმატებით მიიწევენ წინ. სომხეთს კი ორიენტაცია ისევ რუსეთისკენ აქვს აღებული და იმავდროულად ირანთან დაახლოების პოლიტიკას ატარებს. ამრიგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოთა გეოსტრატეგიულ მიმართულებათა მრავალგვარობა, რაც რეგიონში დასაბამს აძლევს სხვადასხვა პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბებას (თურქეთი-აზერბაიჯანი-საქართველო და რუსეთი-ირანი-სომხეთი)⁵. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით არის განპირობებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის მაღალი დონე ცენტრალურ კავკასიაში, სადაც ორი სახელმწიფო – აზერბაიჯანი და სომხეთი – ომის მდგომარეობაში არიან, საქართველოს კი შიგნიდან მთელი რიგი სეპარატისტული

მოდრობები არყევს (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) (მაგალი-
თად, Gogucliani, 2003, Darchiashvili, 2000, Диасамидзе, 2002).

აზერბაიჯანისა და საქართველოს გეოსტრატეგიული ორიენტი-
რების მსგავსებაზე ყურადღების გამახვილებისას უნდა აღინიშნოს,
რომ ეს ხელს უწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური
კავშირ-ურთიერთობის განმტკიცებას. მეორე მხრივ, აზერბაიჯანის
მიმართ სომხეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა (გასული საუ-
კუნის 90-იანი წლების დამდეგს სომხეთიდან ამ ქვეყნის მკვიდრი
200 ათასი აზერბაიჯანელის დეპორტაცია მოხდა; დაპყრობილია
აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის დაახლოებით 20 პრო-
ცენტი) ცენტრალურ კავკასიაში სოციალურ-ეკონომიკური და
სატრანსპორტო კომუნიკაციების მრავალ არსებულ გარღვევას
განაპირობებს.

არსებითად, აზერბაიჯანის მიმართ თავისი პოლიტიკით სომ-
ხეთი ცენტრალურ კავკასიაში ინტეგრაციულ პროცესებს ემიჯნება:
კავკასიაში გამავალი სატრანსპორტო არტერიები სომხეთს გვერდს
უვლის. თანაც, სომხეთს ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა უკა-
ვია, რომ ცენტრალურ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის
ეკონომიკური ურთიერთობა, პრაქტიკულად, მისი გვერდის ავლით
შეიძლება დამყარდეს. საერთო საზღვრების არსებობა (აზერბაი-
ჯანს – თურქეთთან, რუსეთთან, ირანთან და კასპიის ზღვაზე
გასასვლელი, საქართველოს კი – რუსეთთან, თურქეთთან და
შავ ზღვაზე გასასვლელი) ხელს უწყობს როგორც ამ ქვეყნების
ერთმანეთთან, ისე მთლიანად კავკასიის სხვა ეკონომიკურ რე-
გიონებთან ეკონომიკური ურთიერთობის გააქტიურებას. ამ მიზ-
ნის გამო კავკასიის ე. წ. „პლანეტური“ ფუნქციის რეალიზება
სატრანსპორტო-გეოგრაფიული თვალსაზრისით, პრაქტიკულად,
საერთო-რეგიონულ ინტეგრაციაში სომხეთის მონაწილეობის გა-

რეშე შეიძლება. ამასთან უნდა ვალიაროთ, რომ ამ სახელმწიფოს პოლიტიკა, უნიწარეს ყოვლისა, აზერბაიჯანის მიმართ რეგიონში დაძაბულობასა და არასტაბილურობას ინვეეს.

საერთო-რეგიონულ ინტეგრაციაში მონაწილეობის განსხვავებულ (ცენტრალურ კავკასიასთან შედარებით) სოციალ-პოლიტიკურ პირობებში არიან ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია. არიან რა რუსეთის, თურქეთისა და ირანის შემადგენლობაში, კავკასიის ამ ნაწილებს ობიექტურად არ აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ საერთო-კავკასიურ ინტეგრაციულ პროცესში. ამიტომ ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოგვარებისას ისინი თავიანთი სახელმწიფოს პოლიტიკითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებენ. ამავე დროს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიები პოლიტიკური სტატუსითაც განსხვავდება: ჩრდილოეთ კავკასია წარმოდგენილია რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკებით, მაშინ, როცა სამხრეთ კავკასია შედგება ირანისა და თურქეთის უნიტარული სახელმწიფოების ოლქებით, რომლებსაც არ აქვთ პოლიტიკური ავტონომია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცენტრალური კავკასიის ქვეყნებთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კონტაქტების დასამყარებლად ჩრდილოეთ კავკასიას უფრო ფართო პოლიტიკურ-სამართლებრივი შესაძლებლობები აქვს. რეგიონში ინტეგრაციული პროცესების პერსპექტივების თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიას სამხრეთ კავკასიასთან შედარებით ის უპირატესობაც აქვს, რომ ახლო წარსულში ცენტრალურ კავკასიასთან ერთად საბჭოთა კავშირის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში შედიოდა, ამჟამად კი ცენტრალურ კავკასიასთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი სახელმწიფოს შემადგენლობაშია.

თანაც, სამხრეთ კავკასია: ტრადიციულ მეტოქეებს – თურქეთსა და ირანს შორის სახელმწიფო საზღვრითაა გაყოფილი, რაც მის (სამხრეთ კავკასიის) აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის.

მეორე მხრივ, სამხრეთისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კავკასია კონფლიქტურობისა და არასტაბილურობის მაღალი დონის ზონაა. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად აქ დაიწყო ადგილობრივი ხალხების მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებში გადაიზარდა. მათგან ყველაზე მწვავე – რუსეთ-ჩეჩნეთის – მადესტაბილიზებულ ზემოქმედებას ახდენს მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე და ნაწილობრივ, ცენტრალურ კავკასიაზეც. ამ კონფლიქტის შედეგები ნეგატიურად აისახება ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებს შორის, აგრეთვე ჩრდილოეთ და ცენტრალურ კავკასიას შორის ეკონომიკური ურთიერთობისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების ფუნქციონირებაზე.

ამრიგად, თანამედროვე კავკასიაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა ცხადყო, რომ ეს რეგიონი არაერთგვაროვანი გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სივრცეა, რომელსაც ახასიათებს:

1. მისი ნაწილების საერთო-რეგიონულ ინტეგრაციაში მონაწილეობის განსხვავებული პოლიტიკურ-სამართლებრივი შესაძლებლობანი (ცენტრალურ კავკასიაში – დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ჩრდილოეთ კავკასიაში – ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნები, სამხრეთ კავკასიაში – ადმინისტრაციული რაიონები);
2. მისი ნაწილების განსხვავებული გეოსტრატეგიული მიმართულებანი, რაც ამჟამად რეგიონის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის მაღალ დონეს, შიგარეგიონული ეკონომიკური

ურთიერთობის გათიშვას, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სივრცეში რღვევას იწვევს და ა.შ.

კავკასიის მთელ სივრცეში თანამედროვე სიტუაცია ხელს უშლის საერთო-რეგიონული ინტეგრაციის მიღწევას. და მაინც, ჩვენ ვხელმძღვანელობთ მთელი კავკასიის ინტეგრაციის პრინციპული შესაძლებლობის და გარდაუვალობის აღიარებით, რადგან მისი ხალხების სოციალურ-ეკონომიკური კავშირი ისტორიულად ხელს უწყობდა ურთიერთდაკავშირებული რეგიონული ეკონომიკის, საერთო-კავკასიური ფასეულობებისა და მენტალობის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, ახლა კავკასიის სახელმწიფოთა უმრავლესობაში პრევალირებს რეგიონული ინტეგრაციის იდეა, რაც თავის ასახვას პოულობს კავკასიის ხალხების ლიდერთა გამონათქვამებში რეგიონში საერთო-კავკასიური სახლის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ.

ისტორიული გარდაუვალობისა და მთელი კავკასიის ინტეგრაციის უზარმაზარი პოტენციალური შესაძლებლობების მიუხედავად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს პროცესი, რომელიც უკიდურესი წინააღმდეგობებით, სირთულით და ხანგრძლივობით გამოირჩევა, მასში შემდეგ ძირითად დონეთა გამოყოფას გულისხმობს:

- ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ინტეგრაცია;
- ცენტრალური კავკასიის ინტეგრაცია ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიასთან რეგიონის ყველა სახელმწიფოს არსებული საზღვრების შენარჩუნებისა და სუვერენიტეტის ურყევობის ფარგლებში.

თანამედროვე ეტაპზე რეგიონული საქმიანობა ლოგიკურად და ისტორიულად პირველ ნაბიჯად გულისხმობს ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციული ურთიერთობის დამყარებას (Декарация, 1997). ეს განპირობებულია, უნინარეს ყოვლისა,

იმით, რომ სწორედ აქ მდებარეობს კავკასიის სახელმწიფოები, რომლებსაც ძალუძთ დამოუკიდებლად შეიმუშაონ და განავითარონ თავიანთი რეგიონის სტრატეგია. გარდა ამისა, მსოფლიო გაერთიანება დაინტერესებულია ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობით, რადგან ეს რეგიონი დასავლეთის აღმოსავლეთთან და ჩრდილოეთის სამხრეთთან დამაკავშირებელ სატრანსპორტო სისტემაში საკვანძო პუნქტს წარმოადგენს. ეს პირობები ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს საშუალებას აძლევს, საერთო-რეგიონული ინტეგრაციის ინიციატორებად მოგვევლინონ. რაც შეეხება საერთო-კავკასიურ ინტეგრაციას (ანუ ცენტრალური კავკასიის ინტეგრაციას ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიასთან), ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი, თურქეთი და ირანი ერთდროულად ჩაერთვებიან ინტეგრაციულ პროცესებში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთო-რეგიონული ინტეგრაციის მანიცირებელი ბირთვი ცენტრალური კავკასიაა. უნინარეს ყოვლისა, ვგულისხმობთ აზერბაიჯანსა და საქართველოს, რადგან მხოლოდ ამ სახელმწიფოებს აქვთ ყველა საჭირო ნანამძღვარი, რომ მტკიცე საძირკველი ჩაუყარონ ერთიან კავკასიას. მათ შორის უნდა გამოვყოთ ძირითადი:

- მთელი ისტორიის მანძილზე აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხები მშვიდობიანად, ერთაშორისი კონფლიქტებისა და რაიმე აშკარა დაპირისპირების გარეშე ცხოვრობდნენ; საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში და ახლაც მშვიდობიანად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, აზერბაიჯანში კი ქართველები.
- აზერბაიჯანსა და საქართველოს განვითარების გეოპოლიტიკური სტრატეგიების ერთნაირი მიმართულება აქვთ;
- აზერბაიჯანი და საქართველო ნამყვან სატრანსპორტო

დერეფანს წარმოადგენენ კასპიისა და შავ ზღვებს შორის, რომლის მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება ტრასეკას (ევრო-პა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის) პროექტების რეალიზაციასთან დაკავშირებით;

- აზერბაიჯანი და საქართველო ერთად მონაწილეობენ რეგიონულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებში;
- აზერბაიჯანი და საქართველო ერთად მონაწილეობენ რეგიონისათვის მნიშვნელოვანი პროექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენი;
- აზერბაიჯანმა და საქართველომ ერთად მიიღეს 1996 წელს დეკლარაცია „კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც მათი ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის შექმნისა და განვითარების საძირკველია.

ზემოთქმულს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ არსებული კონფლიქტების მიუხედავად, ცენტრალურ კავკასიაში ინტეგრაციული პროცესები ძალას იკრებს აზერბაიჯან-საქართველოს სულ უფრო მზარდი თანამშრომლობის მეშვეობით (მაგალითად, Моллазадე, 1999). ამ ხელსაყრელ ნიადაგზე მყარდება აზერბაიჯანისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა (Papava, 1998, Papava, and Gogatadze, 1998), რომელიც ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით მოძრაობის დანაწევების ობიექტური საფუძველია (Папавა, 2002, Papava, 2002b).

შენიშვნები

¹ იხ., მაგალითად, ნურილი Закавказский Сейм, წიგნი (СНЭ, 1964, сс. 599-600).

² უნდა აღინიშნოს, რომ „კავკასიის საერთო სახლის“ თანამედროვე იდეა, რომელიც გამოიციხავს რომელიმე სახელმწიფოს დომინანტობას (მაგალითად,

Aliev R., 1998), მნიშვნელოვნად განსხვავდება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დიდ ბრიტანეთში ჩასახული მოდელისაგან, რომლის მიზანიც კავკასიაში თურქეთის როლის გაძლიერება იყო (მაგალითად, Avetisyan, 1998).

¹ იხ. აგრეთვე (Беридзе, Исмаилов, и Папава, 2004, Гл. I).

⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანს სულ უფრო მეტად ვრცელდება ტერმინი „ცენტრალური ევრაზია“, რომელშიც იგულისხმება ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს) ერთობლიობა (მაგალითად, Fairbanks, Nelson, Starr, and Weisbrode, 2001). შესაბამისად, ენობრივი თვალსაზრისითაც „ცენტრალურ ევრაზიას“ და „ცენტრალურ აზიას“ „ცენტრალური კავკასია“ უფრო შეესაბამება, ვიდრე „სამხრეთ კავკასია“.

⁵ რუსეთის, ირანისა და სომხეთის ინტერესთა ერთიანობის თემაზე მრავალ პუბლიკაციათა შორის განსაკუთრებით გამოეყოფთ (Comell, 1998, Петросян, 1999).

ბოლო დროს გაჩნდა კავკასიაში რუსეთისა და თურქეთის ინტერესების დაახლოების ზოგიერთი ზედაპირული სიმპტომი (მაგალითად, თურქეთის მიერ რუსეთის გაზის მოხმარება, ანდა ერთნაირი მიდგომა ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მიმართ, შესაბამისად, ჩეჩნებისა და ქურთების პრობლემათა გათვალისწინებით), რაც სულაც არ ნიშნავს ამ ინტერესების დაახლოების ღრმა ტენდენციებს, როგორც ეს ზოგიერთ ექსპერტს წარმოუდგენია (Hill, and Taspinar, 2006).

2.1. მოკლე ისტორიული ექსკურსი

„ერთიანი“ კავკასიის მართვის სისტემის ჩამოყალიბების პროცესს დიდი ხნის ისტორია აქვს. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში სხვადასხვა იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას დიდი მოდიფიკაციების გავლისას, ეს სისტემა ყოველ ჯერზე მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ამასთან სავსებით ბუნებრივია, რომ იმპერიული სისტემები თავიანთ კვალს ტოვებდნენ კავკასიის ინტეგრირების პროცესზე. ისინი (როგორც მართვის სუბიექტები) კავკასიის (როგორც მართვის ობიექტის) მიმართ „შემადუღაბებელ“ როლს ასრულებდნენ. ასეთი ზემოქმედებით თავად ობიექტი მთლიანობას იძენდა, თუმცა დროის ცალკეულ მოკლე ისტორიულ მონაკვეთებში, რასაც ქვემოთ შევხებით, კავკასიის ცენტრალიზებული მართვის სისუსტე იჩენდა თავს.

ნათქვამის დასადასტურებლად პატარა ისტორიულ ექსკურსს მივმართავთ. XVI საუკუნის დამდეგს ჩრდილოეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნები არსებობდა, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ავართა სახანო, დალესტინის საშამხლო და ზოგიერთი სხვა (Плютовский (ред.), 1988, сс. 292-294). XVI საუკუნის შუა პერიოდში ყველა ეს დამოუკიდებელი ფეოდალური სამფლობელო ოსმალთა იმპერიის პროტექტორატში აღმოჩნდა, თუმცა, იმავდროულად, მართვის თავიანთ სისტემასა და ადგილობრივ ვალუტას ინარჩუნებდა.

რამდენადმე სხვაგვარად იყო საქმე ცენტრალურ კავკასიაში. XV საუკუნეში დაიშალა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, რომელიც XII საუკუნედან არსებობდა (СИЭ, 1963, сс. 812-814), რის შედეგადაც ცენტრალური კავკასიის დასავლეთ ნაწილში ერთბაშად სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო (იმერეთი, ქართლი და კახეთი) და ერთი სამთავრო (სამცხე) წარმოიშვა. ცენტრალური კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში აღსასრულს უახლოვდებოდა აზერბაიჯანის უძველესი შირვანშაჰთა სახელმწიფო, რომელიც IX საუკუნეში შეიქმნა (Велиханлы (ред.), 1998, с. 296), და შექის სამფლობელო.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, აღნიშნული რეგიონი ორმა ძლიერმა მეზობელმა – სეფიანთა და ოსმალთა სახელმწიფოებმა გაიყვეს.

სეფიანი შაჰებისა და ოსმალთა სულთნების ხანგრძლივმა დაპირისპირებამ მთელ კავკასიის რეგიონში მკვეთრად შეცვალა სიტუაცია. კავკასიის გამო დაპირისპირებულ მხარეთა შორის 1555 წელს დადებულ ამასიას საზავო შეთანხმების შედეგად იმერეთის სამეფო (СИЭ, 1964, с. 804) და სამცხის სამთავრო (СИЭ, 1969, с. 524) ორ საუკუნეზე მეტი ხნით ოსმალთა იმპერიის დაქვემდებარებაში მოექცა. სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ტერიტორიაზე ოსმალებმა 1628 წელს ახალციხის საფაშო შექმნეს (Бердзенишвили (ред.), 1961, с. 142). ამავე დროს ცენტრალური კავკასიის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი, მათ შორის ქართლისა და კახეთის ქართული სამეფოები, უკვე ყოფილი შირვანშაჰების სახელმწიფოს (ლიკვიდირებულია 1538 წ.), შექის ფეოდალური სამფლობელოს (ლიკვიდირებულია 1551 წ.) ტერიტორიები სეფიანთა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. აღნიშნული მიწები სამი საბეგლარბეგოს (შირვანის, ყარაბაღის, ჩუხურსაადის) შემადგენლობაში შევიდა. სამხრეთ კავკასიის (სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი) თავიანთ ნაწილში სეფიანებმა

აზერბაიჯანის (თავრიზის) საბეგლარბეგო შექმნეს. მმართველობას მკაცრად აკონტროლებდა შაჰის კარი, და აქ მოქმედებდა სეფიანთა ვალუტა – აბასი (აბაზი).

ბუნებრივია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთის ნაწილში, ცენტრალური და სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში, რომლებიც ოსმალთა სახელმწიფოს მძლავრ ზეგავლენას განიცდიდა და, რაც მთავარია, მის შემადგენლობაში შედიოდა, მმართველობის ოსმალური სისტემა იყო გავრცელებული. კავკასიის ამ ნაწილში მოქმედებდა ოსმალური ვალუტა – პიასტრი (ყურუში).

კავკასიის რეგიონში ამგვარმა მდგომარეობამ, ამა თუ იმ მხარეს (ოსმალებსა და სეფიანებს შორის) ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებით, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე გასტანა, როცა კავკასიისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაება რუსეთის იმპერია (მაგალითად, Breyfogle, 2005). ჩრდილოეთ და ცენტრალურ კავკასიაში ჯერ კიდევ საბოლოო დამკვიდრებამდე, ცარიზმმა რეგიონში დაიწყო ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონაცობის მიზანმიმართული და თანამიმდევრული ჩამოყალიბება – იგი მმართველობის რუსულ მოდელს, აგრეთვე კავკასიის მხარის ტერიტორიული დაყოფის პრინციპებს ნერგავდა და ურთიერთობას ამყარებდა რეგიონის ყოფილ დამოუკიდებელ სახელმწიფო წარმონაქმნებთან. 1844 წლისათვის რუსეთის იმპერიამ პირველად შექმნა დაპყრობილი მხარის მართვის ერთიანი რეგიონული სისტემა – კავკასიის სამეფისნაცვლო. შეიქმნა გუბერნიები, ოლქები და ოკრუგები, რომლებსაც რუსეთის მოხელეები ხელმძღვანელობდნენ. ჩრდილოეთი და ცენტრალური კავკასიის მთელი სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების კოორდინაციისა და კონტროლის ცენტრალურ ორგანოს სათავეში ედგა მეფისნაცვალი¹, რომლის რეზიდენციაც ქალაქი ტიფლისი იყო (ასე შეცვალეს

საქართველოს დედაქალაქის სახელი თბილისი რუსულ ყაიდაზე). ამრიგად, კავკასიაში (ჩრდილოეთ და ცენტრალურ კავკასიაში) შემოიღეს მმართველობის პირველი რუსული ერთიანი ადმინისტრაციული სისტემა. დაპყრობილ კავკასიაში ცარიზმმა ასევე თავისი ვალუტის – რუბლის აქტიური დანერგვა დაიწყო.

აღებული კურსის შესაბამისად მეფის მთავრობამ კავკასიაში 1846 წელს ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა. ცენტრალურ კავკასიაში შეიქმნა ექვსი გუბერნია – შემახის (1859 წლიდან ბაქოსი), ტიფლისის, ქუთაისის, ერევნის, ელიზავეტპოლის და ჩერნომორსკის. ჯერ კიდევ 1844 წელს, შამილის გამოსვლების გააქტიურებასთან დაკავშირებით, ჭარ-ბელაქნის ოლქი ამავე სახელწოდების სამხედრო ოლქად გადაიქცა, რომლის უფროსსაც გუბერნატორის უფლებები მიენიჭა. ჩრდილოეთ კავკასიაში, არსებული ასტრახანის გუბერნიის გარდა, 1846-1847 წლებში დერბენტისა და სტავროპოლის გუბერნიები შეიქმნა (იხ. ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1

კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში: 1721-1917 წწ.

რეგიონი	გუბერნიები		ოლქები		ოკრუგები	
	სახელწოდება	წლები	სახელწოდება	წლები	სახელწოდება	წლები
ჩრდილოეთ კავკასია	ასტრახანის	1715-1785, 1796	ასტრახანის	1785-1796		
	კავკასიის	1785-1822	კავკასიის	1822-1847		
	სტავროპოლის	1847-1917				
	დერბენტის	1846-1860	დალესტნის	1860-1917		

რეგიონი	გუბერნიები		ოლქები		ოკრუგები		
	სახელწოდება	წლები	სახელწოდება	წლები	სახელწოდება	წლები	
ჩრდილოეთ კავკასია			„დონის ჯარის ოლქი“ ტერის ყუბანის	1786-1917 1806-1917 1860-1920			
	ჩერნომორსკის	1896-1917			ჩერნომორსკი	1867	
ცენტრალური კავკასია	საქართველო	საქართველოს	1801				
		საქართველო-იმერეთის	1841-1846				
		ტიფლისის	1846-1917				
		ქუთაისის	1846-1917	ბათუმის	1878-1917	სოხუმის	1866-1917
	აზერბაიჯანი	შემახის	1846-1859	კასპიის (დერბენტიდან ასტარამდე)	1722-1735		
		ერევნის	1850-1917	ჯარო-ბელაქნის	1830-1844	ჭარ-ბელაქნის ზაქათალის	1844-1860 1860-1917
		ბაქოს	1859-1917	კასპიის (ჩრდილოეთ აზერბაიჯანი)	1840-1846		
		ელიზაბეტპოლის	1868-1917				
	სამხრეთი დასავლეთი კავკასია			ყარსის	1878-1917		
				ახალციხის	1828-1917		
სამხრეთი შავი ზღვის კავკასია			კასპიის (ასტარადან რეშტამდე)	1722-1732			

კავკასიაში სამეფო ხელისუფალთ მთლიანად მოსპეს ადგილობრივი სახელმწიფო წარმონაქმნების ჯერ კიდევ შემორჩენილი „დამოუკიდებლობის“ ნაშთები. ასე მაგალითად, XIX საუკუნის 60-იან წლებში გააუქმეს დალესტინის სახანოები (კოურთა, მეხტულთა, ავართა) და საშამხლო. ცენტრალურ კავკასიაში იმავე წლებში ავტონომია საბოლოოდ დაკარგეს აფხაზეთმა, სამეგრელომ და სვანეთმა (Гаприндашвили, и Жордания (ред.), 1990, сс. 165, 167-168).

სამხრეთ კავკასიაში, როგორც სამხრეთ-დასავლეთ, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში, მათ შორის ყარსის საფაშოსა (ოსმალთა სახელმწიფოს შემადგენლობაში) და აზერბაიჯანის (თავრიზის) საბეგლარბეგოში (ირანის შემადგენლობაში), XIX საუკუნის შუა წლებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო შესაბამისი სახელმწიფო ცენტრების ადრინდელი მმართველობითი სისტემები და მათი ვალუტა.

ოსმალთა სახელმწიფოსთან ომში რუსეთის იმპერიის გამარჯვების შედეგად 1878 წელს ყარსის საფაშო მეფის ხელისუფალთა კონტროლს დაუქვემდებარა. აქაც მმართველობის რუსული სისტემა დამყარდა, კავკასიის სამეფისნაცვლოს შემადგენლობაში ყარსის ოლქი შეიქმნა და მიმოქცევაში რუსული რუბლი შემოიღეს.

ამრიგად, 1878 წლიდან თითქმის მთელი კავკასია – ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი (ირანის შემადგენლობაში შემავალი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის გარდა) – რუსეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში შევიდა და ფუნქციონირებდა როგორც ერთიანი, მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური და საფინანსო-ინსტიტუციონალური სისტემა – კავკასიის სამეფისნაცვლო.

მხოლოდ 1917 წლის თებერვალში რუსეთის იმპერიის დაშლით გაუქმდა სამეფისნაცვლო კავკასიაში. 1918 წლიდან კავკასიის მხარის ტერიტორიაზე იქმნება დამოუკიდებელი რესპუბლიკები და ინტეგრირებული სახელმწიფო ერთეულები.

ასე მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში შეიქმნა და გარკვეულ ხანს მოქმედებდა დონის, ტერის, ყუბანისა და ჩერნომორსკის საბჭოთა რესპუბლიკები და სხვ. (მაგალითად, СИЭ, 1964, с. 305, 1965, с. 241, 1975, сс. 199-201). 1918 წელს მოხდა ამ ახალი სახელმწიფო წარმონაქმნების ნაწილის ინტეგრირება ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკაში (მასში შევიდნენ ყუბან-ჩერნომორსკის, ტერისა და სტავროპოლის საბჭოთა რესპუბლიკები) (მაგალითად, СИЭ, 1969, с. 671).

ასეთივე სიტუაცია შეიქმნა ცენტრალურ კავკასიაში, სადაც ყოფილი „ამიერკავკასიის“ გუბერნიების ბაზაზე 1918 წელს ინტეგრირებული სახელმწიფო – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა (მაგალითად, Алиев Иг. (ред.), 1995, сс. 350-351, Бердзенишвили, (ред.), 1961, сс. 294-297, Нерсисян (ред.), 1980, сс. 280-281). მან ერთ თვეზე ცოტა მეტ ხანს იარსება და სამ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ დაიშალა: აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკად (მაგალითად, Документы, 1998) არარატის რესპუბლიკად (მაგალითად, Саркисян, Худавердян, и Юзбашян, 1998, сс. 217-234) და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად (მაგალითად, Документы, 1919, сс. 332-338).

სამხრეთ კავკასიაში ასეთივე სურათი იხატება. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში წარმოიქმნება სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) დემოკრატიული რესპუბლიკა და არაზ-თურქთა რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში – აზადესტანის რესპუბლიკა და გილანის საბჭოთა რესპუბლიკა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში თავიანთი პოზიციების განმტკიცების შედეგად რუსეთის, ირანისა და თურქეთის ხელისუფალნი კავკასიაში (ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიაში) ადგილობრივი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნების

ლიკვიდაციის პოლიტიკას იწყებენ. თანდათან კავკასიის ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო გაუქმდა. ირანსა და თურქეთში ისინი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად – შესაბამისად ოსტანებად და ვილაიეთებად გარდაიქმნა. ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე (ჩრდილოეთი და ცენტრალური კავკასია) თავიდან საბჭოთა რესპუბლიკები შეიქმნა (ახალ – სოციალისტურ პრინციპებზე), რომლებიც მერე ინტეგრირებული იქნა ერთიან სახელმწიფო წარმონაქმნად თავისი საერთო-რეგიონული საფინანსო-ინსტიტუციონალური მართვის სისტემებითა და ვალუტით: ჩრდილოეთ კავკასიაში – მთიელთა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, ხოლო ცენტრალურ კავკასიაში – ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკად. საბჭოთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის სისტემის განვითარების კვალობაზე მოხდა ამ საერთო-რეგიონული პარტიულ-სამართლებრივი და საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების ლიკვიდაცია – შესაბამისად 1924 და 1936 წლებში.

ამავე დროს შენარჩუნდა საერთო-რეგიონული მართვის ინსტიტუტები: სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური – ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქები, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზა, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ენერგოსისტემა, ამიერკავკასიის უმაღლესი პარტიული სკოლა და ა.შ.; ეკონომიკური – შესაბამისი სტრუქტურები ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ცენტრალურ (საკავშირო) ორგანოებში (ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკური რაიონის). აღნიშნული ინსტიტუტები 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოქმედებდა.

ამრიგად, ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში კავკასია მართვის ხან ერთ და ხან მეორე იმპერიულ სისტემაში ექცეოდა:

ოსმალთა, სეფიანთა, ირანის, რუსეთისა და რუსეთ-საბჭოთა სისტემებში. ყველაზე სრული და მთლიანი რუსეთის იმპერიის მმართველობითი სისტემა იყო კავკასიის სამეფისნაცვლოს სახით, რომელიც ცალკეულ პერიოდებში თითქმის მთელ კავკასიას მოიცავდა (სამხრეთ-აღმოსავლეთ სუბრეგიონის გარდა, თუმცა მისი კასპიისპირა ნაწილი – გილანი 1722-1732 წლებში რუსეთის კასპიის ოლქის შემადგენლობაში შედიოდა).

XX საუკუნის 90-იან წლებში ცენტრალურ კავკასიაში დამოუკიდებელ რესპუბლიკათა შექმნით საბჭოთა კავკასიის ერთიანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცე დაიშალა და თითოეულმა ქვეყანამ, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთარი პოლიტიკურ-სამართლებრივი და საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნა დაიწყო. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს მათ ურთიერთშეხამებას მთელი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად.

ჩრდილოეთ კავკასია (ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური რაიონი), როგორც საბჭოთა პერიოდში, ერთიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში დარჩა. 2001 წელს, იგი იმხანად შექმნილ რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერალურ ოლქში შევიდა. ეს ჩრდილოეთ კავკასიის კიდევ უფრო მჭიდრო ინტეგრაციას გულისხმობს მაშინ, როცა ცოტა ხნის წინანდელ საბჭოთა წარსულში ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკა ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონთან უფრო მჭიდროდ იყო ინტეგრირებული.

სამხრეთ კავკასიაში, მის როგორც სამხრეთ-დასავლეთ, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში, შესაბამისად თურქეთის რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მართვისა და ვალუტის სისტემები დარჩა.

კავკასიაში ინტეგრაცია ბოლო ორ საუკუნეს, ძირითადად

რუსეთის (1785-1822 წლებში კავკასიის სამეფისნაცვლო ჩრდილოეთ კავკასიაში ცენტრით ეკატერინოგრადში, ხოლო 1844-1917 წლებში ის თანამიმდევრულად შეიცავდა ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ კავკასიას ცენტრით ქ. თბილისში) და საბჭოთა იმპერიების (მთიელთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 1920-1924 წლებში და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა 1922-1936 წლებში) მიერ ყალიბდებოდა და იმართებოდა. გარდა ამისა, „ცენტრმა“ (მოსკოვმა), გადავიდა რა მართვის პოლიტიკურ-ეკონომიკური პრინციპიდან პარტიულ-ეკონომიკურ პრინციპზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურო შექმნა და ამის თანახმად ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში და რუსეთის ფედერაციაში შესაბამისად ამიერკავკასიის და ჩრდილოკავკასიის ეკონომიკური რაიონები (1954-1991 წწ.) გამოყო. 1844-დან 1917 წლამდე ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი (1878 წლიდან) კავკასია რუსეთის იმპერიის კავკასიის სამეფისნაცვლოს შემადგენლობაში შედიოდა და კავკასიაში მეფისნაცვლისა და მისი აპარატის მიერ ქ. თბილისში ერთიანი საერთო-რეგიონული ცენტრიდან იმართებოდა. საბჭოთა იმპერიაში ჩრდილოეთი (მთიელთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და დაღესტნის ასსრ, შემდეგ ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური რაიონი) და ცენტრალური კავკასიის (ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურო) მართვის სისტემები ცალ-ცალკე იყო და მის კოორდინირებას მოსკოვი ახდენდა.

ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის პერიოდებში კავკასიის ხალხები თავიანთ ინტეგრირებულ სახელმწიფო წარმონაქმნებს და შესაბამისად მართვის საერთო-რე-

გიონულ საფინანსო-ეკონომიკურ და სამართლებრივ ინსტიტუტებს ქმნიდნენ. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა შეიხ შამილის იმამათი (1835-1856 წწ.) და მთიელთა რესპუბლიკა (1920-1924 წწ.), ცენტრალურ კავკასიაში – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა (1918 წლის აპრილი).

ამრიგად, კავკასიის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მოკლე ისტორიულმა ექსკურსმა გვიჩვენა, რომ, მისი წინააღმდეგობრივი ტენდენციებით აღსავსე ისტორიის მიუხედავად, აქ ინტეგრირებული წარმონაქმნები (მართვის სისტემები) მაინც ყალიბდებოდა. ეს შეინიშნებოდა როგორც კავკასიის მკვიდრი ხალხების დამოუკიდებლობის პერიოდებში, ისე იმ პერიოდებშიც, როცა ისინი მართვის განსხვავებულ იმპერიულ სისტემებში იმყოფებოდნენ, რაც რეგიონული ინტეგრაციის ობიექტური ტენდენციების არსებობას მოწმობს.

2.2. კავკასიის ინტეგრირებულობის თანამედროვე მდგომარეობა

ვიდრე უშუალოდ კავკასიაში თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების ანალიზზე გადავიდოდეთ, მცირეოდენი წიაღსვლა გავაკეთოთ ტერმინ „ინტეგრაციის“ მნიშვნელობის დასაზუსტებლად. დღეს ეს ტერმინი მეტად ფართოდაა გავრცელებული და ხშირად ერთმანეთისგან მეტად დაშორებულ მოვლენებს აღნიშნავს.

ჯერ ერთი, ინტეგრაციას უწოდებენ მსოფლიო დონეზე თანამშრომლობის პროცესებს (მაგალითად, როცა საქმე ეხება მსოფლიო საფინანსო სისტემაში ქვეყნების ინტეგრაციას, მსოფლიო ბაზრების ინტეგრაციას ან ინტეგრაციას ევროპასა და ამერიკას შორის). მეორე, არსებობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის რეგიონული ინტეგრაციის მყარი ცნება (აქ მაგალითად გამოდგება

ვეროკავშირი, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია). მესამე, ბოლო ხანს ხშირად ახსენებენ ერთი და იმავე სახელმწიფოს ოლქებსა და ბაზრებს შორის ინტეგრაციას.

აღსანიშნავია, რომ სამივე ამ მოვლენას სრულიად განსხვავებული ბუნება აქვს და განსხვავებული კანონებით ვითარდება. აქ შევეხებით ინტეგრაციას მისი პირვანდელი და ყველაზე გავრცელებული გაგებით – რეგიონულ ინტეგრაციას ცალკეულ ქვეყნებს შორის. ამასთან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ეკონომიკური ინტეგრაცია – თანამშრომლობის თვისებრივად უფრო მაღალი საფეხური, როცა ცალკეული ქვეყნების აღწარმოებით პროცესებში ორგანული შეთანხმება მიიღწევა. მათი სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და მათ შორის საბაზრო ურთიერთობის არსებობის პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოთაშორისი კოოპერაციისა და გაცვლის სფეროების ურთიერთშეთანხმებული განვითარება.

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე ცენტრალურ კავკასიაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოქმნის შედეგად მათ კვლავ მიეცათ ერთიან ეკონომიკურ კავშირში ინტეგრირების შესაძლებლობა, რაც მთლიანად რეგიონის და ცალკეულად მისი ყოველი სუბიექტის განვითარების არსებით ინტერესებს შეესაბამება. ამის რეალიზება მხოლოდ კავკასიის ინტეგრაციის რეალისტური მოდელის შემუშავების შემთხვევაში შეიძლება.

XVIII-XX საუკუნეებში კავკასიის მართვის სისტემის მოკლე ისტორიულმა ექსკურსმა გვიჩვენა, რომ რეგიონის ხალხები ინტეგრაციას ესწრაფოდნენ როგორც დიდ რეგიონულ სახელმწიფოებზე დამოკიდებულების პერიოდებში, ისე დამოუკიდებლობის წლებში. ამის შედეგად, საბოლოო ანგარიშით, ჩამოყალიბდა სხვადასხვა

ტიპის ინტეგრირებული სახელმწიფო წარმონაქმნები თავიანთი განსაკუთრებული მმართველობითი და საფინანსო-ინსტიტუციონალური სტრუქტურებითა და ერთიანი ვალუტით. ეს ინტეგრირებული სახელმწიფო წარმონაქმნები, ძირითადად, რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში, ანუ ცენტრალურ და ჩრდილოეთ კავკასიაში ყალიბდებოდა. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, რომლის ნაწილებიც თურქეთისა და ირანის შემადგენლობაში შედიოდა და შედის, აქ არ შექმნილა დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნები და შესაბამისად მათი ინტეგრაცია გამორიცხული იყო. ამ ტერიტორიებზე პერიოდულად ან დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნები წარმოიშვებოდა, ანდა ისინი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი კავკასიის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთვებოდნენ.

ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედი პოლიტიკური პრინციპების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დაშლამდე სამხრეთ კავკასია „რკინის ფარდის“ მიღმა იმყოფებოდა. აღნიშნული მიზეზით ინტეგრაციული პროცესები, ძირითადად, ჩრდილოეთ და ცენტრალურ კავკასიას შორის ვითარდებოდა, ხოლო კავკასიის სამხრეთი ნაწილი საერთო-კავკასიური ინტეგრაციის მიღმა რჩებოდა. იგივე შეიძლება ითქვას სამხრეთ კავკასიის ნაწილებზეც, ანუ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიას შორის ინტეგრაციული პროცესების შესახებაც.

დღეს ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც რვა რესპუბლიკისგან (ადიღე, დაღესტანი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია, ყალმუხეთი) და ოთხი ადმინისტრაციული ერთეულისგან (კრასნოდარის, სტავროპოლის, როსტოვისა და ასტრახანის ოლქები) შედგება, რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერაციულ ოლქში შედის². ჩრდილოეთ

კავკასიის ტერიტორიაზე, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დროს, კვალავაც მოქმედებს ერთიანი ვალუტა – რუბლი, აგრეთვე ერთიანი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტები და რეგიონული ინტეგრაციის საფინანსო-საკრედიტო მექანიზმები.

შექმნილ პირობებში ცენტრალურ კავკასიაში მდებარე სუბიექტები საფინანსო-კონსტიტუციონალურ ურთიერთობას ერთმანეთში დამოუკიდებლად ამყარებენ, თანაც ამ ურთიერთობაზე დამოკიდებულების ხარისხი განსხვავებულია და ქვეყნების ურთიერთობა სხვადასხვაგვარად ყალიბდება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ცენტრალური კავკასიის რესპუბლიკები მთელ რიგ ეკონომიკურ გაერთიანებებში შევიდნენ. კერძოდ, ეს გაერთიანებებია: ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა, საქართველო-უკრაინა-უზბეკეთ-აზერბაიჯან-მოლდოვის ალიანსი, ანუ სუუამი (შემდგომში საქართველო-უკრაინა-აზერბაიჯან-მოლდოვის ალიანსი, ანუ სუამი) და სხვ., თუმცა ამით საგრძნობი სარგებლობა მათ ჯერ არ მიუღიათ. ჩვენი აზრით, ეს გარემოება ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული გაერთიანებები ზედმეტად პოლიტიზებულია, ხოლო მეორე კი იმაში, რომ ისინი შექმნილ კი შეიქმნა, მაგრამ ახალ პირობებში თანამშრომლობის გამოცდილება არა აქვთ. ასე მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია არის მაჰმადიანური ქვეყნების კლუბი, რომელიც დიდი რეგიონის ერთმანეთისადმი სოლიდარული, მაგრამ განსხვავებული ორიენტაციის ქვეყნებს აერთიანებს, ისლამური ავღანეთით დაწყებული და საერო აზერბაიჯანით დამთავრებული. საგრძნობია მათი ფუნქციონირების მიზნების, პრინციპების, მეთოდებისა და ფორმების

სხვადასხვაობა, რამაც, რა თქმა უნდა, რეგიონული კავშირის სუბიექტთა ეკონომიკური განვითარების მიმართულებები და ტემპები განსაზღვრა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სივრცეში აგრეთვე იდგმება ნაბიჯები რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანების ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ სადღეისოდ მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო მათ სასურველი შედეგები არ მოჰყოლია. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1991 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნისას არსებული პოლიტიკური ხასიათის სირთულეები. გარდა ამისა, ახლა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის 27 სატარიფო და დაახლოებით 200 არასატარიფო საბაჟო შეზღუდვა მოქმედებს, რომლებიც, როგორც ნავარაუდევია, უახლოესი 10 წლის განმავლობაში თანდათან უნდა აღმოიფხვრას. ნელა ხორციელდება სუამში დასახული ეკონომიკური მიზნებიც. შედარებით აქტიურად ვითარდება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების თანამშრომლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში და სუამში ცენტრალური კავკასიის ქვეყნებიდან მხოლოდ აზერბაიჯანი და საქართველო მონაწილეობენ, სომხეთი კი ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში მონაწილეობს როგორც მეთვალყურე. დანარჩენ რეგიონულ გაერთიანებებში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) ეს ქვეყნები ერთდროულად მონაწილეობენ (ცხრილი 2.2).

XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს მეზობელ სახელმწიფოებთან საგარეო ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობებმა ხელი შეუწყო ამ რეგიონული გაერთიანებების ჩამოყალიბების დაჩქარებას. ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს წარმოედგინათ,

ცხრილი 2.2

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მონაწილეობა რეგიონულ გაერთიანებებში

ქვეყნები	გაერთიანებები				
	დსთ	ევრაზიის ეკონომიკური კავშირი	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია	სუამი	ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია
აზერბაიჯანი	+	-	+	+	+
საქართველო	+	-	+	+	-
სომხეთი	+	+	+	-	-

რომ ასეთი თანამშრომლობა სარგებლობას უფრო მალე მოიტანდა, თუ მოხდებოდა განსხვავებული, თუმცა ურთიერთშემავსებელი წარმოებრივი შესაძლებლობების მქონე ქვეყნების ინტეგრაცია ყველაზე რენტაბელურ დარგებში, ხოლო თავად ინტეგრაციის პროცესთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდებოდა სატარიფო შეზღუდვები და რეგიონული პრეფერენციებიც მეტად ზომიერი იქნებოდა. პრაქტიკულად კი რეგიონულ გაერთიანებათა სუბიექტები თავიანთ საქმიანობაში არ ხელმძღვანელობდნენ ზემოხსენებული მოსაზრებებით, შესაბამისად მისი ეფექტიც უმნიშვნელო აღმოჩნდა.

ავიღოთ, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ამოქმედების გეგმები. საბჭოთა პერიოდში ეს საწარმო ყოველწლიურად მილიონობით ტონა ფოლადსა და თუჯს უშვებდა, წარმოებისათვის კი მადანი აზერბაიჯანის ქალაქ დაშქესანიდან იგზავნებოდა. ამჟამად სერიოზული ინვესტორის მიზიდვის წარუმატებელი ცდების გამო კომბინატი დიდი ხანია უმოქმედოდა. ეს და სხვა მსგავსი მაგალითები გარკვეულწილად „ამუხრუჭებს“

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის განახლებას.

დიდ მნიშვნელობას იძენს მართვის სისტემების ინტეგრაციის დონეც. მაგალითად, ყველაზე ჩამოყალიბებულ ინტეგრაციულ გაერთიანებად შეგვიძლია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა მივიჩნიოთ, მაშინ, როცა სუამი ამ პროცესის მხოლოდ დასაწყისშია. ამასთან ერთად ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ ინტეგრაციით მიღებული სარგებლობა განისაზღვრება არა მარტო საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის საზომებით, არამედ ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს სრულყოფისათვის ერთობლივი ძალისხმევითაც. მაგალითად, ისეთ რეგიონულ გაერთიანებებს, როგორცაა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, მძლავრი საბანკო სტრუქტურა აქვთ, ხოლო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სუამი მხოლოდ ახლა მიმართავენ ერთიანი სახელმწიფოთაშორისი ბანკის შექმნის ცდებს.

XX საუკუნის მსოფლიოში ეკონომიკური გაცვლის საერთაშორისო რეგულირების სისტემა ჩამოყალიბდა³. ამჟამად მისი განხორციელების ნორმებსა და წესებს ათანხმებენ სპეციალიზებული საერთაშორისო ინსტიტუტების ფარგლებში, ისეთების, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვ. კავკასიის ქვეყნები საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წევრები არიან და უშუალოდ თანამშრომლობენ ამ ორგანიზაციებთან: მთლიანად მათი ხვედრითი წილი იმ კრედიტების საერთო მოცულობაში, რომლებიც ცენტრალური კავკასიის რესპუბლიკებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა გამოუყვეს, შესაბამისად 33,9 პროცენტსა და 56,2 პროცენტს შეადგენს.

როგორც 2.3 ცხრილის მონაცემები მოწმობს, 1995-2003 წლებში მსოფლიო ბანკმა აზერბაიჯანს 544,8 მლნ. აშშ დოლარი გამოუყო (ცენტრალური კავკასიის ხაზით ამ ორგანიზაციის საერთო მაჩვენებლის 33,0 პროცენტი), საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კი – 486,3 მლნ. აშშ დოლარი (48,9 პროცენტი); საქართველოს – შესაბამისად 511,1 მლნ. აშშ დოლარი (31,0 პროცენტი) და 304,1 მლნ. აშშ დოლარი (30,6 პროცენტი), სომხეთს – 593,0 მლნ. აშშ დოლარი (36,0 პროცენტი) და 203,7 მლნ. აშშ დოლარი (20,5 პროცენტი). დასახელებული საფინანსო ინსტიტუტები მათ მიერ გამოყოფილი კრედიტების მიხედვით პრევალირებენ ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში. შესაბამისად მათ წილად მოდის: აზერბაიჯანში – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ამ რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ყველა კრედიტის 43,7 პროცენტი და 39,0 პროცენტი; საქართველოში – 59,6 პროცენტი და 35,5 პროცენტი; სომხეთში – 71,4 პროცენტი და 24,5 პროცენტი.

მზარდ აქტიურობას, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ავლენს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რაც მეტად თვალნათლივ ვლინდება აზერბაიჯანში: მას 148,0 მლნ. აშშ დოლარი გამოუყვეს, რაც ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში ინვესტირებული საერთო თანხის 2/3 შეადგენს. აზერბაიჯანში თავიანთ საქმიანობას აფართოებენ აგრეთვე აზიის განვითარების ბანკი და ისლამური განვითარების ბანკი (იხ. ცხრილი 2.3).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან საქართველო და სომხეთი, აზერბაიჯანი კი შესვლის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს.

ცხრილი 23

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ცენტრალური კავკასიის ქვეყნებისათვის გამოყოფილი კრედიტები (01.07.2003 წლისთვის)

კრედიტორები	ქვეყნები							
	აზერბაიჯანი		საქართველო		სომხეთი		სულ	
	მლნ. აშშ დოლარი	%	მლნ. აშშ დოლარი	%	მლნ. აშშ დოლარი	%	მლნ. აშშ დოლარი	%
საერთაშორისო საცალკეო ფონდი	486,3	48,9	304,1	30,6	203,7	20,5	994,1	100
მსოფლიო ბანკი	544,8	33,0	511,1	31,0	593,0	36,0	1648,9	100
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	148,0	66,0	41,7	18,6	34,6	15,4	224,3	100
აზიის განვითარების ბანკი	5,9	100	-	-	-	-	5,9	100
ისლამური განვითარების ბანკი	61,8	100	-	-	-	-	61,8	100
სულ	1246,8	42,5	856,9	29,2	831,1	28,3	2935,0	100

2.3. საერთაშორისო ინტეგრაციის სახეობები და კავკასია

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოვყოთ საერთაშორისო ინტეგრაციის შემდეგი ძირითადი სახეობები (საფეხურები): თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური კავშირი და პოლიტიკური კავშირი. მათ, როგორც საერთო ნიშნები (ამა თუ იმ სახეობის ინტეგრაციაში ჩაბმულ ქვეყნებს შორის, ძირითადად, ისპობა ბიუროკრატიული ბარიერები საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში), ისე თავისი სპეციფიკაც ახასიათებთ.

მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობის ზონის პირობებში ქვეყნები ნებაყოფლობით უარს ამბობენ თავიანთი ეროვნული ბაზრების დაცვაზე მოცემულ გაერთიანებაში პარტნიორებთან ურთიერთობისას, ხოლო მესამე ქვეყნებთან ურთიერთობისას კოლექტიურად კი არა, ინდივიდუალურად მოქმედებენ, ანუ თავიანთ ეკონომიკურ სუვერენიტეტს ინარჩუნებენ. თავისუფალი ვაჭრობის ზონის ყოველი მონაწილე მესამე ქვეყნებთან საკუთარ ტარიფებს ადგენს. ასეთი სახის ინტეგრაცია მოქმედებს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ქვეყნებს და სხვა ინტეგრაციულ ჯგუფებს შორის. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ შეთანხმება პოტენციალურად შეიძლება მხოლოდ პირველი ნაბიჯი გახდეს და სრულმასშტაბიან ინტეგრაციულ პროცესებს მისცეს ბიძგი. ამ თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიული, ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს ეკონომიკური ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სატრანსპორტო კომუნიკაციების შექმნასა და მათი ეფექტიანი მუშაობისათვის პირობების ჩამოყალიბებას უკავშირდება.

საბაჟო კავშირის ფარგლებში მის ნევრთა საგარეო-სავაჭრო კავშირ-ურთიერთობა მესამე ქვეყნებთან კოლექტიურად განისაზღვრება: კავშირის მონაწილენი მესამე ქვეყნების წინააღმდეგ

ერთად ადგენენ ერთიან სატარიფო ბარიერს. ეს საშუალებას აძლევთ, უფრო საიმედოდ დაიცვან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერთიანი რეგიონული ეკონომიკური სივრცე და საერთაშორისო ასპარეზზე შეკავშირებულ სავაჭრო ბლოკად წარსდგნენ. თუმცა ამასთან მოცემული ინტეგრაციული გაერთიანების მონაწილენი კარგავენ თავიანთი საგარეო-ეკონომიკური სუვერენიტეტის ნაწილს. კერძოდ, ინტეგრაციის მსგავსი ვარიანტი, ევროკავშირის ფარგლებში ხორციელდებოდა.

ინტეგრაციულ გაერთიანებათა ისეთ დონეზე, როგორცაა საერთო ბაზარი, მნიშვნელობას ინარჩუნებს საბაჟო კავშირის ყველა პირობა. ამასთან უქმდება შეზღუდვები წარმოების სხვადასხვა ფაქტორის გადაადგილებაზე, რაც აძლიერებს მოცემული გაერთიანების წევრი ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას. ამასთან ქვეყნებს შორის გადაადგილების თავისუფლება ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი კოორდინაციის უფრო მაღალ ორგანიზაციულ დონეს მოითხოვს. ინტეგრაციული პროცესების მართვის ასეთი მეთოდი მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პერიოდულ თათბირებზე ხორციელდება.

საერთო ბაზარს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების დამასრულებელ ეტაპად ვერ მივიჩნევთ. მომნიშვნელებული ერთიანი საბაზრო სივრცის ჩამოყალიბებისათვის არ კმარა მხოლოდ ის, რომ სახელმწიფოთა საზღვრებზე თავისუფლად ხდებოდეს საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მუშახელის გადაადგილება. ევროპელ ექსპერტთა აზრით, საამისოდ საჭიროა შემდეგი ლონისძიებანი (Семенов, 2001, сс. 22-23):

- გადასახადების დონეთა გათანაბრება;
- ცალკეული საწარმოებისა და მთელი დარგებისათვის საბიუჯეტო სუბსიდიების გაუქმება;

- ეროვნულ შრომით და ეკონომიკურ კანონმდებლობებში განსხვავებათა დაძლევა;
- ეროვნული ტექნიკური და სანიტარიული სტანდარტების უნიფიკაცია;
- ეროვნული საფინანსო-საკრედიტო სტრუქტურებისა და სოციალური დაცვის სისტემების კოორდინაცია.

ამ ღონისძიებათა რეალიზაციას, რასაც თან სდევს ინტეგრაციის მონაწილეთა მიერ საგადასახადო, მონეტარული, ანტიმონოპოლიური, სამრეწველო, აგრარული და სოციალური პოლიტიკის შემდგომი კოორდინაცია, ეკონომიკურად გაერთიანებული ქვეყნების ერთიანი შიგარეგონული ბაზრის შექმნა მოსდევს. ინტეგრაციის ასეთ საფეხურს ეკონომიკურ კავშირს უწოდებენ. მისი განვითარების ამ ეტაპზე გაერთიანებულ ქვეყნებს უჩნდებათ საერთო-რეგიონული მმართველობითი სტრუქტურების მოთხოვნილება, რომლებიც არა მხოლოდ თვალყურს გაადევნებენ და კოორდინაციას გაუწევენ მათ ეკონომიკურ მოქმედებას, არამედ მთელი ინტეგრირებული ბლოკის სახელით ოპერატიულ გადაწყვეტილებებსაც მიიღებენ.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ არსებულ ინტეგრაციულ ჯგუფებს შორის ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე საბაჟო კავშირისა და საერთო ბაზრისა. ეკონომიკური კავშირის განვითარების კვალობაზე ქვეყნებში იქმნება წანამძღვრები პოლიტიკური კავშირისათვის, რომელიც რეგიონული ინტეგრაციის უმაღლესი საფეხურია და მომნიშვნელოვანი ერთიანი საბაზრო სივრცის მთლიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ორგანიზმად გარდაქმნას გულისხმობს. ეკონომიკური კავშირიდან პოლიტიკურზე გადასვლისას მასში მონაწილე ქვეყნების საგრეო-ეკონომიკური ურთიერთკავშირი შიგასახელმნიშვნელოვან კავშირში გადაიზრდება. მოცემულ შემთხვევაში ამ რეგიონის ფარგლებში

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემა არსებობას წყვეტს.

შესაძლო პოლიტიკური კავშირების ინსტიტუციონალური სტრუქტურა ჯერჯერობით საკმარისად გარკვეული არ არის. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ იგი მეტად მრავალგვარი იქნება ამა თუ იმ რეგიონის ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური პირობების შესაბამისად. მაგრამ ზოგადად საქმე ეხება მსოფლიო-ეკონომიკური და საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობის ახალი მრავალეროვანი სუბიექტების წარმოქმნას, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ კავშირების ყველა მონაწილის ინტერესებისა და პოლიტიკური ნების გამომხატველი ერთიანი ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური პოზიციით. ფაქტობრივად დაიწყო ახალი დიდი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ და ცენტრალური კავკასიის სახელმწიფო წარმონაქმნებს წარსულში უკვე პქონდათ ინტეგრაციის მაღალი ხარისხი, ანუ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური კავშირი. ამჟამად მას ადგილი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში აქვს – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და ოლქების ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ფორმით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის სუბიექტები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩნენ და აიმაღლეს პოლიტიკური სტატუსი (რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკიდან რესპუბლიკამდე). მათ, თითქოსდა, ინტეგრაციის (როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური) ისეთივე მაღალ დონეზე „აღადგინეს“ ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან (საბჭოთა კავშირის ფარგლებში), მაგრამ ამ სუბრეგიონმა თავისი გეოპოლიტიკური ფუნქცია ვერ შეიძინა და ამიტომ დამოუკიდე-

ბლად მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებას ვერ მოახდენს, ანუ გეოეკონომიკურ ფუნქციას ვერ შეასრულებს.

სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით თითქმის არ შეცვლილა. სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია კვლავაც თურქეთისა და ირანის შემადგენლობაში დარჩა, როგორც მათი ჩრდილო-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ოლქები. ამიტომ დღეს სამხრეთ კავკასიას, ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიას, მსოფლიო გაერთიანებაში დამოუკიდებლად ინტეგრირება არ შეუძლია.

მხოლოდ ცენტრალური კავკასიის რესპუბლიკებმა მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და კვლავ აღიდგინეს თავიანთი გეოპოლიტიკური ფუნქციები, რითაც მსოფლიო ეკონომიკაში დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ინტეგრირების, ანუ გეოეკონომიკური ფუნქციის შესრულების შესაძლებლობა მიიღეს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური კავკასია კვლავაც რჩება როგორც მსოფლიო, ისე რეგიონული სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების ზონად. მნიშვნელოვანილად სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოცემულ რეგიონს ეთნოპოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტები არყევს (მაგალითად, Goldenberg, 1994, ЗФЕНДИЕВ, 2006).

აქედან გამომდინარე, მსოფლიო გაერთიანებაში კავკასიის სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს და შეთანხმდეს სამი რეგიონული სახელმწიფოს – რუსეთის, თურქეთისა და ირანის – სუბიექტთა ინტერესები ცენტრალური კავკასიის მიერ გეოპოლიტიკური ფუნქციების შესრულებასთან (ან შეუსრულებლობასთან) დაკავშირებით. აგერ უკვე ხუთი ასწლეულია ეს დიდი რეგიონული სახელმწიფოები (ირანი, თურქეთი და რუსეთი), რომლებიც მთელ კავკასიაზე ბატონობის

ექსკლუზიურ უფლებას იჩემებენ, ერთმანეთთან გააფთრებულ ბრძოლას ანარმოებენ ევროატლანტიკურ სახელმწიფოთა მუდმივი და უშუალო მონაწილეობით, რაც, უეჭველია, კავკასიის რეგიონს როგორც გეოპოლიტიკური, ისე გეოეკონომიკური ფუნქციების შესრულებას ურთულებს.

ამავე დროს XXI საუკუნის დამდგეს ცენტრალურ კავკასიაში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა: თუ საბჭოთა კავშირის პერიოდში ცენტრალურ და ჩრდილოეთ კავკასიას შორის ინტეგრაციის უმაღლესი საფეხური არსებობდა, ხოლო სამხრეთ კავკასიასთან მათ ურთიერთობა თითქმის არ ჰქონდათ, ახალ პირობებში ცენტრალური კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობამ როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიასთან, არსებითად, ერთ დონეს მიაღწია, თანაც რაიმე შეზღუდვის გარეშე.

ცენტრალური კავკასიის შიგნით მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოთ როგორც არაერთგვაროვანი. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, უკვე 15 წელზე მეტია, სამხედრო კონფლიქტი გრძელდება. ამავდროულად საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ახალ პრინციპებზე დაყრდნობით აქტიურად შენდება და ვითარდება როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ურთიერთობა, რაც ინტეგრაციის უმაღლესი საფეხურების მიღწევისათვის რეალურ ნაწიმძღვრებს ქმნის. რაც შეეხება სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი შედარებით ნელა და ფრთხილად ვითარდება.

შენიშვნები

- ¹ 1982 წლიდან 1905 წლამდე კავკასიაში მეფისნაცვალის თანამდებობის მაგიერად მთავარმმართველის თანამდებობა შემოიღეს. იხ. მაგალითად. (Белухин А. (ред.), 2000, сс. 117, 196, 2001, с. 98).
- ² რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერაციული ოლქი, ჩრდილოეთ კავკასიის გარდა ვოლგოგრადის ოლქსაც შეიცავს.
- ³ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მეტად საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. გერმანიის ეკონომიკის ინსტიტუტის (ქ. კელნი) ექსპერტთა მონაცემებით, XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდამდე საერთაშორისო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობები დაახლოებით ერთნაირი ტემპით მატულობდა – წელიწადში 7 პროცენტით. 1988 წლის შემდეგ ტემპები საგრძნობლად განსხვავებულია: უცხოური ინვესტიციები 2-ჯერ უფრო სწრაფად მატულობდა, ვიდრე ვაჭრობა. თუ ამ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ზრდა წელიწადში 10 პროცენტს შეადგენდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყოველწლიურად 19 პროცენტით იზრდებოდა (Mitra, Selowsky. et al., 2002).

3.1. გლობალიზაცია და რეგიონალიზმი

კავკასიის გეოისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ რეგიონის სოციალ-ეკონომიკური სივრცე თავისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გეოპოლიტიკურ ფუნქციებსაც ასრულებდა და გეოეკონომიკურსაც. მათ შორის თანაფარდობა ისტორიული განვითარების სტადიების მიხედვით იცვლებოდა: თუ სრული დამოკიდებლობის წლებში, ანუ ამა თუ იმ იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, მთელ კავკასიას ან მის ცალკეულ ნაწილებს არანაირი გეოფუნქციების შესრულება არ შეეძლოთ, დამოკიდებულების სხვადასხვა ხარისხის პერიოდებში ესა თუ ის გეოფუნქცია ხორციელდებოდა, ხოლო დამოუკიდებლობის ეტაპზე ორივე მისი ზემოხსენებული ფუნქცია სრულდებოდა.

მაგალითად, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის მომენტიდან და საბჭოთა იმპერიის პერიოდში რეგიონი შესაბამისად რუსეთისა და საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო და ამიტომ არც გეოპოლიტიკური და არც გეოეკონომიკური ფუნქციების შესრულება არ შეეძლო¹. ამჟამად, ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, მისი ორივე აღნიშნული ფუნქციის – როგორც გეოპოლიტიკურის, ისე გეოეკონომიკურის – აღდგენა ხდება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე უფრო ინტენსიურად უნდა განვითარდეს რეგიონის გეოეკონომიკური ფუნქცია.

მაგრამ ცენტრალურ კავკასიაში გეოპოლიტიკური მიდრეკილებანი (ეროვნული იდეით მეტისმეტ გატაცებასთან ერთად) ჯერ კიდევ ძლიერ გავლენას ახდენს გეოეკონომიკური ფუნქციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ახალი მკაფიო და შენონასწორებული გეოეკონომიკური სტრატეგიის აქტიურ ძიებასა და შემუშავებას. ამასთან დაკავშირებით XXI საუკუნეში ცენტრალური კავკასიის ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა, თვითონ უნდა ისწრაფოდნენ, რომ რეგიონში უპირატესი არა გეოპოლიტიკური, არამედ გეოეკონომიკური ფუნქციები იყოს. თუ, ბოლოს და ბოლოს, რეგიონი დაინყებს თავისი გეოეკონომიკური ფუნქციის შენონასწორებულად შესრულებას და შეძლებს თანამიმდევრულად განავითაროს იგი, რაც საშუალებას მისცემს შემდგომში, შეიმუშაოს და შეასრულოს შეთანხმებული გეოპოლიტიკური ფუნქცია. ამით კი მოგებული დარჩებიან როგორც რეგიონის ქვეყნები, ისე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკა. მხოლოდ გეოეკონომიკური ფუნქციის უპირატესი გაძლიერებით შეძლებს კავკასია გახდეს გლობალიზაციაში ჩართული მსოფლიოს ერთიანი, მთლიანი და ეფექტიანი ფუნქციური შემადგენელი.

მსოფლიო ისტორია ისეთ ცვლილებათა უსასრულო რიგს, „კალეიდოსკოპს“ წარმოადგენს, როცა სივრცე და მისი შემადგენელი კომპონენტები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ძალოვანი და ა. შ.) კონკრეტულად განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვარორიენტირებს „მიეკედლებიან“. საბოლოო ანგარიშით, ჩნდება ახალი ორიენტირები, განახლებას განიცდის ადრინდელი სივრცე, სახელმწიფოების ერთი ჯგუფის დაშლის სანაცვლოდ სხვები წარმოიქმნება. მაგრამ, მსგავსი პოლიტიკური ტრანსფორმაციების მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები მუდამ ორიენტირებულია მისი სუბიექტების მონაწილეობაზე და

მათ შორის ეფექტიანი ურთიერთობის დამყარებაზე, ანუ ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე. ეს სრულად ვლინდება კაცობრიობის განვითარების თანამედროვე სისტემითაც. XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში მკვეთრად გაძლიერდა ცენტრისკენული ძალების მოქმედება, რაც ისეთი პროცესებით გამოიხატა, როგორიცაა რეგიონალიზაცია და გლობალიზაცია, ყველა კონტინენტზე ინტეგრაციული ქვეყნებშორისი კავშირების შექმნა (Исмаилов, и Кенгерли, 2002).

მართლაც, ამჟამად მსოფლიო ეკონომიკა ერთ მთლიანობაში ინტეგრირებად, დინამიკურ, მუდმივად ცვალებად და არათანაბარ-ზომიერად განვითარებად სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც დაახლოებით 200 ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისაგან შედგება. მათ შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება ასიმეტრიულია: იმ ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფები, რომელთა შესაძლებლობანი საგრძნობლად დიფერენცირებულია, არათანაბრადაა ჩართული მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ამასთან, ისიც უდავოა, რომ არც ერთ ქვეყანას უკვე აღარ შეუძლია ეფექტიანად იარსებოს და უზრუნველყოს დინამიკური ცხოველმობა ეკონომიკური ავტარკიის პირობებში.

სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ სახელმწიფო წარმონაქმნებში შემავალი ქვეყნები თავიანთი ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში მსოფლიო ეკონომიკის სწრაფად ცვალებად პირობებთან ადაპტაციის რთულ პრობლემებს წააწყდნენ. მართლაც, რუსეთისა და საბჭოთა იმპერიებში ისინი ვერასოდეს გრძნობდნენ თავს გლობალური სისტემის დამოუკიდებელ მონაწილეებად, ამიტომაც მზად არ იყვნენ, შეესრულებინათ სრულფასოვანი მსოფლიო მოთამაშის როლი და დამოუკიდებლად დაეცვათ თავი შესაძლო არას-

ასიკეთო ზემოქმედებისაგან, ახალი გლობალური გამოწვევებისა და საფრთხისაგან. სწორედ ამიტომ არის საჭირო ასეთი „ადაპტირებადი“, ძიებითი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც ყოველ ქვეყანას საშუალებას მისცემს რეგიონული განვითარების ფარგლებში დროულად გარდაიქმნას და შენონასწორებულად განვითარდეს, რადგან მსოფლიო ეკონომიკური სისტემა ეროვნულ ეკონომიკათა მექანიკური ჯამი კი არა, საკუთარი გეოეკონომიკური და გეოფინანსური კანონების მქონე მთლიანი, თვითკმარი, თვითგანვითარებადი „პოპულაციაა“, ანუ მოძრავი საფინანსო-ეკონომიკური გლობალური სტრუქტურაა (Кочетов, 1999, с. 214).

სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათში იმ სიღრმეზე ცვლილებათა ტენდენციის განვითარების პირობებში, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სისტემანარმომქმნელი ფაქტორების შეცვლას უკავშირდება, XX საუკუნის 90-იან წლებში ხმარებაში შემოღებული „გეოეკონომიკის“ ცნება ნიშანდობლივია და გამიზნულია ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების ახალი ხარისხი ასახოს (Гаджиев К., 1998, с. 86 მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც იქმნება რამდენიმე მყარი სოციალურ-ეკონომიკური არეალი. ასეთ არეალს საფუძვლად უდევს ეკონომიკური პრაქტიკის ჩამოყალიბების სტრუქტურანარმომქმნელი ალგორითმები და ის ფუნდამენტური კონკურენტული უპირატესობანი, რომელთა რეალიზებაც შრომის მსოფლიო განაწილების სისტემაში ხდება და როგორც შედეგი, პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების საკუთარი სისტემით ხასიათდება.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკათა ინტეგრაცია განსხვავებული გზებით ხორციელდება. მათგან ერთ-ერთი ძირითადია იმ ქვეყნებ-

ის ინტეგრაციულ გაერთიანებათა ჩამოყალიბება, რომლებიც ერთიან გეოგრაფიულ სივრცეში მდებარეობს და განვითარების დაახლოებით ერთნაირი დონით ხასიათდება, ანუ მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის რეგიონალიზაცია².

3.2. რეგიონალიზმი პოსტსაბჭოთა სივრცეში

მსოფლიო ეკონომიკაში რეგიონული კავშირების ჩამოყალიბებაში ახალი ეპოქა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სოციალისტური ინტეგრაციული სისტემის (მაგალითად, Фазеев, 1974, СЭВ, 1972) და, უწინარეს ყოვლისა, მისი ორგანიზატორის და ძალოვანი საყრდენის – საბჭოთა კავშირის დაშლით დაიწყო. ორი სუბგლობალური ინტერნაციონალური წარმონაქმნის – კაპიტალიზმისა და სოციალიზმის – საპირისპირო ტენდენციების გაქრობამ, საბოლოო ანგარიშით, ბიძგი მისცა გლობალური და რეგიონული ინტეგრაციის კარდინალურად ახალ კანონზომიერებათა წარმონაქმნას (მაგალითად, Портной, 1997). ამის შედეგად მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ფუძემდებელ პრინციპად პოლიტიკური იდეოლოგიური აუცილებლობის ნაცვლად სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობა დამკვიდრდა.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს დაშლის შემდეგ მის მიერ დაკავებულ სივრცეში სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების საფუძველზე რეგიონალიზაციის თვისებრივად ახალი ვექტორები ყალიბდება, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

- ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყოფილი მონაწილე ქვეყნების ინტეგრაციული ურთიერთობის აღდგენა უკვე ჩამოყალიბებულ ინტეგრაციულ წარმონაქმნთან – ევროკავშირთან;

- პოსტსაბჭოთა სივრცის ფარგლებში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელი ინტეგრაციული ბლოკების ჩამოყალიბება;
- ცალკეული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების შესვლა ინტეგრაციულ კავშირებში იმ ქვეყნებთან, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას ესაზღვრებიან.

პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ფუნდამენტზე აგებული ინტეგრაციული წარმონაქმნის – ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს გაქრობამ ყოფილი სოციალისტური ბლოკის ნევრ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, პოლონეთი და სხვ.) მათთვის ჩვეულ სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ სივრცეში – ევროპის გაერთიანებაში ინტეგრირების საშუალება მისცა. ევროპულ ინტეგრაციაში აღმოსავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების, აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ჩართვა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ისინი ისტორიულად და გეოგრაფიულად მშობლიურ არეალს დაუბრუნდნენ. ამასთან შეინიშნება სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა ევროკავშირში შესვლის მისწრაფება: ყველაზე მკაფიოდ და თანამიმდევრულად ამას საქართველო, უკრაინა, და აზერბაიჯანი ავლენენ.

საბჭოთა კავშირის დაშლით მსოფლიო პოლიტიკური გაერთიანება თხუთმეტი ახალი სახელმწიფო სუბიექტით შეივსო, რომელთაგან თითოეულისათვის საარსებო მნიშვნელობის გახდა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში თავისი ნიშისა და თავისი ვექტორის მკაფიოდ განსაზღვრის პრობლემა (Илларионов, 1992). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კვალდაკვალ ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაც ევროკავშირში შესვლის კურსს დაადგა. თუმცა, პირველთაგან განსხვავებით,

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისათვის (ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოკლებით) დასავლეთთან დაახლოება სულაც არ ყოფილა მსოფლიო გაერთიანებაში მათი ინტეგრაციის ძირითადი მიმართულება. მათთვის ყველასთვის გაჩნდა და კვლავაც არსებობს როგორც სხვადასხვა რეგიონული გაერთიანებების, ისე სხვა ინტეგრაციული მიმართულებების ფარგლებში ინტეგრაციის შესაძლებლობანი.

ამასთან მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თავად პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციისკენ მიმართულ პროცესს. დამოუკიდებლობის რამდენიმე წლის განმავლობაში ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა მთელი რიგი რეგიონული გაერთიანებები შექმნეს, რაც მონშობს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში შენარჩუნებულია ინტეგრაციისათვის საჭირო (თუმცა კი განსხვავებული მიმართულების) პოტენციალი (სხვადასხვა ხალხები და რელიგიები). ეს პოტენციალი ემყარება პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ხალხების საერთო ისტორიულ წარსულს, მათ ხანგრძლივ თანაარსებობას რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რამაც განაპირობა ეკონომიკური, ტექნოლოგიური, კულტურული და სხვა თვალსაზრისით დღემდე შემორჩენილი სიახლოვე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის პირველ წლებში შეინიშნებოდა ეთნიკური და რელიგიური პრინციპებით კავშირების ჩამოყალიბების ინიციატივები, კერძოდ, სლავურ სახელმწიფოთა კავშირი, თურქულ სახელმწიფოთა გაერთიანება, მართლმადიდებელ სახელმწიფოთა კავშირი და სხვ. მაგრამ მთელ ამ ინიციატივებს ქმედით ინტეგრაციულ ერთეულთა შექმნა არ მოჰყოლია, ისინი, უკეთეს შემთხვევაში, კულტურულ სფეროში თანამშრომლობის გაფართოებით იფარგლებოდა. მოცემული ფაქტი დამაჯერებლად მონშობს, რომ რეგიონულ დონეზე ეფექტიანი ინტეგრაციული კავშირ-ურთიერ-

თობის მოგვარება მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრინციპის ბაზაზე ხდება (Исмаилов, и Кенгерли, 2002, с. 25).

საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული ინტეგრაციული სივრცის შენარჩუნების პირველი ცდა იყო რუსეთის ინიციატივით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრის, დაჩქარებული წესით შექმნა. მართალია, ეს გაერთიანება ინერციით კვლავაც ძირითადად ძველი პოლიტიკური-იდეოლოგიური მექანიზმებით ფუნქციონირებს, ახლა ინტენსიურად ეძებენ ინტეგრაციულ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის გზებს, რათა შეინარჩუნონ და განავითარონ პოსტსაბჭოთა ინტეგრაციული სივრცე, მაგრამ უკვე სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპებზე დაყრდნობით (მაგალითად, Friedman, 1996, Pirozhkov, 2001, Аббасов, 2002, Резникова, 2000, Шмелёв, 1999).

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ათ წელზე მეტი ხნის გამოცდილებამ (მაგალითად, Арцишевский, и Промский, 2001, Гринберг, и Вардомский, 2001, Гринберг, Зевин, и др., 2001, Исингарин, 2001, Константинов, 2002, Кротов, 2001, Некипелов, 2002, Покровский, 2002, Шульга, (рук. авт. колл.), 2001, Шумский, 2001, ცხადყო, რომ ეს-ესაა ჩასახული სოციალურ-ეკონომიკური პრინციპი ჯერ კიდევ არ არის მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის მასშტაბით ინტეგრაციის ისეთივე ეფექტიანი საფუძველი, როგორც თავის დროზე პოლიტიკური-იდეოლოგიური პრინციპი იყო. ამ უკანასკნელის შესაბამისად ყოფილი საბჭოთა კავშირის სუბიექტებს შორის ყველა არსებითი წინააღმდეგობა, ძირითადად, ძალისმიერი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ხერხით წყდებოდა. სწორედ ამ მიზეზით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შიგნით კვლავაც მოუგვარებელია მთელი რიგი ეროვნებათაშორისი და ტერიტორიული კონფლიქტები (მაგალითად, Coppieters, Zverev,

and Trenin (eds.), 1998, Ehrhart, Kreikemeyer, and Zagorski (eds.), 1995, 1998, Kremenyuk, 1994), რომლებიც წარმოიქმნა და ყველაზე მწვავე ფორმით კავკასიაში გამოვლინდა (მაგალითად, Goldenberg, 1994). როგორც ჩანს, ახლანდელ პირობებში პოსტსაბჭოთა სივრცეში უფრო ეფექტიანი ინტეგრაცია შეიძლება ცალკეული რეგიონული კავშირების ფორმით მოხდეს, რომელშიც შედარებით შეზღუდული იქნება მონაწილეთა რაოდენობა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შემდეგ პირველი მსგავსი ორგანიზაცია რუსეთისა და ბელარუსის საბაჟო კავშირი გახდა (ეთნოპოლიტიკური პრინციპი), რომელსაც შემდეგ ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი შეუერთდნენ. 2000 წელს ეს ორგანიზაცია ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად გარდაიქმნა (მაგალითად, Кононович, 2004, Черкасов, 2003). მეორე ანალოგიური გაერთიანებაა სუუამი (მაგალითად, Matiichik, 2004, Буркинский, и Степанов, 2001, Курбанов, 2005, Насиров, 2002)³ – საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის მიერ დაარსებული ორგანიზაცია, რომელსაც შემდეგ დროებით უზბეკეთიც შეუერთდა. 2005 წლის მაისში სუუამი გარდაიქმნა სუამად, რადგან მისი შემადგენლობიდან გამოვიდა უზბეკეთი. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე ახალი სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნის შექმნა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში რეგიონულ გაერთიანებათა შორის შეგვიძლია გამოვყოთ აგრეთვე ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანება, რომლის შემადგენლობაშიც 1994 წლიდან შედიან ყაზახეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი, ხოლო 1998 წლის მარტიდან ტაჯიკეთი⁴.

ამავე დროს, ბოლო ათწლეულში საბჭოთა კავშირის პრაქტიკულად ყველა ყოფილი რესპუბლიკა იმ სხვადასხვა რეგიონული

ინტეგრაციული გაერთიანების მონაწილე გახდა, რომლებიც დამ-
ლილი საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ტერიტორიებს მოიცავენ.
მათ შორის აღსანიშნავია:

- ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (მაგალითად, Есиуsнаев, 1996), რომლის მონაწილენიც არიან მაჰმადიანური ქვეყნები – პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი) ერთად მონაწილეობენ აგრეთვე „მოსაზღვრე“ სახელმწიფოები (თურქეთი, პაკისტანი, ირანი, ავღანეთი);
- შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (მაგალითად, Борисенко, 1999, Гончаренко, 2001)⁴, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლობენ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები (რუსეთი, უკრაინა, საქართველო და სხვ.) და „მოსაზღვრე“ სახელმწიფოები (თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვ.);
- მანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (მაგალითად, Агупова, and Goriunkov, 2004, Глумсков, 2005, Григорьева, 2000, Реутов, 2000, Строкань, 2001), რომლის მონაწილენიც არიან ყაზახეთი, ყირგიზეთი, ჩინეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი.

ამრიგად, რეგიონული ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცის საზღვრებს სცდება და თანდათან თავის ორბიტაში ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებს აქცევს, ერთი მხრივ, მათ მსოფლიო ეკონომიკაში შესვლას უწყობს ხელს, ხოლო მეორე მხრივ, – ამ სივრცეში მსოფლიო და რეგიონული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ცენტრების გავლენის გაძლიერებას იწვევს.

ახლა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციის სხვადასხვა მიმართულებების უამრავი ვექტორი და რეგიონული „კუნძული“ არსებობს. ინტეგრაციული მიმართულებების

ყოველი ქვეყანა, „გლობალურ საზოგადოებაში“ შესვლის გზების ამ მრავალფეროვან სპექტრში თავისი ადგილისა და როლის ხედიდან გამომდინარე, ისწრაფვის თავისთვის ოპტიმალური ვარიანტები შეარჩიოს და ამის შესაბამისად მოკავშირეებსა და პარტნიორებს ეძებს (მაგალითად, Ефимова, и Алаев (ред.), 1999, Чешков, 1999, Шульга, (рук. авт. колл.), 2001).

პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციული პროცესების ანალიზ-მა გვიჩვენა, რომ სოციალურ-ეკონომიკურ პრინციპებზე შექმნილ რეგიონულ ინტეგრაციულ წარმონაქმნებში კავკასიის ყველა სახელმწიფო მონაწილეობს. ყველა რეგიონული წარმონაქმნი, რომლებშიც ეს სახელმწიფოები შედიან, შეგვიძლია პერსპექტიულად სტრატეგიულ, მათი განვითარების პროცესის შემავსებელ და დამაჩქარებელ წარმონაქმნებად მივიჩნიოთ. ხოლო კავკასიური ინტეგრაცია, რომლის ბუნებრივობა და გარდაუვალობა წინა ისტორიულმა ევოლუციამ განაპირობა, პრიორიტეტულ, საარსებოდ აუცილებელ პროცესს წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს, რაც შეიძლება სრულად განხორციელდეს ამ უკანასკნელთა ინტერესები (Исмаилов Э., 1998). შიგაკავკასიური რეგიონული ინტეგრაციული პროცესებით დაინტერესებული არიან არა მხოლოდ თავად კავკასიის სახელმწიფოები, არამედ მთელი მსოფლიო გაერთიანებაც, რადგან მხოლოდ ინტეგრირებულ, შიგა კონფლიქტებისაგან თავისუფალ კავკასიას შეუძლია ეფექტიანად შეასრულოს თავისი პლანეტური ფუნქცია, იყოს „დასავლეთსა“ და „აღმოსავლეთს“, აგრეთვე „ჩრდილოეთსა“ და „სამხრეთს“ შორის გადებული ხიდი, და ამით, ხელი შეუწყოს გლობალიზაციის პროცესს.

3.3. „ახალი რეგიონალიზმი“

XX საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოში ტერიტორიული პოლიტიკის სტაბილიზაციის შემდეგ, უკვე ამ პერიოდის დამლევს დაიწყო მნიშვნელოვანი რეგიონული აქტიურობის ნიშნების გამოვლენა. მისი ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორები გახდა ეკონომიკაში ფუნქციონალური ცვლილებები, შეხამებული ტერიტორიის პოლიტიკური მობილიზაციის ახალ ფორმებთან და სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის გადასინჯვასთან. ამასთან თვალნათლივ შეინიშნებოდა ცვალებადი კონტექსტი, რომელსაც არა მხოლოდ სახელმწიფო, როგორც ადრე – „ქველი რეგიონალიზმის“⁶ დროს, არამედ აგრეთვე ტრანსფორმირებადი საერთაშორისო ბაზარი და წარმოქმნილი საერთაშორისო რეჟიმები განსაზღვრავდა.

საქმე ის არის, რომ სივრცითი დაგეგმვის გაფართოების პირობებში, ამ პროცესთან შესანიშნავად შეხამებულ რეგიონალიზმს ტერიტორიული განლაგებისა და გაცვლის დრომოჭმული მექანიზმები უკვე ვეღარ აკონტროლებდა. სახელმწიფო თავად მოდიფიცირდებოდა და ამ პროცესში მნიშვნელოვანწილად დაკარგა თავისი ადრინდელი უნარი, აკონტროლებდეს სივრცით ცვლილებებსა და განვითარებას. სახელმწიფოს ძალაუფლებრივ ფუნქციებს, მის ავტორიტეტს აქარწყლებდა ისეთი სამი ვექტორის ზემოქმედება, როგორიცაა: ინტერნაციონალიზაცია („ზემოდან“), რეგიონული და ადგილობრივი პრეტენზიები („ქვემოდან“) და საბაზრო და სამოქალაქო განვითარება („გვერდიდან“). შედეგად შესუსტდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკის, სოციალური განვითარების, ინსტიტუციონალური სტრუქტურის, კულტურის ხელმძღვანელობაში და ა. შ.

სწორედ ასეთი თანამიმდევრობით დაიწყო თანამედროვე რეგიონალიზმის ელემენტების წარმოქმნა, რასაც ეროვნული სახელ-

მნიფოს ფარგლების გადალახვა, ცვლილებებისაკენ სწრაფვა და ტრადიციებისადმი სრული ერთგულების უქონლობა ახასიათებდა. და მაინც, პრინციპული სხვაობის მიუხედავად, „ძველი“ და „ახალი“ რეგიონალიზმი არსებობას რთული თანამშრომლობის პირობებში განაგრძობს და საყოველთაოსა და განსაკუთრებულის ახალ სინთეზს ეძებს (Keating, 1998).

XX საუკუნის დამლევისა და XXI საუკუნის დამდეგის საერთაშორისო ურთიერთობა „ახალი რეგიონალიზმის“⁷ ხასიათით გამოირჩევა. იდეები, რომლებსაც იგი აყალიბებს, დღეს მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში და კონტინენტზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საფუძველია. ამ ფენომენის მნიშვნელობა მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა.

„ახალი რეგიონალიზმი“ ემყარება ცალკეული სავაჭრო პარტნიორებისა და ეკონომიკის აღმოსაჩენი სექტორების შერჩევას. იგი ხელს უწყობს მთელი რიგი ორმხრივი შეთანხმებების გამოყენებას იმ მიზნით, რომ პრეფერენციული პირობებით ჩამოყალიბდეს სტრატეგიული სავაჭრო ურთიერთობა მნიშვნელოვან ბაზრებთან, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. ახალი რეგიონალიზმი, გაგებული როგორც კომპლექსური სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენი, თავისი ხასიათით ტრანსნაციონალურია. თანამედროვე პირობებში მისი ბუნებისათვის დამახასიათებელია ინტეგრაციულობა: სუბნაციონალური ერთეულები, რომლებიც მთელი რიგი მიზეზების გამო საკუთარ ქვეყანაში თავს ვინროდ გრძნობენ, ასეა თუ ისე, თავისი ადგილის ძებნას უფრო ფართო გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში იწყებენ. ეს ერთეულები, ახლებურად აგებენ რა ურთიერთობას „დედა“ სახელმწიფოსთან, იმავდროულად უფრო რთულ ურთიერთობას ამყარებენ

მეზობელ ტერიტორიებთან. ამის შედეგად ჩამოყალიბებული მსოფლიოს გეორეგიონული სურათი სხვადასხვა ხარისხის შეკავშირებისა და ფორმალიზაციის ტრანსნაციონალური ალიანსების კომბინაციას წარმოადგენს. ამგვარი ვითარება, თავის მხრივ, ამ შედარებით ახალი მოვლენისადმი მნიშვნელოვან მეცნიერულ ინტერესს განაპირობებს და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მრავალი კონცეფციის გადასინჯვისათვის ბიძგს იძლევა⁸.

„ახალი რეგიონალიზმის“ ტრანსნაციონალური ხასიათი გლობალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების ეპოქასთან სახელმწიფო სტრუქტურების ადაპტაციის პრინციპულ საკითხებს აყენებს. იგი ლიბერალური ხასიათისაა და ცდილობს ნაკლებად საგრძნობი გახადოს განსხვავება „ინსაიდერებსა“ და „აუტსაიდერებს“ შორის და შეგვიძლია მივიჩნიოთ ინსტრუმენტად, რომლის დახმარებითაც ცენტრიდან გეოგრაფიულად დაშორებული ზოგიერთი ქვეყანა თავიდან ირიდებს სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ პერიფერიად პოტენციალურ გარდაქმნას. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება გავლენის სფეროების „რბილად“ განაწილება მთელ რიგ ქვეყნებს შორის, რომელთაგან თითოეული თავის დროზე ამა თუ იმ რეგიონული კავშირის შექმნის ინიციატორი იყო.

ეს „ახალი რეგიონალიზმი“, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუუიგივოთ სავაჭრო პროტექციონიზმისა და რეგიონული ეკონომიკური ბლოკების „გადამუშავებულ“ ვერსიას, მსოფლიო-ეკონომიკური პროცესების რეალიზაციის ახლანდელ ეტაპზე მასობრივ ხასიათს იძენს. „ძველი რეგიონალიზმისაგან“ განსხვავებით, პროფესორ ბიორნ ჰეტნეს გასაზღვრებით, იგი უფრო მრავალგანზომილებიანია, რაც შინაარსობრივად სავაჭრო-საფინანსო, სოციალურ-პოლიტიკურ, სამხედრო, ეკოლოგიურ და სხვა განზომილებათა ფართო სპექტრს შეიცავს (Hettne, 1999, pp. 7-8). „ახალი რეგი-

ონალიზმის" ცნებას მისი სპეციფიკის განმსაზღვრელი მთელი რიგი სხვა თავისებურებანიც ახასიათებს:

- ის ვითარდება როგორც მრავალპოლარულობის თანამედროვე ვერსია, ანუ ერთდროულად მაკრო- და მიკროეკონომიკურ დონეზე, არ იზღუდება ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებით, სულ უფრო მეტად შლის სახელმწიფო საზღვრებს და ადგილობრივი თავისებურებანი პირდაპირ გლობალურ სამყაროში გაჰყავს;
- მისი რეალიზება, როგორც წესი, ქვემოდან ხდება და არა ზემოდან (რასთან დაკავშირებითაც მოცემულ პროცესში სპონტანურობისა და ავტონომიურობის ელემენტები ვლინდება), შეიცავს როგორც ეკონომიკურ საკითხებს, ისე მათთან დაკავშირებულ პრობლემებს (ეკოლოგია, უსაფრთხოება და ა. შ.), გულისხმობს სახელმწიფო ერთეულებთან ერთად არასახელმწიფო და სუბნაციონალური ერთეულების მონაწილეობას;
- მიმდინარეობს რეგიონულ შეთანხმებებში შემავალ სახელმწიფოთა საერთო-მსოფლიო გლობალურ პროცესებში ინტეგრირების ოპტიმალური ხერხების, აგრეთვე იმ სპეციფიკური ადგილობრივი რესურსების (ფიზიკური, ინტელექტუალური და ა. შ.) ძიება, რომლებსაც შეუძლიათ ახალი თანამედროვე იმპულსი მისცენ თითოეული ქვეყნის განვითარებას მის მიერ უკვე დაგროვილი პოტენციალის ყოველმხრივ გამოყენებასთან ერთად;
- როგორც მრავალდონიანი ცნება, მოიცავს დიდ და ხასიათით განსხვავებულ რეგიონულ მაკროსტრუქტურებს (ევროკავშირი, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა და ა.შ.), რეგიონთა შორის სხვადასხვაგვარ ურთიერთობას, ყოველი ცალკეული რეგიონული წარმონაქმნის შიგა სტრუქტურას;

- პრევალირებს „ღია რეგიონალიზმის“ იდეების რეალიზაცია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას.

„ახალი რეგიონალიზმის“ ბუნებისათვის თანამედროვე პირობებში დამახასიათებელია ინტეგრირება: სუბნაციონალური ერთეულები, რომლებიც მთელი რიგი მიზეზების გამო საკუთარი ქვეყნის ფარგლებში თავს ვინროდ გრძნობენ, უფრო ფართო გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში იწყებენ ადგილის ძებნას. დღეს განვითარების მსგავსი დონის სახელმწიფოთა რეგიონულ ფარგლებში ინტეგრირება განპირობებულია იმით, რომ სირთულითა და ფართო ნომენკლატურით გამორჩეული თანამედროვე წარმოების პირობებში შიგა ბაზრები, თუნდაც შედარებით დიდი ქვეყნებისა, საკმარისი არ არის მათი ოპტიმალური განვითარებისათვის. ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის სფეროს გაფართოება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის უფრო წარმატებულ განვითარებას, რაც მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობას ზრდის. ერთიან რეგიონულ ეკონომიკურ სივრცეებში, ახლა რომ ყალიბდება, არა მხოლოდ აღმოიფხვრება შიგა დაბრკოლებები საგარეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის განვითარების გზაზე (ერთობლივი საბაჟო პოლიტიკის განხორციელების ხარჯზე), არამედ მიმდინარეობს აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებების – სტრუქტურული, ფულად-საკრედიტო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, სოციალური და ა. შ. – კოორდინაცია. ამით ყალიბდება მოცემულ რეგიონულ გაერთიანებაში შემავალი ეკონომიკური სუბიექტებისათვის პრეფერენციების განსაკუთრებული რეჟიმის მქონე ინტეგრაციის ზონები. ინტეგრაციულ გაერთიანებათა ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა სანარმოებისადმი, კომპანიებისა და ფირმებისადმი, როგორც წესი, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი გამოიყენება.

მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში სულ უფრო მტკიცდება „ახალი რეგიონალიზმის“ კონფიგურაცია. ბოლო 50 წლის განმავლობაში მსოფლიოში რამდენიმე წარმატებული გეოეკონომიკური არეალი, რეგიონული ინტეგრაციული კოალიცია და დაჯგუფება ჩამოყალიბდა. მათ შორისაა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ევროკავშირი, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია, სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზარი და სხვ. ისინი ყველა მკვიდრდება როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსები და ხასიათდება მათი შემადგენელი სახელმწიფოების მიზნებისა და ინტერესების ერთიანობის მნიშვნელოვანი ხარისხით. და ეს პროცესი გრძელდება¹⁰. ყველა ეს კავშირი, თუმცა ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება მთელი რიგი პარამეტრებით – მასშტაბითა და განვითარების ხარისხით, ეროვნულ ეკონომიკათა „შეზრდის“ დონით და ა. შ., გარკვეულწილად ავტონომიურ რეგიონულ ეკონომიკურ სივრცეს წარმოადგენს, სადაც ყველაზე ინტენსიურად მათში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთმოქმედება ვითარდება. ინტეგრაციულ დაჯგუფებათა ნეერი ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანების პარამეტრებზეა ორიენტირებული. მაგალითად, XX საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტის საერთო მოცულობაში 60 პროცენტი საკუთარი რეგიონის ფარგლებში ექსპორტზე მოდიოდა. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი 47 პროცენტს შეადგენდა, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიხედვით – 22 პროცენტს, სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზრის მიხედვით – 20 პროცენტს (Семенов, 2001).

„ახალი რეგიონალიზმი“ ემყარება რეგიონსა და საერთაშორისო

(მათ შორის ევროპულ, აზიურ და ა. შ.) წესრიგს შორის კავშირს, ამასთან რეგიონები ესწრაფვიან, თავიანთი ადგილი მონახონ სახელმწიფოში, კონტინენტზე და საერთაშორისო ბაზრებზე. ამ თვალსაზრისით ის სრულად შეესაბამება გლობალიზაციას (რადგან ქვეყნებსა და რეგიონებს ინტეგრაციის პროცესებში მონაწილეობის სტიმულებს უქმნის), უფრო ზუსტად კი, მის ლოკალურ ვარიანტს, ვაჭრობის ლიბერალიზაციის ალტერნატიულ საერთო-მსოფლიო მექანიზმს (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია). ყოველი რეგიონული ორგანიზაცია ეკონომიკური წარმატების რეცეპტის მიმართ თავის „კონსენსუსს“ აყალიბებს და თავისი საქმიანობის „ფოკუსირებას“ ორგანიზაციის ფარგლებში ახდენს. ამასთან „ახალი რეგიონალიზმი“ რეგიონებს შორის კონკურენციულ ბრძოლას აძლიერებს ნაცვლად იმისა, რომ შრომის ეროვნულ დანაწილებაში ახალ როლებს ანაწილებდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონალიზაცია, ერთი მხრივ, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მაგისტრალური, სტრუქტურნარ-მომქმნელი ტენდენციებისაგან ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკათა გარკვეულ განკერძოებას, მეორე მხრივ კი – მათ უფრო მჭიდრო გადაბმას, ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმად მათ შეზრდას, გლობალიზაციის ტენდენციებისათვის „შედუღებულ“ საყრდენი წერტილების შექმნას იწვევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეგიონული ინტეგრაცია გლობალიზაციის განვითარების აუცილებელი საფეხურია. ეს ურთიერთდაკავშირებული პროცესები ერთდროულად ხდება და ითვალისწინებს იმ წინააღმდეგობათა მოგვარებას, რომლებიც მიმდინარე ჯგუფურ (რეგიონულ) და გრძელვადიან (პლანეტურ) ინტერესებს შორის წარმოიქმნება.

რეგიონული ინტეგრაციის საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ დინამიკური სანარმოო სექტორის მქონე ქვეყნებმა,

რომელთა პროდუქციაც მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი იყო, შეძლეს სრულად გამოეყენებინათ რეგიონული კავშირების პოტენციური შესაძლებლობანი. პირიქით, წარმოებული პროდუქციის ვიწრო ნომენკლატურის მქონე ქვეყნებში, სადაც არ არის კონკურენცია და ბაზრის პირობებში მუშაობის გამოცდილება, რეგიონულ ინტეგრაციაში მონაწილეობის „ეფექტი“ ბევრად უფრო დაბალი აღმოჩნდა. ეს გარკვეულწილად ცენტრალური კავკასიის ქვეყნებსაც ეხებათ: მათი ეკონომიკა, როგორც საერთაშორისო შრომის დანაწილებაში ნაკლებად ინტეგრირებული, სულ უფრო მეტად იძენს პერიფერიული ეკონომიკის ნიშნებს, რომელიც ორიენტირებულია სათბობისა და ნედლეულის ექსპორტზე, აგრეთვე მაღალტექნოლოგიური მანქანათმშენებლობის პროდუქციისა და მზა სამომხმარებლო საქონლის იმპორტზე. სწორედ ამიტომ, ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობა ეს პასიური გეოეკონომიკური ნიშაა, მსოფლიო გაერთიანებაში ქვეყნის მდგომარეობისადმი და გარედან ზემოქმედებისადმი უალრესად მგრძნობიარე (Некрасова, 2000).

ამრიგად, ერთიანი, მაგრამ არაერთგვაროვანი გლობალური მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში აშკარად შეინიშნება სოციალურად და კულტურულად თავისთავადი იმ „დიდი სივრცის“ კონტურები, რომლის ნევრებიც საერთო სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებით და მიზნებით არიან გაერთიანებული. ამით მსოფლიოში მისი სოციალურ-ეკონომიკური განშრეეების ფონზე მაკრორეგიონული გეოეკონომიკური სივრცეების ჩამოყალიბება მიმდინარეობს, რომლებიც უმეტესწილად პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების კონცენტრაციას წარმოადგენს, გარე სამყაროზეა ორიენტირებული და გახსნილია გარე ბაზრებისათვის. სწორედ ამამი მდგომარეობს „ახალი რეგიონალიზმის“ არსი.

3.4. ცენტრალური კავკასია მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში და რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტიული მიმართულებები

კავკასია, როგორც მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური ობიექტი, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფანს წარმოადგენს. ამავე დროს, მოცემულ რეგიონს უზარმაზარი ნახშირწყალბადოვანი, ბუნებრივი და ადამიანისეული რესურსები აქვს, რის გამოც ახლა ე. წ. „მსოფლიო მთავრობის“¹¹ განსაკუთრებული ინტერესების სფეროშია მოქცეული. ამ უკანასკნელის ყველა სუბიექტს აქ თავისი ინტერესები აქვს და თავისებურად წარმოუდგენია კავკასიის მთლიანობა, და ამიტომ, თავისი საფინანსო-ძალაუფლებრივი ბერკეტების მეშვეობით გავლენას ახდენს კავკასიის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ინტეგრაციის პროცესზე და მათი განვითარების ტემპზე.

ამასთან „მსოფლიო მთავრობის“ სუბიექტებს – ევრაზიისა და ევროატლანტიკურ სახელმწიფოებს შორის ძალთა თანაფარდობა პერიოდულად იცვლება. ეს, თავის მხრივ, ყოველ ჯერზე რეგიონის მთლიანობის, კავკასიის სუბიექტების სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის, აგრეთვე მათი მოძრაობის ტემპისა და ფორმების ტრანსფორმაციას იწვევს.

კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის აღდგენა, ეკონომიკის გეგმური სისტემიდან საბაზროზე მათი გადასვლა, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ბლოკებსა და ორგანიზაციებში მათი მონაწილეობა შეუძლებელია იმ პრინციპულად ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების გარეშე, რომელიც პარიტეტულ და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე იგება, რაც პარტნიორებისა და მათი ურთიერთობის პირობების შერჩევის თავისუფლებას ითვალისწინებს.

XXI საუკუნეში კავკასიის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს მიეცათ, ყოველ შემთხვევაში, თეორიული შანსი, რომ ინტეგრირება მოახდინონ ერთიან ეკონომიკურ კავშირში, რომელიც მთლიანად რეგიონისა და ცალკეულად ყოველი მისი სუბიექტის განვითარების ძირეულ ინტერესებს შეესაბამება. კავკასიის სახელმწიფოებს, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ეროვნული ეკონომიკის თანდათანობითი შესვლის პოლიტიკას ადგანან, საჭიროდ მიიჩნევენ მონაწილეობას საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო კავშირებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც სხვადასხვა რეგიონულ ეკონომიკურ ქვესისტემებს განეკუთვნებიან.

კავკასიის სახელმწიფოთა დინამიკურ განვითარებას თან სდევს მათი ორგანული შესვლა მსოფლიო ეკონომიკურ გაერთიანებაში. ეს ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, უახლოეს მეზობლებთან მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციით (მაგალითად, სუამი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და სხვ.), აგრეთვე სხვა რეგიონულ ეკონომიკურ კავშირებთან (მაგალითად, ევროკავშირი, ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანება, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა) ურთიერთობის აქტიური მოგვარებით.

ამასთან ეკონომიკური ურთიერთმოქმედების გლობალური სქემის უქონლობა რეგიონის ყველა სუბიექტის ინტერესების ოპტიმალური ბალანსის ეროვნული და რეგიონული მექანიზმების შემუშავებას ართულებს. გარდა ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ კავკასიის სუბიექტთა ჰარმონიული განვითარების თვალსაზრისით ყველა რეგიონულ კავშირთან შედარებით მნიშვნელოვანი და ეფექტიანია ერთმანეთთან მათი სოციალურ-ეკონომიკური კავშირი, რაც ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა ხასიათის

ზოგადკავკასიური პრობლემების მთელი სპექტრის ერთობლივ და კომპლექსურ გადანყვეტას გულისხმობს.

რეგიონული ინტეგრაციის სავალდებულო პირობად, უნინარესად, უნდა გამოვყოთ მისი ყველა მონანილის მიერ შეთანხმებული პოლიტიკა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, სამართლებრივი რეგულირების, საერთო-რეგიონული საინფორმაციო ქსელის ჩამოყალიბების დარგში და ა. შ., რაც კავკასიის რეგიონში ინტეგრაციული პროცესების განვითარების შესაბამისი მექანიზმების შექმნისა და ფუნქციონირების აუცილებლობას განაპირობებს.

კავკასიის ინტეგრაციის პრიორიტეტულ მიმართულებათა რიცხვში შეტანილი უნდა იქნეს ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორცაა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, ვაჭრობა, გარემოს დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და ფარმაცევტიკა, ტურიზმი და ა. შ. გარდა ამისა მიზანშეწონილია თანამშრომლობის განვითარება საქმიანობის ისეთ მეტად მნიშვნელოვან ასპექტებში, როგორცაა ტექნოგენური კატასტროფებისა და ავარიების, ბუნებრივი უბედურებების შედეგების დაძლევა, ტერორიზმის, ნარკოტრეფიკისა და ორგანიზებული დამნაშავეობის, „შავი“ ფულის „გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამშრომლობის ყველაზე პერსპექტიული დარგებია ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. რეგიონში მათ წარმატებულ განვითარებას საწარმოო კოოპერაციის, ვაჭრობის, ტურიზმისა და სხვა სახის მომსახურების განვითარებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. დასახელებულ დარგებში პროექტების განხორციელება მომავალში ხელს შეუწყობს რეგიონში სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და კავშირგაბ-

მულობის ეფექტიანი და საიმედო სისტემის შექმნის ამოცანას, ვინაიდან ეს სისტემები კავკასიის ეკონომიკური სივრცის ფარგლებში თანამშრომლობის მთელი მექანიზმის საარსებო მნიშვნელობის არტერიებია. თუ ეს ამოცანა არ გადაიჭრა, შეუძლებელი იქნება თანამშრომლობის ყველა დანარჩენ სფეროში საგრძნობი შედეგების მიღწევა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების პოტენციალურ შესაძლებლობათა რეალიზაცია.

ამასთან უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო არტერიების სისტემის მნიშვნელობა, რომელიც, კავკასიას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით აქვს, რეგიონულ ფარგლებს სცილდება. მაგალითად, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტვირთზიდვის ბაზრის სპეციფიკას განაპირობებს ის მზარდი ინტერესი, რომელსაც უცხოეთის ქვეყნები მათი ტერიტორიის (მათ შორის საზღვაო ნავსადგურების) გავლით ტვირთის ტრანზიტისადმი იჩენენ. ცენტრალური კავკასიის ქვეყნებისათვის ყველაზე მასშტაბურად ეს ინტერესი გეოეკონომიკური ფაქტორებით ვლინდება¹², რაც საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ამ დარგში თანამშრომლობის განვითარებას გეოეკონომიკური მნიშვნელობა აქვს¹³.

ეს ინფრასტრუქტურა არა მარტო ხელს შეუწყობს კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციას, არამედ ჩართავს მათ კომუნიკაციების ტრანსევროპულ ქსელში, ხელს შეუწყობს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის გლობალური პროექტის განხორციელებას, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს ტვირთის (მათ შორის ნედლეულის) უზარმაზარი ნაკადების გადაზიდვა დასავლეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებებით. ამასთან დაკავშირებით ცნობილია აზერბაიჯანისა და საქართველოს პოზიცია, რომლებიც უპირველეს მნიშვნელობას ტრასეკას პროექტს – ევროპის, კავკასიის და აზიის გამაერთიანებელი საერთაშორისო სატრანსპორტო გზების ათვისებას ანიჭებენ¹⁴.

საქმე ის არის, რომ ცენტრალური კავკასიის არსებული სატრანსპორტო ქსელი ყოფილი საბჭოთა კავშირის კომუნიკაციების „ნამსხვრევია“, აქ პრაქტიკულად არ არის თანამედროვე ჩქაროსნული მაგისტრალები. ამიტომაც სტრატეგიული მნიშვნელობისაა რეგიონის შეცვლილი გეოსტრატეგიული მდგომარეობის შესაბამისად „საკომუნიკაციო კარკასის“ ჩამოყალიბების ამოცანა. როგორც აზერბაიჯანის, ისე საქართველოს მომავალი მნიშვნელოვანი დასავლეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის, ანუ როგორც განედის, ისე მერიდიანის მიმართულებით საკომუნიკაციო ღერძებზე გეოეკონომიკური ფუნქციების რეალიზაციით განისაზღვრება. ეს მათ საშუალებას მისცემს თავიანთი გეოეკონომიკური შესაძლებლობანი უფრო სრული მოცულობით გამოიყენონ, ამასთან აღნიშნული მიმართულებებით სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ხიდის ფუნქციები შეასრულონ.

ევროპა-კავკასია-აზიის უსაფრთხო და ეფექტიანი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ღერეფნის მნიშვნელობას განაპირობებს აგრეთვე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის განვითარების მაღალი დინამიკა. ამასთან დაკავშირებით მაქსიმალურ სარგებლობას – დამატებით სამუშაო ადგილებს, მოგებას, ინვესტიციებს – მიიღებენ ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ თავიანთ სატრანსპორტო კომუნიკაციებზე ევრაზიის სატრანზიტო ტვირთნაკადები მიიზიდონ. სწორედ ამიტომ მრავალმა ქვეყანამ, რეგიონულმა კავშირმა, დარგობრივმა გაერთიანებამ და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა გზების მშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტები გამოჰყვეს. მაგალითად, მათ შორის მარტო აზერბაიჯანის მიხედვით 2004 წლის შუა პერიოდის მდგომარეობისათვის შეგვიძლია დავასახელოთ მსოფლიო ბანკი – 40 მლნ. აშშ დოლარი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი – 41 მლნ. აშშ დოლარი,

ირანი – 40 მლნ. აშშ დოლარი, ქუვეითის ფონდი – 47,5 მლნ. აშშ დოლარი, ისლამური განვითარების ბანკი – 44,4 მლნ. აშშ დოლარი, აზიის განვითარების ბანკი – 38 მლნ. აშშ დოლარი, საუდის განვითარების ფონდი – 15 მლნ. აშშ დოლარი, აბუ-დაბის ფონდი – 10 მლნ. აშშ დოლარი, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია – 6 მლნ. აშშ დოლარი, ევროკავშირი – 1,5 მლნ. აშშ დოლარი¹⁵.

აქედან გამომდინარე, საქართველო და აზერბაიჯანი რეგიონის სატრანზიტო-სასერვისო ფუნქციის პრინციპულ გაძლიერებაზე დიდ იმედებს ამყარებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს „სიკეთეს“ მოუტანს¹⁶. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მდგომარეობა საყოველთაოდ აღიარებულია, ზოგჯერ, რბილად რომ ვთქვათ, კუჩროზული ხასიათის მოსაზრებები გამოითქმის, რომელთა თანახმადაც ასეთმა ფუნქციამ შეიძლება არა მარტო საბოლოოდ გააქარწყლოს თვითმარი ეკონომიკის (აგრარულ-ინდუსტრიული ტიპის მაინც) შექმნის იმედი, არამედ დაანგრის კულტურა, ქცევის ტრადიციული სტერეოტიპი (Mouradian, 2000).

ტრანსპორტის სფეროში აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობის თვალსაჩინო შედეგია ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების რეალიზებული პროექტები და რეალიზაციის სტადიაში მყოფი ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენი. სწორედ ამ პროექტებს აქვთ ის მიზიდულობის ძალა, რომელიც რეგიონისადმი და განსაკუთრებით აზერბაიჯანისადმი სტრატეგიულ ინვესტორთა ინტერესს განაპირობებს.

პირველი რეალური პროექტები პრაქტიკულად უკვე განხორციელებულია კავშირგაბმულობის დარგში. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ, მაგალითად, ტრანსაზია-ევროპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანა. ამგვარი სახის პროექტები უზრუნველყოფს ახალ სახეობათა მომსახურებას მთელ რიგ ქვეყნებს შორის

როგორც რეგიონის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მათ შორის ყველაზე პერსპექტიულად გვესახება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ხაზების შექმნის პროექტები: ტრანსრეგიონული – პალერმო-სტამბოლი-ოდესა-ნოვოროსიისკი¹⁷ და რეგიონული – ვარნა-ოდესა-ნოვოროსიისკი-ფოთი.

ენერგეტიკულ საკითხთა კომპლექსი ერთ-ერთი საკვანძოა, მათ შორისაა ენერგორესურსების ტრანზიტის ამოცანები. შეიძლება სწორედ ამ ბოლო საკითხმა მისცეს ეკონომიკური სტიმული ინტეგრაციულ პროცესებს, ანუ ტრანზიტის ეფექტიანი რეგულირება მხოლოდ მრავალმხრივ საფუძველზეა შესაძლებელი. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ რეგიონის ქვეყნების ელექტროენერგეტიკული სისტემების გაერთიანების პროექტი. ამ პროექტის მნიშვნელობა მატულობს იმასთან დაკავშირებით, რომ ამავდროულად იგი ევრაზიის გაერთიანებული ელექტროენერგოსისტემის შესაქმნელად პერსპექტიული მუშაობის დანყებისათვის საიმედო პლაცდარმი გახდება. ამავე დროს, კავკასიის გეოეკონომიკური ფუნქციის გააქტიურების პოზიციიდან გამომდინარე ენერგორესურსების ტრანსპორტირების პროექტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ვაჭრობა, რომელიც კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, რეგიონული თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების მნიშვნელოვანი სტრატეგიული ვექტორია. რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის გაძლიერება სულ უფრო აქტუალურს ხდის ამ დარგში არსებული დაბრკოლებების თანდათანობით დაძლევის, ეროვნული საბაჟო და სატრანზიტო პროცედურების გამარტივებისა და იდენტიფიკაციის საკითხს. ამ პროცესში არსებითი შემადგენელია სხვა რეგიონულ კავშირებში დაგროვილი დადებითი გამოცდილების ყოველმხრივ გათვალისწინება.

დღეს, მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობის რეგიონული და ორმხრივი ზონების შექმნის იმ პროცესის გააქტიურების პირობებში, რომელიც ყველაზე ინტენსიურად ევროპაში, ამერიკასა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ხორციელდება, კავკასიის რეგიონის ქვეყნები უახლოეს მომავალში მსგავსი ზონების შექმნით დიდ დაინტერესებას ავლენენ. გარდა ამისა, რეგიონში ვაჭრობის განვითარების დამაბრკოლებელ მიზეზებს შორის უნდა გამოვყოთ შემდეგი:

- საბაჟო პროცედურების შეთანხმების და სატრანსპორტო ურთიერთობის რეგულირების დაბალი დონე;
- რეგიონის სახელმწიფოთა სატარიფო და არასატარიფო ბარიერები;
- სასაზღვრო ინსპექციის ხანგრძლივი და მფლანგველური საბაჟო და სხვა პროცედურები;
- ცენტრალურ კავკასიაში საგარეო ვაჭრობისა და ტრანზიტის წარმოების დაუხვეწავი წესები;
- დიდი სატრანსპორტო ხარჯები, დაკავშირებული რეგიონის გეოგრაფიულ მდგომარებასთან და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაცვეთილობასთან.

კავკასიის ინტეგრაციის პერსპექტიულ მიმართულებად წარმოგვიდგენია ქალაქებს – საფინანსო და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებს შორის სოციალურ-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის გაფართოებისათვის პირობების შექმნა, აგრეთვე სასაზღვრო ვაჭრობის განვითარების სტიმულირება.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ტურიზმის სფეროში თანამშრომლობისადმი. რეგიონის ბევრ ქვეყანას უზარმაზარი რეკრეაციული პოტენციალი აქვს, რის გამოც ტურისტული სერვისი ახლა ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორად

ითვლება. რეგიონული თანამშრომლობა, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე, დადებითად აისახება ტურისტული დარგის განვითარებაზე¹⁸.

რეგიონის ქვეყნების საბაზრო ორიენტაცია ხელშემწყობი საინვესტიციო კლიმატის აუცილებლობას, კერძო მენარმეობის განვითარებას, მცირე და საშუალო სანარმოების საქმიანობის გააქტიურებას და რეგიონში ბიზნეს-კონტაქტების განვითარებას განაპირობებს. ამასთან, მეტად სასარგებლოა ერთობლივი საქმიანობა თანამშრომლობის ისეთი მიმართულებებით, როგორცაა სტატისტიკა, მეცნიერულ-ტექნიკური და სამართლებრივი სფეროები (კერძოდ, ბრძოლა ორგანიზებული დამნაშავეობის, ტერორიზმის, იარაღით უკანონო ვაჭრობის, კონტრაბანდის, ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ) და სხვ.

რეგიონის ყველაზე მწვავე პრობლემებს უნდა მივაკუთვნოთ ეკოლოგია. აქ ყურადღება უნდა მივაპყროთ კავკასიის ბუნების უნიკალურობას. ამასთან დაკავშირებით გლობალიზაციის, ანუ გეოეკონომიკური ფუნქციის შესრულების პირობებში უნდა გავითვალისწინოთ დიდი დატვირთვა რეგიონის ეკოლოგიაზე, ფლორასა და ფაუნაზე და მივიღოთ მისი მინიმიზაციის ზომები. ამ დარგში მთავარი ამოცანებია კასპიისა და შავი ზღვების, მდინარეების მტკვრისა და არაქსის სანაპიროების დაბინძურების წყაროების „ნეიტრალიზაციის“, რეგიონში გლობალური პროექტების განხორციელების მიმდინარეობის ტექნოგენური შედეგების თავიდან აცილების, აგრეთვე ბუნებით სარგებლობის სფეროში სხვა პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ბოლო ხანს მთელი სიმწვავეით დადგა ტექნოგენური უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის მარშრუტზე, კერძოდ მის საქართველოს მონაკვეთზე (ბორჯომის ხეობა) და აზერბაიჯანის უბანზე (გობუსთანის ნაკრძალი)

ბუნების დაცვის ღონისძიებების განხორციელების საკითხი. დღეს უკვე მიმდინარეობს ამ ტერიტორიებზე ტექნოგენურ-ეკოლოგიური რისკის შემცირებისათვის მუშაობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ თანამედროვე რეალების მიუხედავად, რომლებსაც ახასიათებს ახლანდელი ეკონომიკური ინტერესების პრევალირება, კვლავაც ყურადღების ცენტრში რჩება რეგიონში გარემოს დაცვისა და ტექნოგენური ნარმოშობის საგანგებო სიტუაციების მონიტორინგის ქმედითი მექანიზმების გამოყენების პოტენციალურ შესაძლებლობათა გამოვლენა და მობილიზაცია.

კავკასიის ინტეგრაციული პროექტების რეალიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება საფინანსო-საკრედიტო სისტემას, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ერთობლივი რეგიონული პროექტების საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა და რეგიონში კაპიტალის თანამედროვე ბაზრის შექმნა. იმ პროექტთა შორის, რომლებიც ახლა ერთობლივ დაფინანსებას საჭიროებს, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- ხაშური-ბათუმის მილსადენის რეკონსტრუქცია ბათუმის ნავსადგურის გავლით საექსპორტოდ აზერბაიჯანული ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის;
- ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში ნავთობის ტერმინალების გაფართოება ნავთობპროდუქტების დამატებით მოცულობაზე გაანგარიშებით;
- ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში შენახვისა და „გადატანისათვის“;
- სუფსაში ერთობლივი სამშენებლო კომპანიის შექმნა (აზერბაიჯანის, საქართველოს და ერთი უცხოური მხარის მონაწილეობით) ბაქო-სუფსის ნავთობის ინფრასტრუქტურის განვითარებაში მონაწილეობისათვის;

- „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის პროექტის ფარგლებში კონსორციუმის შექმნა, რომელიც დააპროექტებს, ააშენებს და ექსპლუატაციას გაუწევს ყაზვინ-ასტარის (ანუ ირან-აზერბაიჯანის) 355 კილომეტრი საერთო სიგრძის რკინიგზას;
- ყარსი-ახალქალაქი-თბილისის საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაცია;
- კონსიგნაციური საბაჟო ტერმინალების ქსელის ჩამოყალიბება;
- ინვესტიციები აზერბაიჯანის რესპუბლიკის ენერგეტიკულ სისტემაში მისი სიმძლავრეების გაზრდის მიზნით;
- კავკასიის ეკონომიკის აგროსამრეწველო კომპლექსის, კერძოდ, საკონსერვო მრეწველობის, მეღვინეობის, ბამბის, აბრეშუმის, თხილის წარმოების და სხვ. საექსპორტო სიმძლავრეთა განვითარება;
- ინვესტირება სამშენებლო ინდუსტრიასა და უძრავ ქონებაში.

ჩამოთვლილი და მთელი რიგი სხვა მეტად პერსპექტიული პროექტების არსებობა ადასტურებს თეზისს, რომ თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით რეგიონში საინვესტიციო მიმზიდველობის საკითხები პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს.

თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით ცენტრალური კავკასიის ქვეყნები, ჩრდილოეთ კავკასიასთან (რუსეთი) და სამხრეთ კავკასიასთან (თურქეთი და ირანი) თანამშრომლობის გარდა, არანაკლებ დაინტერესებული არიან როგორც ევროპის, ამერიკის, დიდი ახლო აღმოსავლეთის, ასევე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სახელმწიფოებთან ინტეგრაციის განვითარებით.

ამჟამად, და ამას უკვე შევხვით, ყველაზე ინტენსიურად კავკასიაში

ინტეგრაციის ნიშნები აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობაში ვლინდება. ყველა დანარჩენი მიმართულება, ჩვენი აზრით, თუმცა პერსპექტიულია, მაგრამ დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდს და ისეთი შესაბამისი წანამძღვრების შექმნას მოითხოვს, რომლებიც ინტეგრაციული პრობლემების მთელ სპექტრს მოიცავს. კავკასიის ინტეგრაციის თანადროულად ინტეგრაციული პროცესები განხორციელდება ცენტრალურ აზიასა და ცენტრალურ კავკასიას შორის, რომლებიც ევრაზიის სივრცის ბირთვის შეადგენენ.

ინტეგრაციულ პროცესში ეროვნული ეკონომიკის ჩართვისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება კავშირების ფორმის, ერთი მდგომარეობიდან მეორეში მათი მოქნილი „გარდასვლის“ მართვის, ახალი ალიანსების შექმნის, სხვადასხვა სახეობის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გამოყენების უნარს. ამასთან დაკავშირებით, სწორედ გეოეკონომიკურ ფუნქციაზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს მსოფლიო გაერთიანებაში კავკასიის ეტაპობრივი ინტეგრაციის პროგრამა.

ახლა კავკასიისათვის მნიშვნელოვანია „ჩაერთოს“ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, არა მხოლოდ იხელმძღვანელოს თანამედროვე ინტერესებით, არამედ გაითვალისწინოს კიდევ დინამიკურად განვითარებადი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მომავალი ტენდენციები; იგი უნდა გადაიქცეს მისი მოძრაობის „საკვანძო წერტილად“, გაუსწროს მოვლენებს, კერძოდ, მზად იყოს და შეეძლოს უზრუნველყოს დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ლერძზე საქონლის, ფინანსების, ადამიანთა ნაკადების მოძრაობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიზანმიმართულად უნდა იქმნებოდეს ხელშემწყობი გეოეკონომიკური სიტუაციები, ამასთან გამოიყენებოდეს სტრატეგიული მანევრირების ხერხებისა და საშუალებების ფართო არსენალი.

შენიშვნები

- ¹ დროის მხოლოდ ცალკეულ ისტორიულ მონაკვეთებში, კერძოდ, რუსეთის იმპერიის საბჭოთა იმპერიად ტრანსფორმაციის პერიოდში, კავკასია დიდ პოლიტიკურ თამაშში აღმოჩნდა ჩათრეული (პირველი მსოფლიო ომი). ამიტომ ამ რეგიონმა დროის მოცემულ პერიოდში გეოპოლიტიკური ფუნქციის შესრულება დაიწყო, მაშინ, როცა ამ გეოეკონომიკურმა ფუნქციამ „ჩართვა“ კი ვერ მოასწრო. ცენტრის (მოსკოვი) უფლებამოსილების გაძლიერების კვალობაზე და რეგიონზე მისი აბსოლუტური ბატონობის პირობებში კი გეოეკონომიკურმა ფუნქციამ მოქმედება შეწყვიტა.
- ² რუსეთის პრობლემატიკის კონტექსტით გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის ურთიერთქმედების შესახებ იხ., მაგალითად, (Medvedkov, 2003).
- ³ იხ. აგრეთვე Пирожков, С. И., и Б. А. Парахонский. *Формирование модели регионального сотрудничества в системе ГУУАМ*. http://www.niurr.gov.ua/ru/conference/sevastopol_conf/pirozhkov_parahonsky.htm.
- სუუამის შექმნით რუსეთის ზოგიერთი ექსპერტის დაუფარავი გაღიზიანება იმის გამო, რომ მასში არ მონაწილეობს რუსეთი, იმით გამოიხატება, რომ ამ გაერთიანების კვალიფიკაციისათვის ისეთ შეფასებას იყენებენ, როგორცაა „პროვინციალიზმის“ გამოვლინება (Силаев, 2005a, c. 23).
- 2006 წლიდან მოყოლებული დაიწყო სუუამის ფორმალურ რეგიონულ ორგანიზაციად გარდაქმნა (GUAM Transforms into Formal Regional Organization. *Civil Georgia. UNAG online Magazine, May 23, 2006*. <http://www.civil.ge/eng/print.php?id=12624>).
- ⁴ 2002 წლის 28 თებერვალს ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანება ცენტრალური აზიის თანამშრომლობის ორგანიზაციად გარდაიქმნა, რომელშიც 2004 წლის 18 ოქტომბერს რუსეთიც შევიდა. 2005 წლის 6 ოქტომბერს ცენტრალური აზიის თანამშრომლობის ორგანიზაციის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან მისი შერწყმის შესახებ (მაგალითად, Куртов, 2005).
- ⁵ იხ. აგრეთვე Яськова А., Курдюнов Б. *Черноморский узел. Федеральный информационно-аналитический журнал „Сенатор“*. <http://senat.org/integ4/txt8.htm>.
- ⁶ „ძველი რეგიონალიზმის“ ძირითადი ნიშნები, როგორც წესი, შემდეგია: ბიპოლარულობის პირობებში არსებობა; უმთავრესად „ზემოდან“, ორი კონკურენტი ზესახელმწიფოს კონტროლით ჩამოყალიბება; პროტექციონისტული ხასიათი; ეკონომიკური პრობლემების, ან უშიშროების პრობლემების გადაჭრაზე ზუსტი ორიენტაცია; მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ჩართვა.

- ⁷ საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი სხვადასხვა სამეცნიერო სკოლების მიერ თანამედროვე რეგიონალიზმის ფენომენის გაგების შესახებ უფრო დანერგვით იხ.: (Макарычев, 2000, с. 6-7).
- ⁸ რეგიონული პრობლემების შესწავლისადმი ამგვარმა ტენდენციამ, რომლის გაძლიერებაც XX საუკუნის 80-იან წლებში შეინიშნებოდა, საერთაშორისო რეგიონალიზმის „შეორე ტალღის“ სახელწოდება მიიღო.
- ⁹ „ახალი რეგიონალიზმი“ ღრმად არის გაანალიზებული ასევე ნიგნში (Ohmae, 1995); მასში აღწერილია მრავალ კონტინენტზე იურიდიულად სხვადასხვა სახელმწიფოების კუთვნილი, მაგრამ პრაქტიკულად ერთმანეთთან ბევრად უფრო მჭიდროდ დაკავშირებული რეგიონების გამაერთიანებელი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება და განვითარება; ავტორი ყურადღებას მიაპყრობს როგორც სწრაფად განვითარებად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სივრცეს, ისე ამ პროცესის დომინირებას „ძველ ევროპაში“.
- ¹⁰ მაგალითად, 2004 წლის დეკემბერში ლათინური ამერიკის 12 სახელმწიფომ (არგენტინამ, ბოლივიამ, ბრაზილიამ, გაიანამ, ეკვადორმა, ვენესუელამ, კოლუმბიამ, პარაგვაიმ, პერუმ, სურინამმა, ურუგვაიმ, ჩილემ) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროკავშირის ანალოგიური ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის – სამხრეთ ამერიკის ერთა გაერთიანების შექმნის შესახებ. ნავარაუდევია, რომ პერსპექტივაში ახალი ბლოკი შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ევროკავშირსაც და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. ამ გაერთიანების მოქალაქე გახდება 360 მილიონი კაცი, ხოლო ჯამში მთლიანმა შიგა პროდუქტმა შეიძლება თითქმის ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწიოს (შედარებისათვის იგივე ევროკავშირის მოსახლეობა 2004 წლის იანვარში სულ 300 მილიონი კაცი იყო, თუმცა მთლიანი შიგა პროდუქტი ბევრად მეტს შეადგენდა).
- ¹¹ მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება პლანეტის ყველაზე განვითარებული სახელმწიფოების (თავისი პოლიტიკით, იდეოლოგიით, ზემოქმედების ბერკეტებით და ა.შ.) გაერთიანება, რომელიც უშუალოდ ან გაშუალებულად (ზენაციონალური ორგანიზაციების მეშვეობით) მსოფლიოს და მასში მიმდინარე მოვლენების გლობალურ მართვას ახორციელებს.
- ¹² ზოგადი თვალსაზრისით გეოეკონომიკურ ფაქტორებში უნდა ეიგულისხმოთ ამ რეგიონის ბაზრის სუბიექტების საქმიანი აქტიურობის მასშტაბებზე უპირატესად გარედან (ცენტრალური კავკასიის ფარგლებს გარედან) ზემოქმედების გამოვლინება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ გეოეკონომიკური ზემოქმედება რეგიონული ეკონომიკის ნებისმიერი სფეროზე როდი ვლინდება, არამედ მხო-

ლოდ ისეთებზე, რომლებიც საზღვარგარეთის სახელმწიფოების მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. ამასთან ზემოქმედების ბერკეტები მხოლოდ ეკონომიკური ზომებით როდი ამოიწურება. საქმე ეხება, როგორც წესი, სიტუაციაზე საგარეო-პოლიტიკური და სხვა სახის ზემოქმედების ელემენტების შემცველ კომპლექსურ ზეგავლენას.

- ¹³ ეს განაპირობებს ევროპელთა დაინტერესებას იმით, რომ ცენტრალურ კავკასიაში შეიქმნას უშიშროებისა და სტაბილურობის გარანტიები, არ იქნეს დაშვებული აზერბაიჯანისა და საქართველოს ჩათრევა უხემ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში, კერძოდ, რუსეთთან დაძაბული დაპირისპირების ზონაში.
- ¹⁴ მთლიანად საქმე ეხება ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული ზონის, როგორც საერთაშორისო შრომის დანაწილების და „დიდი აზრეშუმის გზის“ თანამედროვე ვარანტის შექმნის სისტემის ორგანული შემადგენელის ჩამოყალიბებას. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკას) ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა, უზრუნველყოს ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებთან კასპიისა და შუი ზღვის გავლით ევროპაში ენერგომემცველების საიმედო მიწოდება და აღმოსავლეთ-დასავლეთის ლერძის შექმნა, სადაც ინტენსიურად იმუშავენს სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო მიმოსვლა. აღნიშნული რეგიონების გარდა ამ პროექტით დიდ დაინტერესებას ჩინეთიც იჩენს.
- ¹⁵ მოცემული ინფორმაცია მიღებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროდან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროდან, აგრეთვე შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.
- ¹⁶ ეს, პირველ რიგში, ეხება საქართველოს, რომელიც ამ ფუნქციას „ლოკომოტივის“ მნიშვნელობას ანიჭებს (იხ. მაგალითად, Papava, 2005a).
- ¹⁷ კავშირგაბმულობის ეს ხაზი, რომელიც გათვალისწინებულია მოიცვას რეგიონის ყველა ქვეყნის თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო კავშირი, მიერთებულია სამხრეთ კორეის, რუსეთის ქალაქების ხაბაროვსკის და სანქტ-პეტერბურგის გავლით იაპონიიდან დანიაში გადებულ ოპტიკურ-ბოჭკოვან ხაზთან.
- ¹⁸ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ქვეყნების ანალოგიური საკურორტო-რეკრეაციული რესურსების მქონე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტურიზმით მიღებული მოგება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად მუხლს შეადგენს.

4.1. კავკასიის ეკონომიკური სივრცის შესახებ

კავკასიაში ინტეგრაციის ყველა მონაწილე, ძირითადად, დაინტერესებულია, რომ ამ რეგიონის ეკონომიკური სივრცე იყოს არა ფრაგმენტული, არამედ მონესრიგებული, ერთიანი, რაც გულისხმობს თამაშის იდენტური წესების მიღებას მის ყველა იარუსზე – სანარმოო, საფინანსო, საბაჟო, საინვესტიციო, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ და ა. შ. სხვა შემთხვევაში რეგიონის ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციისა და რეგულირების პროცესში სირთულეები წარმოიქმნება, გაჩნდება დამატებითი რისკები, გაიზრდება დანახარჯები, გაუარესდება ცენტრალური კავკასიის ყოველი სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა. თანამედროვე პირობებში კავკასიის ეკონომიკას მიეცა შანსი, ორგანულად ჩაერთოს მსოფლიო ეკონომიკაში, რაც განაპირობებს მისი იმ პარამეტრების სისტემურ გააზრებას, რომელთა გათვალისწინებაც საშუალებას იძლევა, პასუხი გაეცეს ძირეულ კითხვებს: ჩაერთვება თუ არა კავკასიის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობის სისტემაში და რა პარამეტრები იქნება ამ დროს განმსაზღვრელი და მოთხოვნილი?

კავკასიის რეგიონს მეტად მდიდარი ბუნებრივ-სანედლეულო, ენერგეტიკული და რეკრეაციული რესურსები აქვს. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ნავთობი, გაზი, მანგანუმის, მოლიბდენისა და

რკინის მადანი, ნეფელინი, სპილენძი, თუთია, ოქრო, იოდი, ბრომი, პერლიტური ნედლეული, სამშენებლო მასალები და სხვ. კავკასიის ქვეყნები აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას – ბამბას, თამბაქოს, ხამ აბრეშუმს, ყურძენს, საადრეო ბოსტნეულს, სუბტროპიკულ კულტურებს, ღვინოსა და კონიაკს, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებს, თევზეულს, ზუთხის ხიზილალას და ა.შ.

კავკასიის მთლიანი ტერიტორია 907,0 ათას კვ. კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობის რაოდენობა 51,7 მლნ. კაცია, მისი საშუალო სიმჭიდროვე – 57,0 კაცი 1 კვ. კილომეტრზე (იხ. ცხრილი 4.1). კავკასიის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდე 851,0 აშშ დოლარს აღემატება. კავკასიის ყოველი სუბრეგიონი თავისი ბუნებრივი, ეთნო-დემოგრაფიული და სოციალურ-პოლიტიკური პარამეტრებით, ეკონომიკური განვითარების ინდიკატორებით ერთმანეთისგან განსხვავდება.

კავკასიის ყველაზე დიდი რეგიონია ჩრდილოეთ კავკასია, რომლის ნილად მოდის ტერიტორიის 52,4 პროცენტი, მ მოსახლეობის 38,9 პროცენტი, კავკასიის მთლიანი შიგა პროდუქტის 38,9 პროცენტი. ტერიტორიისა და მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდით შემდეგია სამხრეთ კავკასია – 27,1 პროცენტი და 33,9 პროცენტი, ხოლო მოსახლეობის (32,1 პროცენტი) მიხედვით – ცენტრალური კავკასია.

4.2. ცენტრალური კავკასია

ცენტრალური კავკასიის ქვეყნები, რომლებიც რეგიონის ტერიტორიის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენენ, მოსახლეობის მნიშვნელოვნად მაღალი სიმჭიდროვეით და უფრო განვითარებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალით გამოირჩევიან. ცენტრალურ კავკასიაში შედის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო –

ცხრილი 4.1

კავკასიის რეგიონების ძირითად მაჩვენებლები 2002 წლისათვის

მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაცი	%	მლრდ.აშშ დოლარი	%
კავკასია, სულ	907,0	100	51,7	100	44,0	100
ჩრდილოეთ კავკასია (რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერაციული ოლქი)	475,3	52,4	20,1	38,9	17,1	38,8
მთის ნაწილი	111,8	12,3	6,6	12,8	2,9	6,6
მთისწინეთის ნაწილი	363,5	40,1	13,5	26,1	14,2	32,2
ცენტრალური კავკასია	186,1	20,5	16,6	32,1	12,0	27,3
აზერბაიჯანი	86,6	9,5	8,2	15,9	6,2	14,1
საქართველო	69,7	7,7	4,6	8,9	3,4	7,7
სომხეთი	29,8	3,3	3,8	7,3	2,4	5,5
სამხრეთ კავკასია	245,6	27,1	15,0	29,0	14,9	33,9
სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია (ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანები)	198,9	21,9	13,3	25,7	13,5	30,7
სამხრეთ-დასავლეთ კავკასია (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთები)	46,7	5,2	1,7	3,3	1,4	3,2

აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. ამ ქვეყნების ეკონომიკათა შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ტერიტორიის (46,5 პროცენტი), მოსახლეობის (49,4 პროცენტი) და მთლიანი შიგა პროდუქტის (51,7 პროცენტი) მიხედვით ყველაზე დიდი სახელმწიფოა აზერბაიჯანი, მას მოსდევს საქართველო და შემდეგ სომხეთი (ცხრილი 4.2).

ცხრილი 4.2

ცენტრალური კავკასიის ძირითადი მაჩვენებლები
2002 წლისათვის

მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაცი	%	მლრდ. აშშ დოლარი	%
ცენტრალური კავკასია	186,1	100	16,6	100	12,0	100
აზერბაიჯანი	86,6	46,5	8,2	49,4	6,2	51,7
საქართველო	69,7	37,5	4,6	27,7	3,4	28,3
სომხეთი	29,8	16,0	3,8	22,9	2,4	20,0

ცენტრალური კავკასიის უდიდეს ქალაქებს განეკუთვნება რესპუბლიკების დედაქალაქები: ბაქო (1,84 მლნ. მცხოვრები), თბილისი (1,07 მლნ. მცხოვრები) და ერევანი (1,10 მლნ. მცხოვრები).

ცენტრალური კავკასიის ტერიტორია 186,1 ათას კვ. კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობა – 16,6 მლნ. კაცს, მთლიანი შიგა პროდუქტი – 12,0 მლრდ. აშშ დოლარს, ხოლო ექსპორტი – 3,0 მლრდ. აშშ დოლარს. რეგიონის ყველაზე დიდი სახელმწიფოა აზერბაიჯანი (მოსახლეობა – 8,2 მლნ. კაცი), შემდეგ მოდის საქართველო (4,6 მლნ. კაცი). მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდით აზერბაიჯანი (880 აშშ დოლარი) და საქართველო (877 აშშ დოლარი) უსწრებენ სომხეთს (873 აშშ დოლარი). ყველაზე დიდი რეგიონული ექსპორტიორია აზერბაიჯანი, რომელიც მსოფლიო ბაზრებს 2,3 მლრდ. აშშ დოლარის საქონელსა და მომსახურებას აწვდის.

4.3 ცხრილში მოყვანილი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი მონიშნავს ეკონომიკური განვითარების დადებით ტენდენციებს, რომლებიც ცენტრალური კავკასიის ყველა რესპუბ-

ლიკაში შეინიშნება. ამასთან მთლიანი შიგა პროდუქტის, აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აზერბაიჯანს ახასიათებს. თავის მხრივ, ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკაში ამ მაჩვენებლების უფრო მაღალი დინამიკა გამოიკვეთა. მთლიანად, აზერბაიჯანსა და საქართველოში შექმნილი პოზიტიური სურათი გარკვეულწილად მათ შორის ურთიერთხელსაყრელმა და მჭიდრო თანამშრომლობამ განაპირობა.

ცხრილი 4.3

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები

	მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით	წლები					
		1998	1999	2000	2001	2002	2003
მთლიანი შიგა პროდუქტი	ა) მლნ. აშშ დოლარი:						
	აზერბაიჯანი	4447	4584	5273	5708	6236	7138
	საქართველო	3608	2838	3046	3206	3399	3995
	სომხეთი	1892	1845	1912	2117	2376	2805
	ბ) პროცენტებში გასულ წელთან შედარებით:						
	აზერბაიჯანი	1100	1074	1111	1099	1106	1112
	საქართველო	1031	1029	1018	1048	1055	1111
	სომხეთი	1073	1033	1059	1096	1132	1139
	გ) მოსახლეობის ერთ სულზე, დოლარებში:						
	აზერბაიჯანი	571	583	665	715	775	880
	საქართველო	763	605	654	694	741	877
	სომხეთი	499	486	503	557	740	873

მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით		წლები					
		1998	1999	2000	2001	2002	2003
პრენეპლუმის პროდუქცია	ა) მლნ. აშშ დოლარი:						
	აზერბაიჯანი	3328,6	3499,8	4067,3	4047,1	4134,6	5024,2
	საქართველო	875,8	869,8	971,0	1006,5	1066,4	1180,7
	სომხეთი	517,3	529,7	557,1	557,2	594,9	732,1
	ბ) პროცენტებში გასულ წელთან შედარებით:						
	აზერბაიჯანი	102,2	103,6	106,9	105,1	103,6	106,1
	საქართველო	98,5	104,8	106,1	98,9	104,9	110,6
	სომხეთი	97,9	105,3	106,4	105,3	114,6	114,9
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	ა) მლნ. აშშ დოლარი:						
	აზერბაიჯანი	1142,9	1148,8	1198,7	1286,4	1325,9	1411,2
	საქართველო	1363,1	1032,9	919,1	995,0	982,3	1153,3
	სომხეთი	796,4	582,5	521,2	632,1	658,7	708,6
	ბ) პროცენტებში გასულ წელთან შედარებით:						
	აზერბაიჯანი	106,2	107,1	112,1	111,1	106,4	105,6
	საქართველო	93,4	106,9	88,0	108,2	98,9	110,5
	სომხეთი	113,1	101,3	97,5	111,6	104,4	104,3

ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში პრევალირებული ტენდენციების ობიექტური ხასიათი აშკარაა: იგი ასახავს მათ მზარდ დაინტერესებას, რომ მაქსიმალური სარგებლობით გამოიყენონ შრომის საერთაშორისო დანაწილების, წარმოებაში, ერთობლივი პროექტების რეალიზაციაში, საფინანსო და მატერიალური რესურსების მობილიზაციაში ურთიერთშევესებისა და კოოპერირების უპირატესობანი.

მეზობელ ქვეყნებთან შედარებით აზერბაიჯანის ეკონომიკაში ჩადებული ინვესტიციების მაჩვენებელი მეტად შთამბეჭდავია: 2001 წელს – 1,6 მლრდ. აშშ დოლარი; 2002 წელს – 2,8 მლრდ. აშშ დოლარი; 2003 წელს – 4,0 მლრდ. აშშ დოლარი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოლო სამი წლის განმავლობაში ინვესტიციები 2,5-ჯერ გაიზარდა. 1996-2003 წლებში აზერბაიჯანმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 10,4 მლრდ. აშშ დოლარი მიიღო (ცხრილი 4.4). 2003 წლის შუა პერიოდისათვის ქვეყანამ დაახლოებით 1,78 მლრდ. აშშ დოლარი სხვა გრძელვადიანი სესხი და კრედიტი მიიღო და გამოიყენა (აქედან დაახლოებით 272 მლნ. აშშ დოლარი დაიფარა).

ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უფრო დეტალური ანალიზისთვის მიზანშეწონილი იქნება ცხრილი 4.4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მიხედვით (მილიონი აშშ დოლარი)

წლები \ ქვეყნები	აზერბაიჯანი	საქართველო	სომხეთი
1996	519,0	45	18
1997	1111,0	243	52
1998	1404,0	265	232
1999	754,9	82	135
2000	692,0	131	125
2001	899,8	110	77
2002	1811,9	165	152
2003	3060,3	338	157

თვალი გავადევნოთ მოსახლეობის ერთ სულზე ინვესტიციების მოცულობის საშუალო მაჩვენებლის შეცვლას (ცხრილი 4.5). აღვნიშნავთ, რომ 2003 წელს მისი ყველაზე მაღალი დონე აზერბაიჯანში იყო მიღწეული – 369 აშშ დოლარი.

ცხრილი 45

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარი)

წლები \ ქვეყნები	აზერბაიჯანი	საქართველო	სომხეთი
1996	67,9	9,7	4,7
1997	143,9	53,6	13,7
1998	182,3	59,1	61,2
1999	96,0	18,4	35,6
2000	85,4	29,7	32,8
2001	112,6	25,1	20,0
2002	221,0	37,9	46,5
2003	369,0	73,4	49,0

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზიდვისათვის საჭიროა შემდეგი სამი ძირითადი ფაქტორი (Ozawa, 1992):

- ქვეყანა გახსნილი უნდა დარჩეს გარე სამყაროსათვის და, კერძოდ, ტრანსეროვნული კორპორაციების პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის, რომლებიც სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელოვან დამატებას წარმოადგენს.
- გონივრული პოლიტიკა უნდა შემუშავდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზიდვის სფეროში, რათა დაჩქარდეს ეკონომიკური განვითარების პროცესი.
- ლიდერ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა განვითარებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მეზობელ ქვეყნებზე, განსაკუთრებით მოცემულ სფეროში მათი მოქმედების კოორდინაციის პირობებში.

ეს თეორიული პოსტულატები ცენტრალური კავკასიის ქვეყნებშიც დასტურდება: მაგალითად, აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის მოპოვე-

ბისა და ტრანსპორტირების სფეროს განვითარება უშუალოდ დადებით ზემოქმედებას ახდენს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის ტემპებზე: უმეტესწილად საქართველოსა და თურქეთზე და ნაკლებად – ირანსა და რუსეთზე (აზერბაიჯანის მოსაზღვრე ნაწილში).

ამასთან ცენტრალური კავკასიის ქვეყნები ჯერ არ შეესაბამება პრაგმატულ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომლებიც მათი შეფასებისა და ევროპაში მათი ადგილის განსაზღვრისათვის გამოიყენება (პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, საინვესტიციო პირობები, შესაძლებლობანი ბიზნესისათვის). ეს ქვეყნები არ არის თვითკმარი სახელმწიფოები, და მათ არ აქვთ ოქროვალუტის საჭირო რეზერვები იმპორტის სრული დაფინანსებისათვის (მაგალითად, Gorovoi, and Omel'ianchik, 2001). ამავე დროს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგები ინვესტიციების მისაზიდად ხელსაყრელი ობიექტია.

უახლოეს პერსპექტივაში ცენტრალურ კავკასიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზიდვის სფეროში ლიდერი ქვეყნის ფუნქციას აზერბაიჯანი შეინარჩუნებს, და ეს სავსებით გასაგებია: ნავთობისა და გაზის მოპოვება და ტრანსპორტირება საინვესტიციო თვალსაზრისით რეგიონის მიმზიდველობის უმთავრესი განმსაზღვრელია.

4.3. ჩრდილოეთ კავკასია

ადმინისტრაციულად რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი მთისწინეთისა და მთის ნაწილისაგან შედგება (ცხრილი 4.6).

ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია 475,3 ათასი კვ. კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობის რაოდენობაა 20,1 მლნ. კაცი, მთლიანი შიგა პროდუქტი 17,1 მლრდ. აშშ დოლარია (იხ. ცხრილი 4.6).

ყველაზე დასახლებული ტერიტორიებია: მთისწინეთის ნაწილში – კრასნოდარის მხარე (5,1 მლნ. კაცი) და როსტოვის ოლქი (4,4 მლნ. კაცი), მთის ნაწილში – დაღესტანის (2,6 მლნ. კაცი). სწორედ ისინი ლიდერობენ რეგიონში მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდის მიხედვითაც – შესაბამისად 6,1 მლრდ. აშშ დოლარი, 4,2 მლრდ. აშშ დოლარი და 1,1 მლრდ. აშშ დოლარი.

ცხრილი 4.6

ჩრდილოეთ კავკასიის ძირითადი მაჩვენებლები 2002 წლისათვის

№	მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
		ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაცი	%	მლრდ.აშშ დოლარი	%
1.	ჩრდ. კავკასია (რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერაციული ოლქი)	475,3	100	20,1	100	17,1	100
1.1	მთისწინეთის ნაწილი	363,5	76,5	13,5	67,2	14,2	83,0
1.1.1	კრასნოდარის მხარე	76,0	16,0	5,1	25,4	6,1	35,6
1.1.2	სტავროპოლის მხარე	66,5	14,0	2,7	13,4	2,4	14,0
1.1.3	როსტოვის ოლქი	100,8	21,2	4,4	21,9	4,2	24,4
1.1.4	ასტრახანის ოლქი	44,1	9,2	1,0	5,0	1,2	6,7
1.1.5	ყალმუხეთის რესპუბ.	76,1	16,1	0,3	1,5	0,4	2,3
1.2	მთის ნაწილი	111,8	23,5	6,6	32,8	2,9	17,0
1.2.1	ადიღეს რესპუბლიკა	7,6	1,6	0,4	2,0	0,2	1,2
1.2.2	დაღესტანის რესპუბ.	50,3	10,6	2,6	12,8	1,1	6,2
1.2.3	ინგუშეთის რესპუბ.	6,3	1,3	0,5	2,5	0,2	1,2
1.2.4	ჩეჩნეთის რესპუბლიკა	13,0	2,7	1,1	5,5	-	-
1.2.5	ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა	12,5	2,6	0,9	4,5	0,7	4,3
1.2.6	ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა	14,1	3,0	0,4	2,0	0,2	1,2
1.2.7	ჩრდ. ოსეთის რესპუბ. – ალანია	8,0	1,7	0,7	3,5	0,5	2,9

ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთის ნაწილში შედის კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, როსტოვისა და ასტრახანის ოლქები, აგრეთვე ყალმუხეთის რესპუბლიკა.

მთის ნაწილი შეიცავს ჩრდილოეთ კავკასიის 7 რესპუბლიკას: ადიღეს, დაღესტანს, ინგუშეთს, ჩეჩნეთს, ყაბარდო-ბალყარეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთს, ჩრდილოეთ ოსეთს-ალანიას.

მთის ნაწილი ნაკლებად განვითარებულია. უკავია ტერიტორიის 23,5 პროცენტი, მოსახლეობის რაოდენობა 32,8 პროცენტია და ჩრდილოეთ კავკასიის მთლიანი შიგა პროდუქტის 17,0 პროცენტს აწარმოებს. მთისწინეთის ნაწილის ქალაქებს შორის გამოირჩევა დონის როსტოვი (1 მლნ. მცხოვრებზე მეტი), კრასნოდარი (692 ათასი კაცი), ხოლო მთის ნაწილში – მახაჩყალა, ვლადიკავკაზი და ნალჩიკი.

ეკონომიკური განვითარების დონით ჩრდილოეთ კავკასიას რუსეთის ფედერაციაში უკანასკნელი ადგილი უკავია: აქ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტი რუსეთის შესაბამისი საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 47 პროცენტს შეადგენს. ამ მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა (61-56 პროცენტი) კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებს აქვთ, მინიმალური (28-30 პროცენტი) – დაღესტანსა და ჩრდილოეთ ოსეთს (თუ არ ჩავთვლით ინგუშეთსა და ჩეჩნეთს) (Кистанов, и Копылов, 2003, с. 430). მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის წილად მოდის ქვეყნის ტერიტორიის 2,8 პროცენტი, მოსახლეობის 14,0 პროცენტი და მთლიანი შიგა პროდუქტის 5,7 პროცენტი, რაც, უეჭველად, დაბალი მაჩვენებლებია (ცხრილები 4.7 და 4.8).

ეს რეგიონი მჭიდროდ დასახლებულ რეგიონთა რიცხვს განეკუთვნება: აქ მოსახლეობის სიმჭიდროვის საშუალო მაჩვენებელი 1 კვ. კილომეტრზე 50 კაცია (Кистанов, и Копылов, 2003, с. 422).

ცხრილი 4.7

ჩრდილოეთ კავკასიის ხვედრითი წილი კავკასიისა და რუსეთის ეკონომიკაში (პროცენტობით)

მაჩვენებლები	რეგიონი			
	კავკასია - სულ	მათ შორის ჩრდ. კავკასია	რუსეთი - სულ	მათ შორის ჩრდ. კავკასია
ტერიტორია	100	52,4	100	2,8
მოსახლეობა	100	38,9	100	14,0
მთლ. შიგა პროდუქტი	100	38,9	100	5,7

ცხრილი 4.8

ჩრდილოეთ კავკასიის ძირითადი მაჩვენებლები რუსეთის ეკონომიკაში 2002 წლისათვის

მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაცი	%	მლრდ.აშშ დოლარი	%
რუსეთის ფედერაცია	17075,4	100	143,1	100	299,9	100
ჩრდ. კავკასია (რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფე- დერაციული ოლქი)	475,3	2,8	20,1	14,0	17,1	5,7
მთისწინეთის ნაწილი	363,5	2,1	13,5	9,4	14,2	4,7
კრასნოდარის მხარე	76,0	0,4	5,1	3,6	6,1	2,0
სტავეროპოლის მხარე	66,5	0,4	2,7	1,9	2,4	0,8
როსტოვის ოლქი	100,8	0,6	4,4	3,1	4,2	1,4
ასტრახანის ოლქი	44,1	0,3	1,0	0,7	1,2	0,4
ყალმუხეთის რესპუბ.	76,1	0,4	0,3	0,2	0,4	0,1
მთის ნაწილი	111,8	0,7	6,6	4,6	2,9	1,0
ადიღეს რესპუბლიკა	7,6	0,05	0,4	0,3	0,2	0,07
დაღესტნის რესპუბ.	50,3	0,3	2,6	1,8	1,1	0,4
ინგუშეთის რესპუბ.	6,3	0,04	0,5	0,3	0,2	0,07
ჩეჩნეთის რესპუბლიკა	13,0	0,08	1,1	0,8	-	-
ყაბარდო-ბალყარეთის რესპ.	12,5	0,08	0,9	0,6	0,7	0,2
ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპ.	14,1	0,09	0,4	0,3	0,2	0,07
ჩრდ. ოსეთის რესპუბ. - ალანია	8,0	0,06	0,7	0,5	0,5	0,2

ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკა ინდუსტრიულ-აგრარულ კომპლექსს წარმოადგენს. მას განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები აქვს ადამიანთა ცხოველმოქმედებისათვის და საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის, აწარმოებს სათბობს, ლითონს, მანქანათმშენებლობის პროდუქციას (მაგისტრალური ელემენტები, ორთქლის ქვაბები, სამჭედლო-საწნეხი მონყობილობა, მარცვალასაღები კომბაინები და სხვ.) და აქვს განვითარებული აგროსამრეწველო კომპლექსი (მარცვლეული, მზესუმზირას თესლი, შაქრის ჭარხალი, კონსერვები, შაქრის ფხვნილი). ჩრდილოეთ კავკასიას აქვს მძლავრი სანავსადგურე მეურნეობა შავ და კასპიის ზღვებზე, აგრეთვე მჭიდრო საკომუნიკაციო კავშირი როგორც ცენტრალურ კავკასიათან, ისე ცენტრალურ აზიასთანაც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქ მკვეთრად გამწვავდა ეთნიკური დაპირისპირება, გაძლიერდა ცენტრიდანული ტენდენციები. ჩეჩნეთში შეიარაღებულმა კონფლიქტმა ვითარების დესტაბილიზაცია გამოიწვია მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში (მაგალითად, Силаев, 2005) და უკიდურესად გააუარესა საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მაგალითად, არც ისე დიდი ხნის წინათ მისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგების წილად რუსეთის სათბობის მრეწველობისა და ენერგეტიკის პროდუქციის მთელი მოცულობის თითქმის 1/10 მოდიოდა (Кистанов, и Копылов, 2003, с. 423). ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც ადგილობრივი მოპოვების სათბობით თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა, ქვანახშირს, ნავთობს, ნავთობპროდუქტებსა და ბუნებრივ გაზს დიდი რაოდენობით აწვდიდა ქვეყნის სხვა რაიონებს. მაგრამ ბოლო 10-12 წელია ენერგომემცველების მიწოდების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა იმის გამო, რომ კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში მარაგის გამოლევის შედეგად მკვეთრად დაეცა გაზის მოპოვება, საომარი მოქმედების მიზეზით ჩეჩნეთში

შენყდა ნავთობის მოპოვება და რენტაბელობის შემცირებას როსტოვის ოლქში ქვანახშირის მოპოვების დაქვეითება მოჰყვა. ელექტროენერგეტიკული მეურნეობა, რომლის მნიშვნელობა თავად რეგიონის ფარგლებს სცილდება, წარმოდგენილია მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურებით, თბოსადგურებით, აგრეთვე როსტოვის ატომური ელექტროსადგურით.

ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, სოფლის მეურნეობის გამოკლებით, აქ ყველაზე დაბალია რუსეთში. ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთის ნაწილში მრეწველობა წარმოდგენილია ნავთობ-გაზმომპოვებელი, ქვანახშირის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, მსუბუქი და კვების დარგებით, ხოლო მთის ნაწილში – ნავთობმომპოვებითა და ნავთობგადამუშავებით, ფერადი მეტალურგიით, კვებისა და მსუბუქი ინდუსტრიით. ნავთობის ყოველწლიური მოპოვების აბსოლუტური მასშტაბები სტაბილიზებულია 3-4 მლნ. ტონის დონეზე (XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს – 10-11 მლნ. ტონა), ქვანახშირის – 10-12 მლნ. ტონის ფარგლებში (მაშინ, როცა 1990 წელს 29 მლნ. ტონას შეადგენდა), გაზისა – დაახლოებით 3,5 მლრდ. კუბმეტრი (რამდენჯერმე შემცირდა: XX საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდში – საერთო-საკავშირო მაჩვენებლის 1/5) (Кистанов, и Копылов, 2003, с. 424).

უდიდესი სამრეწველო რაიონებია როსტოვის ოლქი, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, რომლებზეც ჩრდილოეთ კავკასიის წარმოების საერთო მოცულობის თითქმის 90 პროცენტი მოდის (Кистанов, и Копылов, 2003, с. 427). მაგრამ ამ განვითარებული მრეწველობის რაიონებშიც კი მოსახლეობის ერთ სულზე ფულადი შემოსავალი რუსეთის შესაბამისი საშუალო მაჩვენებლის 65-75 პროცენტს არ აღემატება, ხოლო ინგუშეთსა და დაღესტანში ეს ციფრები სულ რაღაც 34-37 პროცენტს შეადგენს. ყველაზე

დაბალშემოსავლიანი დაღესტანი და ინგუშეთია (Кистанов, и Копылов, 2003, сс. 430-431).

ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის მინათმოქმედებისა და მეცხოველეობის მსხვილ რაიონებს განეკუთვნება. მთლიანად მინათმოქმედება მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე მეცხოველეობა. აქ უნდა გამოვყოთ მარცვლეულის (ხორბალი, სიმინდი), ტექნიკური კულტურების (მზესუმზირა, შაქრის ქარხალი), ხილის, ყურძნის, ჩაის წარმოება. მოჰყავთ აგრეთვე ბრინჯი, თამბაქო, აბუსალათინი, ეთერზეთოვანი კულტურები. მეცხოველეობა წარმოდგენილია ნმინდა და ნახევრად-ნმინდა სანმისიანი მეცხვარეობით, სარძევე-სახორცე და სახორცე-სარძევე მეძროხეობით, მელორეობითა და მეფრინველეობით.

ჩრდილოეთ კავკასიაში მეტად განვითარებულია ყველა სახეობის ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ამასთან ყველა სახეობის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო არტერიები (მილსადენებით დაწყებული და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით დამთავრებული) ჩრდილოეთ კავკასიას როგორც ცენტრალური კავკასიის, ისე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან აკავშირებს.

თუ გავითვალისწინებთ ჩრდილოეთ კავკასიის სიდიდეს, განვითარების დონესა და რუსეთის სხვა რეგიონებისგან ტერიტორიულ სიშორეს, აგრეთვე იმას, რომ ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოებთან მას მრავალსაუკუნოვანი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა, მათთან ჩრდილოეთ კავკასიის თანამშრომლობა უფრო ქმედითი და ეკონომიკურად მიზანშეწონილი უნდა გახდეს, ვიდრე მისი ურთიერთმოქმედება რუსეთის დაშორებულ რაიონებთან, მაგალითად, შორეულ აღმოსავლეთთან.

4.4. სამხრეთ კავკასია

სამხრეთ კავკასიის რეგიონი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებს (ოსტანებს) და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებს (ვილაიეთებს) მოიცავს (ცხრილი 4.9).

ცხრილი 4.9

სამხრეთ კავკასიის ძირითადი მაჩვენებლები 2002 წლისათვის

მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაცი	%	მლრდ. აშშ დოლარი	%
სამხრეთ კავკასია	245,6	100	15,0	100	14,9	100
სამხ.-დასავლეთ კავკასია (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთები)	46,7	19,0	1,7	11,3	1,4	5,7
აგრა	11,5	4,7	0,5	3,3	0,3	2,0
ართვინი	7,4	3,0	0,2	1,3	0,3	2,0
ყარსი	10,1	4,1	0,3	2,0	0,2	1,3
ვანი	9,3	3,8	0,4	2,6	0,4	2,7
არდაგანი	4,8	1,9	0,1	0,7	0,1	0,7
იგდირი	3,6	1,5	0,2	1,4	0,1	0,7
სამხ.-აღმოსავლეთ კავკასია (ირანის ჩრდ.-დასავლეთ ოსტანები)	198,9	81,0	13,3	88,7	13,5	90,6
დასავლეთ აზერბაიჯანი	43,7	17,8	2,5	16,8	3,9	26,2
აღმოსავლეთ აზერბაიჯანი	47,8	19,6	3,3	22,0	5,2	34,9
ჰამადანი	20,2	8,2	1,7	11,3	1,0	6,7
არდებილი	18,0	7,3	1,7	11,3	0,8	5,4
ზანჯანი	39,4	16,0	0,9	6,0	0,4	2,7
ყაზვინი	15,0	6,1	1,0	6,6	0,6	4,0
გილიანი	14,8	6,0	2,2	14,7	1,6	10,7

სამხრეთ კავკასიის ტერიტორია 245,6 ათას კვ. კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობა 15,0 მლნ. კაცია, მთლიანი შიგა პროდუქტი 14,9 მლრდ. აშშ დოლარი. აღნიშნული პარამეტრების მიხედვით ყველაზე დიდი ირანის შემდეგი ოსტანებია: აღმოსავლეთ აზერბაიჯანი – შესაბამისად 47,8 ათასი კვ. კილომეტრი, 3,3 მლნ. კაცი, 5,2 მლრდ. აშშ დოლარი და დასავლეთ აზერბაიჯანი – 43,7 ათასი კვ. კილომეტრი, 2,5 მლნ. კაცი, 3,9 მლრდ. აშშ დოლარი. ამასთან ირანის ნანილის, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის წილად სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის 81,0 პროცენტი, მოსახლეობის 88,7 პროცენტი და მთლიანი შიგა პროდუქტის 90,6 პროცენტი მოდის.

ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანები აგრარულ-სამრეწველო რეგიონს წარმოადგენს. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ყველაზე დიდი ქალაქია თავრიზი (დაახლოებით 1 მლნ. კაცი). რეგიონის ტერიტორიაზე გადის ტრანსირანული რკინიგზა და ექვსი გზატკეცილი, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიას როგორც თურქეთის (სამხრეთ-დასავლეთ კავკასია) და აზერბაიჯანის (ცენტრალური კავკასია) მოსაზღვრე რაიონებთან, ისე ირანის ცენტრთან აკავშირებს.

ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ოსტანები. ირანის ტერიტორიასთან მიმართებაში მათი მთლიანი წილი შეადგენს 5,6 პროცენტს, მოსახლეობის მიხედვით – 9,0 პროცენტს, მთლიანი შიგა პროდუქტის მიხედვით – 8,8 პროცენტს (იხ. ცხრილები 4.10 და 4.11).

დასავლეთ აზერბაიჯანში განვითარებულია მანქანათმშენებლობა და ნავთობ-ქიმიური წარმოება, კვებისა და მსუბუქი ინდუსტრია, ხოლო აღმოსავლეთ აზერბაიჯანში – ფოლადსამსხმელო და სამთამადნო მრეწველობა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის

ტერიტორიაზე ყველგან გავრცელებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა – ხორბლის, შერიის, კარტოფილის, ხახვის, ნუშის, სუბტროპიკული კულტურების წარმოება.

ცხრილი 4.10

სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ძირითადი მაჩვენებლები ირანის ეკონომიკაში 2002 წლისათვის

მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაც	%	მლრდ.აშშ დოლარი	%
ირანი	1648,0	100	64,5	100	103,4	100
სამხ.-აღმოსავლეთ კავკასია (ირანის ჩრდ.-დასავლეთ ოსტანები)	198,9	12,1	13,3	20,6	13,5	13,1
დასავლეთ აზერბაიჯანი	43,7	2,7	2,5	3,9	3,9	3,8
აღმოსავლეთ აზერბაიჯანი	47,8	2,9	3,3	5,1	5,2	5,0
ჰამადანი	20,2	1,2	1,7	2,6	1,0	1,0
არდებილი	18,0	1,1	1,7	2,6	0,8	0,8
ზანჯანი	39,4	2,4	0,9	1,4	0,4	0,4
ყაზვინი	15,0	0,9	1,0	1,6	0,6	0,6
გილიანი	14,8	0,9	2,2	3,4	1,6	1,5

ცხრილი 4.11

სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ხედრითი წილი კავკასიისა და ირანის ეკონომიკაში (პროცენტებში)

მაჩვენებლები	რეგიონი			
	კავკასია – სულ	მათ შორის სამხ.-აღმ. კავკასია	ირანი – სულ	მათ შორის სამხ.-აღმ. კავკასია
ტერიტორია	100	21,9	100	12,1
მოსახლეობა	100	25,7	100	20,6
მთლიანი შიგა პროდუქტი	100	30,7	100	13,1

სამხრეთ კავკასიის უფრო ნაკლები ნაწილი მოდის მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე (ცხრილი 4.12): ტერიტორიის 19 პროცენტი, მოსახლეობის 11,3 პროცენტი, მთლიანი შიგა პროდუქტის 9,4 პროცენტი. კიდევ უფრო დაბალია მისი ხვედრითი წილი მთლიანად კავკასიის მაჩვენებლებთან მიმართებაში.

ცხრილი 4.12

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ხვედრითი წილი კავკასიისა და თურქეთის ეკონომიკაში (პროცენტებში)

მაჩვენებლები	რეგიონი			
	კავკასია - სულ	მათ შორის სამხ.- დას. კავკასია	თურქეთი - სულ	მათ შორის სამხ.- დას. კავკასია
ტერიტორია	100	5,2	100	6,0
მოსახლეობა	100	3,3	100	2,4
მთლიანი შიგა პროდუქტი	100	3,2	100	1,1

თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეტების წილი ქვეყნის ეკონომიკაში მეტად უმნიშვნელოა (ცხრილი 4.13). აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი ეკონომიკურად სუსტადაა განვითარებული (მთლიანი შიგა პროდუქტი - 1,4 მლრდ. აშშ დოლარი) და თურქეთის პერიფერიულ სასოფლო-სამეურნეო რეგიონებს წარმოადგენს.

4.5. კავკასიის ეკონომიკური სივრცის პარამეტრების შედარებითი ანალიზი

როგორც ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, თუმცა ძირითადად კავკასიის ყოველ სეგმენტს თვითაღწარმოებრივი ერთეულისათვის საჭირო რესურსები აქვს, მის მიერ გეოეკონომიკური ფუნქციის სრულფასოვანი რეალიზაცია რეგიონის სუბიექტთა ინტეგრაციას მოითხოვს.

ცხრილი 4.13

სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ძირითადი მაჩვენებლები
თურქეთის ეკონომიკაში 2002 წლისათვის

მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაცი	%	მლრდ.აშშ დოლარი	%
თურქეთი	74,8	100	69,6	100	123,9	100
სამხ.-დასავლეთ კავკასია (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთები)	46,7	6,0	1,7	2,4	1,4	1,1
აგრა	11,5	1,5	0,5	0,7	0,3	0,2
ართვინი	7,4	1,0	0,2	0,3	0,3	0,2
ყარსი	10,1	1,3	0,3	0,4	0,2	0,2
ვანი	9,3	1,1	0,4	0,6	0,4	0,3
არდაგანი	4,8	0,6	0,1	0,1	0,1	0,08
იგდირი	3,6	0,5	0,2	0,3	0,1	0,08

იბადება ბუნებრივი კითხვები: აუცილებელია თუ არა კავკასიაში დამოუკიდებელი რეგიონული გაერთიანების შექმნა იმისათვის, რომ მან გეოეკონომიკური ფუნქცია შეასრულოს? თუ აუცილებელია, რა პრინციპებით და რა ტიპისა? მისცემს თუ არა ეს იმპულსს რეგიონის ქვეყნების დაჩქარებულ ეკონომიკურ განვითარებას? ამ კითხვებზე სრულფასოვანი პასუხი რომ გავცეთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვახდინოთ კავკასიისა და მისი სტრუქტურის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების შედარებითი შეფასება სხვა რეგიონულ გაერთიანებებთან მიმართებაში.

მთელი კავკასიის (მათ შორის ცენტრალური კავკასიის), ერთი მხრივ, და მოქმედი ინტეგრაციული დაჯგუფებების (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, სუუამი, ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანება, ევროკავშირი, აზია-წყნარი ოკეანის ეკო-

ნომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზარი), მეორე მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლების შედარება მოწმობს მათ არათანაშეზომილობას ტერიტორიული, ადამიანთა და წარმოებრივი რესურსების სიდიდის მიხედვით (ცხრილები 4.14 და 4.15).

ცხრილი 4.14

რეგიონული კავშირებისა და კავკასიის ძირითადი მაჩვენებლები
2002 წლისათვის

მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაცი	%	მლრდ.აშშ დოლარი	%
კავკასია	907,0	100	51,7	100	44,0	100
სუუამი	1242,7	137	89,6	173	59,6	135
ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანება	3995,8	440	56,0	108	38,5	87
დამოუკ. სახელმწიფოთა თანამეგობრობა	22114,6	2438	278,6	538	453,2	1030
ევროკავშირი (15)	3232	356	372,6	720	8093	18393
ჩრდ. ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა	19522	2152	401	775	9371,2	21298
სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზარი	11893	1311	213	411	1048,7	2383
აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშ. ორგანიზაცია	62012,5	6837	2513,7	4862	17924	40736

ამრიგად, სუუამთან შედარებით კავკასია 1,4-ჯერ ნაკლებია ტერიტორიის მიხედვით, 1,7-ჯერ – მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და 1,4-ჯერ – მთლიანი შიგა პროდუქტის მიხედვით. კიდევ უფრო საგრძნობია განსხვავება სუუამსა და ცენტრალურ

კავკასიას შორის: შესაბამისად 6,7-ჯერ, 5,4-ჯერ და 5,0-ჯერ. სხვა ინტეგრაციულ დაჯგუფებებთან მიმართებაში კავკასიის რეგიონის შედარებითი მაჩვენებლები კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე სუუამთან მიმართებაში მოყვანილი.

ცხრილი 4.15

რეგიონული კავშირებისა და ცენტრალური კავკასიის ძირითადი მაჩვენებლები 2002 წლისათვის

რეგიონები \ მაჩვენებლები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. კაცი	%	მლრდ.აშშ დოლარი	%
ცენტრალური კავკასია	186,1	100	16,6	100	12,0	100
სუუამი	1242,7	668	89,6	540	59,6	497
ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანება	3995,8	2147	56,0	337	38,5	320
დამოუკ. სახელმწიფოთა თანამეგობრობა	22114,6	11883	278,6	1678	453,2	3777
ევროკავშირი (15)	3232	1737	372,6	2245	8093	67442
ჩრდ. ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა	19522	10495	401	2416	9371,2	78093
სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზარი	11893	6394	213	1283	1048,7	8739
აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშ. ორგანიზაცია	62012,5	33339	2513,7	15143	17924	149367

თუ გავითვალისწინებთ, რომ 2005 წლის მაისში უზბეკეთის მიერ სუუამის წევრობის შეწყვეტის გამო ეს ორგანიზაცია სუამად გადაიქცა და რამდენადმე შემცირდა, კავკასიისა და ცენტრალური კავკასიის შედარებითი მაჩვენებლები ამგვარად გამოიყურება: ტერიტორიის მიხედვით სუამი კავკასიის 88 პროცენტს შეადგენს, თუმცა მოსახლეობის მიხედვით 1,25-ჯერ აღემატება მას; ამავე დროს,

ტერიტორიის მიხედვით სუამი ცენტრალურ კავკასიას 4,3-ჯერ, ხოლო მოსახლეობის მიხედვით – 3,9-ჯერ აღემატება.

ამრიგად, „ზომების“ მიხედვით კავკასია (და განსაკუთრებით მისი ცენტრალური ნაწილი – აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) მსოფლიოში არსებულ ზემოხსენებულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებთან ვერანაირ შედარებას ვერ უძლებს. თუ იმ მარტივი მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ, რომ ინტეგრირებული ერთეულების დიდი „ზომები“ ინტეგრაციულ პროცესებში გარკვეულ სირთულეებს ქმნის, განსახილველი რეგიონის შედარებით მცირე „ზომები“ შეიძლება როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე რეგიონულ (და სუბრეგიონულ) დონეებზე ინტეგრირების პოტენციალური შესაძლებლობების თაობაზე „ამოსავალ თვალსაზრისად“ იქცეს.

კავკასიის ერთ მთლიან რეგიონად ინტეგრაცია ნაკარნახევია არა იმდენად მისი პოტენციალის, ბაზრის მოცულობის, ანუ სავაჭრო-საინვესტიციო შესაძლებლობებისა და მიმზიდველობის თვალსაზრისით, რამდენადაც მისი ფუნქციონალური მნიშვნელობით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას უნიკალური ტერიტორიული მდებარეობა უკავია ევროპისა და აზიის, ქრისტიანული და ისლამური ცივილიზაციების, ისტორიული „აბრეშუმის გზისა“ (მაგალითად, Elisseeff, 2000, Foltz, 1999, Liu, 1998, Петров, 1999) და „ვოლგა-კასპიის სავაჭრო გზის“ (მაგალითად, Ахмедов, 1972) და მათი თანამედროვე მოდიფიკაციების – საერთაშორისო სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნების „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ და „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ გადაკვეთაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, XXI საუკუნის დამდეგს, კავკასიის ინტეგრაციის ფორმები და მეთოდები, რეგიონული გაერთიანების ტიპი, ძირითადად, მსოფლიო ეკონომიკისათვის მისი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მნიშვნელობით უნდა განისაზღვროს.

4.6. კავკასია სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ღერეშნების სისტემაში

რომის იმპერიის დროს (ძვ. წ. I ს.) კავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა რომის შანხანისთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზები. მაგრამ მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შედეგად აბრეშუმის გზა განადგურდა და უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭა ვოლგა-კასპიის სავაჭრო გზას, ანუ დასავლეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო გზა ჩრდილოეთ-სამხრეთის სავაჭრო გზამ ჩაანაცვლა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში კავკასიის შესვლის შედეგად ევროპასა და აზიას (დასავლეთ-აღმოსავლეთს) შორის სახმელეთო კომუნიკაცია ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთის ნაწილისა და ციმბირის ტერიტორიის გავლით ხორციელდებოდა: საბჭოთა პერიოდში აშენდა რკინიგზა, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ კავკასია (ქ. დონის როსტოვი), ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი (ბაიკალ-ამურის მაგისტრალი) აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებს დაუკავშირა.

თანამედროვე პირობებში „ახალი აბრეშუმის გზის“¹ აღდგენა ნავარაუდევია სამი საყრდენი დარგობრივი პლაცდარმის: ენერგეტიკის, ტრანსკონტინენტური სატრანსპორტო სისტემისა და ტელეკომუნიკაციების ბაზაზე. ხოლო ღერძი ამ პროექტისა, რომელიც თავის თავში ერთდროულად გლობალური, რეგიონული და ლოკალური ინტერესების აკუმულირებას ახდენს, უნდა იყოს არა მარტო კავკასიის რეგიონის, არამედ ფართო გაგებით მთელი კასპიისპირეთის ზონის ბუნებრივი რესურსების დამუშავება, ანუ აქ ცენტრალური აზიის ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრეებიც ჩაერთვება. ცენტრალური აზიის სანედლეულო პოტენციალისა და, უწინარეს ყოვლისა, მისი დიდი ნავთობისა და გაზის საბადოების აქტუალიზაცია გააძლიერებს აგრეთვე კასპიისპირა ქვეყნების ეკონომიკის დინამიზმს და ნახშირწყალბადოვანთა დიდ იმპორტიო-

რებს ნედლეულის სტაბილური მიწოდებით უზრუნველყოფს.

აბრეშუმის გზის აღორძინების მნიშვნელოვანი პლაცდარშია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაც. ამ სფეროს კონტროლი გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. როგორც მსოფლიო ისტორიის მდიდარი ფაქტობრივი მასალა მონიშნავს, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე კონტროლის დაკარგვით ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ზეგავლენის სფეროებს და ლიდერის პოზიციებს თმობს, ამავდროულად ხელიდან ეცლება რეგიონული ბაზრები და საფინანსო ნაკადები (მაგალითად, Полтерович, 1998).

ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იძენს ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გაეროს სპეციალური პროგრამის² განხორციელებისას შექმნილი გამოცდილება, რომლის ფარგლებშიც მომზადდა სამოქმედო პროგრამა ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გაეროს სპეციალური პროგრამის³ მონაწილე ქვეყნების სატრანზიტო-სატრანსპორტო თანამშრომლობისათვის. მის ძირითად პრიორიტეტებს შორისაა ყველაზე მისაღები, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი სუბრეგიონული და ტრანსსასაზღვრო სატრანსპორტო გზების და ტრანზიტის პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებასა და საზღვარგარეთის ბაზრებზე გასვლას. ამ პროექტის სტრატეგია ევრაზიის სატრანსპორტო გზების განვითარებასთან ერთად (მათ შორის ტრანსციმბირის მაგისტრალი, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, სამხრეთის მაგისტრალი და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალი) გულისხმობს საერთო-ევროპული სატრანსპორტო დერეფნების უფრო შორს აღმოსაველეთისაკენ გაგრძელებას, აგრეთვე მნიშვნელოვან კავშირს აზიის მაგისტრალთან და ტრანსაზიის სარკინიგზო მაგისტრალთან.

ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გაეროს სოციალურ პროგრამაში აზერბაიჯანის აქტიურ მონაწილეობას, მისი პოტენციალის რაც შეიძლება სრულ რეალიზაციას შეიძლება რეალური შედეგები და საგრძნობი უპირატესობანი მოჰყვეს კავკასიის რეგიონისათვის. ამას, კერძოდ, შეიძლება მოჰყვეს მსოფლიო ეკონომიკაში რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა, რეგიონულ და სუბრეგიონულ დონეებზე ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა, საგზაო ტრანსპორტის ეფექტიანობის ამაღლება, აგრეთვე საიმისო პირობების შექმნა, რომ ისინი შეუერთდნენ გაეროს პროექტებს „ჩრდილოეთ-სამხრეთის ტრანსევროპული ავტომაგისტრალი“ და „ტრანსევროპული სარკინიგზო მაგისტრალი“, ჩაებან გაეროსა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ინიციატივებში სატრანსპორტო ოპერაციათა გამარტივების თაობაზე. ასეთი თანამშრომლობა, საბოლოო ანგარიშით, რეგიონში ეფექტიანი, უნიფიცირებული, უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემების განვითარებისა და ევროპული და საერთაშორისო ნორმების ფარგლებში რეგიონული მარეგულირებელი დოკუმენტების ინტეგრაციის საშუალება გახდება, მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს სატრანსპორტო კომუნიკაციების გლობალურ სისტემებში კავკასიის ინტეგრაციას.

ცენტრალური აზიის რეგიონთან განვითარებადი თანამშრომლობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მის მოკლე სოციალურ-ეკონომიკურ დახასიათებას მივმართოთ.

2003 წლის მდგომარეობის მიხედვით ცენტრალური აზიის ტერიტორია 4008,0 ათას კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობის რაოდენობა 56,9 მლნ. კაცი, მთლიანი შიგა პროდუქტი 49,4 მლრდ. აშშ დოლარია (იხ. ცხრილი 16), ხოლო ექსპორტი – 20,5 მლრდ. აშშ დოლარი.

რეგიონის ყველაზე დიდი სახელმწიფოს – უზბეკეთის მოსახლეობა 25,8 მილიონ მცხოვრებს ითვლის, ხოლო მომდევნო სა-

ცხრილი 4.16

ცენტრალური აზიის ქვეყნების ძირითადი მაჩვენებლები 2003 წლისათვის

მაჩვენებლები რეგიონები	ტერიტორია		მოსახლეობა		მთლიანი შიგა პროდუქტი	
	ათასი კვ.კმ.	%	მლნ. აცი	%	მლრდ. აშშ დოლარი	%
ცენტრალური აზია – სულ, მათ შორის	3995,8	100	56	100	38,5	100
ყაზახეთი	2717,3	68,0	15	26,9	15,6	40,5
ყირგიზეთი	199,9	5,0	5	8,9	1,6	4,2
ტაჯიკეთი	143,1	3,6	6	10,7	1,8	4,7
თურქმენეთი	488,1	12,2	5	8,9	2,7	7,0
უზბეკეთი	447,4	11,2	25	44,6	16,8	43,6

ხელმწიფო – ყაზახეთი – 14,9 მილიონს. მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდის მიხედვით რეგიონში ყაზახეთი ლიდერობს (60,1 მლრდ. აშშ დოლარი), მას თითქმის სამგზის ჩამორჩება უზბეკეთი (20,2 მლრდ. აშშ დოლარი). თურქმენეთში მთლიანი შიგა პროდუქტი 6,2 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში 2 მლრდ. აშშ დოლარს არ აღემატება. რეგიონში ყველაზე დიდი ექსპორტიორია ყაზახეთი, რომელიც მსოფლიო ბაზრებს 20,1 მლრდ. აშშ დოლარის საქონელსა და მომსახურებას აწვდის.

სპეციალისტთა პროგნოზები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ XXI საუკუნეში ცენტრალური აზია მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სანედლეულო და ენერგეტიკულ საკუჭნაოდ გადაიქცევა (მაგალითად, Makhmudov, 2002). ყაზახეთში უკვე აღმოჩენილი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მარაგი შესაბამისად 2,2 მლრდ. ტონას და 2,5 ტრილიონ კუბმეტრს შეადგენს. თურქმენეთში ბუნებრივი გაზის მარაგი 2,9 ტრილიონ კუბმეტრს აღწევს, ხოლო

უზბეკეთში – 1,9 ტრილიონ კუბმეტრს. ყაზახეთის პროგნოზირებული მარაგი, კასპიის ზღვის შეღწეზე და არალის ზღვის აუზში საბადოების გათვალისწინებით 13,0 მლრდ. ტონა ნავთობს და 6 ტრილიონ კუბმეტრ ბუნებრივ გაზს აღემატება, თურქმენეთისა – შესაბამისად 6,3 მლრდ. ტონას და 15,5 ტრილიონ კუბმეტრს, უზბეკეთისა – 0,3 მლრდ. ტონას და 2,0 ტრილიონ კუბმეტრს. მოყვანილი მონაცემების გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ კასპიის რეგიონი ბაზარზე იმის ანალოგიურ ადგილს დაიკავებს, რა ადგილიც დღეს ჩრდილოეთის ზღვას (ნორვეგია) უკავია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებს, ნავთობის გარდა აქვთ ისეთი სტრატეგიული მინერალური ნედლეულის მნიშვნელოვანი მარაგი, როგორცაა ურანი, ოქრო, პოლილითონებისა და რკინის მადანი და ა.შ.

1994 წლის დამლევს ყაზახეთი და უზბეკეთი შეთანხმდნენ ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული ორგანიზაციის შექმნის თაობაზე. იმავე წლის აპრილში მათ ყირგიზეთი შეუერთდა, ხოლო 1998 წლის მარტში – ტაჯიკეთი. ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანების მთავარ მიზნად ამ რეგიონული გაერთიანების მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა გამოცხადდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანება, რეგიონის ფარგლებშიც კი, არ განეკუთვნება უმნიშვნელოვანეს ინტეგრაციულ გაერთიანებათა რიცხვს. შეგახსენებთ, რომ ყაზახეთი, ყყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრები არიან. თანაც, აღნიშნული დამოუკიდებელი სახელმწიფოები, უზბეკეთის გამოკლებით, ბელარუსთან და რუსეთთან ერთად, საბაჟო კავშირში შედიან.

გარდა ამისა, უზბეკეთი 2005 წლის მაისამდე სუუამის წევრი

იყო, თურქმენეთი კი, რომელმაც სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა გამოაცხადა, არანაირ დაჯგუფებაში არ ახდენს ინტეგრაციას. ამასთან, თითოეული ამ ქვეყნისათვის რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთმოქმედების მნიშვნელობა ვერ შეედრება სუსტ ურთიერთთანამშრომლობას ცენტრალური აზიის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში.

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ, ნავთობისა და გაზის გამოვლენილი და პროგნოზირებადი მარაგის მიუხედავად, საერთაშორისო შრომის დანაწილებაში ცენტრალური აზიის რესპუბლიკების, როგორც ამ ნედლეული რესურსების მსხვილი მიმწოდებლების მონაწილეობა გარკვეულ გარემოებათა გამო გაძნელებულია. ეს უკავშირდება მთელ რიგ მიზეზებს, და, უმთავრესად, მწვავე გეოპოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც რეგიონის რესურსებისა და მსოფლიო ბაზრებზე მათი ტრანსპორტირების კონტროლისათვის გაჩაღდა. პრობლემა, მნიშვნელოვანწილად, იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური აზიის ყველა სახელმწიფო ე.წ. „ხმელეთით გარშემოტყმულ ქვეყნებს“ („land-locked countries“) განეკუთვნება, რომლებსაც უშუალო გასასვლელი არა აქვთ მსოფლიო ოკეანეში და ამიტომ მონყვეტილი არიან ძირითად სავაჭრო გზებს. ამ გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების გამო გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში რეგიონის ინტეგრაცია მეტ-ნაკლებად გართულებულია, რის გამოც რეგიონის ხუთივე ქვეყნის განვითარების პერსპექტივები გარკვეულწილად შეზღუდულია.

კავკასიაზე გამავალი მეორე სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მიმართულება ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანია. მისი მიმართულება რუსეთიდან კავკასიისა და ირანის დასავლეთი ნაწილის (და არა ცენტრალური აზიის) გავლით და შემდეგ სპარსეთის ყურის გავლით ინდოეთის ოკეანისაკენ აქ განვითარებული სატრანსპორტო-საკო-

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის არსებობითაა განპირობებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს კავკასიის ქვეყნების რეალური ეკონომიკური ინტეგრაციის მწვავე აუცილებლობა. თუ პრობლემას ფართოდ განვიხილავთ, ამ ინტეგრაციაში შეიძლება ჩაერთონ ცენტრალური კავკასიის ქვეყნები (აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი) და სამი მომიჯნავე რეგიონული ტერიტორია (რუსეთის, თურქეთისა და ირანის საზღვრისპირა რაიონები), ხოლო ვინრო გაგებით – სანყის ეტაპზე მხოლოდ აზერბაიჯანი და საქართველო.

შეჯამებისას უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები უმნიშვნელოა და მისი სტრუქტურები არაერთგვაროვანია. კავკასიის სუბრეგიონების ეკონომიკური ზრდის ტემპი და ორიენტირები, მათი ურთიერთკავშირი განსხვავებულია, რაც, საბოლოო ანგარიშით, რეგიონისათვის ართულებს გეოეკონომიკური ფუნქციის სრულფასოვნად შესრულებას აქედან გამომდინარე ყველა შედეგის გათვალისწინებით.

შენიშვნები

¹ აბრეშუმის გზის აღდგენის ინიციატივა 1993 წელს ევროკავშირმა წამოაყენა (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი – ტრასეკა), რაც 1999 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იქნა მხარდაჭერილი (Act, 1999).

² ეს პროგრამა მიიღეს ტაშკენტის დეკლარაციით, რომელსაც 1998 წლის მარტში მოანერგეს ხელი ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა. იმავე წლის სექტემბერში თურქმენთმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი ამ დეკლარაციას და გამოთქვა მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გაეროს საეკონომიკური პროგრამაში. 2002 წლის ნოემბერში ამ პროგრამას აზერბაიჯანიც შეუერთდა. თანამშრომლობის პრიორიტეტული დარგებია: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და საზღვრების გადაკვეთის პროცედურების გამარტივება; ენერგეტიკული და წყლის რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება; ცენტრალური

აზიის რეგიონული კონტექსტით ტაჯიკეთის შესახებ საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია. 2004 წლის თებერვალში გაეროს გენერალურმა მდივანმა ცენტრალური აზიის ხუთი ქვეყნისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებისათვის გაგზავნილ წერილებში დაადასტურა ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გაეროს სპეციალური პროგრამის მიზნები და მნიშვნელობა და გაეროს ერთგულება მისი შესრულებისადმი (იხ., [http:// www.unec.org/speca/transp/pro-pwg-140400ru.htm](http://www.unec.org/speca/transp/pro-pwg-140400ru.htm)).

¹ აღნიშნულ სამოქმედო პროგრამაში მონაწილეობენ გაეროს, ევროკავშირის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთელი რიგი ორგანიზაციები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. მისი ძირითადი ელემენტები იყო აღმართის სამოქმედო პროგრამა, რომელიც მოინონა სატრანზიტო-სატრანსპორტო თანამშრომლობის მინისტრთა დონეზე გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ (აღმართი, 2003 წლის აგვისტო). ამჟამად მიმდინარეობს მიღწეული შედეგების შესრულებასა და მათ განხორციელებაში გაეროს სპეციალური პროგრამის მონაწილე ქვეყნებისათვის ხელშეწყობის ეფექტიან ღონისძიებათა უზრუნველყოფის გზებზე მსჯელობა.

5.1. პოსტკომუნისტური ტიპის ეკონომიკის ბუნების შესახებ

საბაზრო პრინციპებზე მოქმედი ეკონომიკა საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი. სათანადო დონეზეა შემუშავებული ეკონომიკური თეორიაც, რომელიც მის განვითარებას ასახავს. ამის მიუხედავად, თანამედროვე რეალიებმა და, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესმა მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემები დააყენა დღის წესრიგში (Papava, 2005c, pp. 12-27, 2005d, Папавა, 2000)¹.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკას მასში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკათა ინტეგრაციის მაღალი ხარისხი ახასიათებდა და შრომის მკაფიო საერთო-საკავშირო დანაწილებას ემყარებოდა. ამით აიხსნება, რომ ხანგრძლივი 70 წლის განმავლობაში ამ რესპუბლიკების ერთიან ეკონომიკურ სივრცეში – „ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში“ თანაარსებობამ მათ ეკონომიკურ სისტემებს ღრმა ნაკვალევი დაამჩნია, ჩამოაყალიბა რა ისინი ერთიან ეკონომიკად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლად წარმოქმნილი ყველა სახელმწიფო პრაქტიკულად იმის აუცილებლობის წინაშე დადგა, რომ ხელახლა შეექმნათ დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური სისტემები, რომელთაგან თითოეული წარსულში ერთიანი კომპლექსის ცალკეულ ელემენტებს წარმოადგენდა. ისინი, თავის მხრივ, სტრუქტურით, მწარმოებლური ძალების განლაგებით,

ტექნოლოგიებით, წარმოების ორგანიზაციის პრინციპებით ერთმანეთთან იყენენ დაკავშირებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სიტუაცია იმ გარემოებამაც დაამძიმა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა ეკონომიკა მოიცვა კრიზისმა, რომელმაც თვალნათლივ გამოავლინა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სტრუქტურების მოუქნელობა. ამ სტრუქტურებს არ აღმოაჩნდათ სიახლეებზე სწრაფად და ეფექტიანად რეაგირების უნარი. ბუნებრივი, შრომითი და კაპიტალური რესურსების ექსტენსიურ საფუძველზე ხანგრძლივმა მობილიზაციამ, მზარდმა გარეეკონომიკურმა დატვირთვამ და ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის ეფექტიანობის გამუდმებულმა შემცირებამ XX საუკუნის 80-იან წლებში გამოიწვია სიტუაცია, რომლის დროსაც ნულოვანი ზრდის უზრუნველყოფისთვისაც კი დაგროვების წილის გაზრდა იყო საჭირო. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა საფინანსო სისტემის დესტაბილიზაციისა და კრიზისის წანამძღვრები. კრიზისული პროცესების მიმდინარეობამ 1989-1991 წლების პერიოდის პოლიტიკური ფაქტორებიც გაააქტიურა. შედეგად საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის აშკარა იყო წარმოებისა და საინვესტიციო აქტიურობის დაქვეითება, საწარმოთა შორის ეკონომიკური კავშირების განწყვეტა, საფინანსო სისტემის მოშლა და ფულად-საკრედიტო სფეროსადმი კონტროლის დაკარგვა, საგარეო-პოლიტიკური და სავალუტო გაკოტრება, სახელმწიფო-პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების დაშლა (მაგალითად, Easterly, and Fisher, 1994)².

გარდა ამისა, ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალგვარობამ, ბუნებრივი და ადამიანისეული რესურსებით უზრუნველყოფის მაღალმა დონემ, მთელმა რიგმა გარეშე ფაქტორებმა მსოფლიო ბაზრის მიმართ საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ერთგვარი ჩაკეტილობა განაპირობა. საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური

ბაზა მონინავე საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით მორალურად გაცვეთილი იყო. ერთიანი ეკონომიკური სისტემის დაშლისა და როგორც ახლად შექმნილი სახელმწიფოების, ისე ცალკეული სანარმოების დონეზე საფინანსო სიძნელეთა გაჩენის შემდეგ წარმოიქმნა სიტუაცია, როცა ტექნოლოგიური განახლების საკუთარი შესაძლებლობები პრაქტიკულად ძალიან უმნიშვნელო აღმოჩნდა. შედეგად მორალურად დაძველებული მონყობილობა ფიზიკურადაც გაცვდა. ეს კი, თავის მხრივ, იმის მთავარი მიზეზია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წარმოებული საქონლის უმეტესი ნაწილი არაკონკურენტუნარიანი (დაბალი ხარისხისა და (ან) წარმოების მაღალი ხარჯების გამო) აღმოჩნდა, რაც მსოფლიო ბაზრებზე შელწევას და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში აქტიურ ინტეგრირებას შეუძლებელს ხდის.

ამგვარი სიტუაცია საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (აგრეთვე ჩინეთის, მონღოლეთისა და ვიეტნამის) ეკონომიკათა ხასიათის შესახებ პრობლემის გააზრებისადმი არასტანდარტულ მიდგომას მოითხოვს. შემდგომში ამ ქვეყნების ეკონომიკას „კომუნისტური ტიპის ეკონომიკად“ მოვიხსენიებთ (Papava, 2005c, p. 17, 2005d, Παναას, 2000).

კომუნისტური ტიპის ეკონომიკა (რომელსაც ეკონომიკაში ხშირად „მბრძანებლურ ეკონომიკას“ უწოდებენ), როგორც ცნობილია, თავისი ბუნებით ძირეულად გამორიცხავს კონკურენტციულ ურთიერთობას და ნებისმიერი ფორმით მის გამოვლენას. ასეთი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა ერთიან ეკონომიკურ სივრცედ იყო გაერთიანებული (ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, რომელმაც დაახლოებით ორმოცი წელი იარსება და რომლის ფარგლებშიც ერთიანი საკოორდინაციო ორგანო მოქმედებდა). რაც შეეხება

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, იგი შეზღუდული მასშტაბით ხორციელდებოდა და მხოლოდ სამთავრობათაშორისო დონეზე რეგულირდებოდა.

მბრძანებლურ ეკონომიკაში კონკურენციის უარყოფამ ეკონომიკური განვითარების ერთადერთი ქმედითი სტიმული გაანადგურა, რის შედეგადაც, როგორც წესი, დაბალხარისხიანი პროდუქცია ინარმოებოდა, რომლის ფასიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციების ხარჯზე ხელოვნურად იყო შემცირებული. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში კი შენატანების ძირითადი წყარო ალკოჰოლური სასმელების გაყიდვით მიღებული ამონაგები იყო და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ნედლეულის (უნიწარესად ნავთობის) მიყიდვა სტაბილური უცხოური ვალუტის მიღების პრაქტიკულად ერთადერთ გზას წარმოადგენდა.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში პოლონეთში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემის ძირითადი ნიშნების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ადამ ლიპოვსკი ასკვნის, რომ, როცა მთელი მსოფლიო „განვითარებულ“ და „განვითარებად“ ქვეყნებადაა დაყოფილი, მბრძანებლური ეკონომიკის მქონე ქვეყნები არც ერთ მათგანს არ მიეკუთვნება. ამ ქვეყნების დასახასიათებლად ის იყენებს ტერმინს – „მცდარი გზით განვითარებული“ („Misdeveloped“) ქვეყნები. ამ ქვეყნებში (Lipowski, 1998, p. 9):

- მთლიან შიგა პროდუქტში მრეწველობის წილი მეტად დიდია საშინაო და საგარეო ვაჭრობისა და მომსახურების მცირე წილის გამო;
- სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოების საშუალებათა წარმოებაზე მოდის, მოხმარების საქონლის წარმოების დაბალი მოცულობის ხარჯზე;

- უაღრესად მცირეა საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა;
- ფართო მასშტაბით ინარმოება მომხმარებლისთვის უსარგებლო პროდუქცია;
- უაღრესად დიდია სამრეწველო წარმოებაში მოძველებული პროდუქციის წარმოების წილი.

კომუნისტური რეჟიმის დამხობამ და მბრძანებლური ეკონომიკის მოშლამ მსოფლიო ბაზრის წინაშე „გააშიშვლა“ პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა: ზოგიერთი გამონაკლისის (კერძოდ, ჰიდროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის მომპოვებელი და ნედლეულის პირველადი გადამუშავების ზოგიერთი ობიექტის) გარდა, ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია, მისი დაბალი ხარისხის, ან (და) სიძვირის გამო, არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. ასეთი პროდუქციისათვის ბაზარი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ასეთი ტიპის ეკონომიკას, ჩვენი აზრით, შეიძლება „მკედარი“, ანუ ნეკროეკონომიკა ვუწოდოთ, ხოლო მის შემსწავლელ თეორიას – ნეკროეკონომიკური თეორია, ნეკროეკონომიკის (Papava, 2001, 2002a, 2005c). უნდა აღინიშნოს, რომ „ნეკროეკონომიკის“ ცნებასთან ყველაზე „დაახლოებულია“ „ვირტუალური ეკონომიკის“ ცნება (Gaddy, and Ickes, 1998, 2002, Woodruff, 1999a, 1999b).

ზემოხსენებული მბრძანებლური ეკონომიკის „გააშიშვლების“ პროცესს ლიპოვსკი ახასიათებს ტერმინ „ინვესტიციის“ ანტიონიმიტ „დაივესტიციით“ (Drucker, 1985, Taylor, 1988), რომელიც გულისხმობს პოსტკომუნისტური ტიპის ეკონომიკისათვის „მცდარი გზით განვითარებულ“ ეკონომიკის ჩამოთვლილ პათოლოგიათა „მოხსნას“ (Lipowski, 1998, pp. 31-32)⁸, რის შედეგადაც ყალიბდება სწორედ ნეკროეკონომიკა.

ამრიგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკა (Papava, 2005c, Папава, и Беридзе, 2005) სხვა მოდელების კაპიტალიზმის ეკონომიკებისაგან (მაგალითად, Brown M., 1995, pp. 15-177, Gwynne, Klak, and Shaw, 2003) სწორედ მისი ნაწილით – ნეკროეკონომიკით განსხვავდება.

ბუნებრივია, რომ, როცა ეკონომიკის რომელიმე ნაწილი „მკვდარია“, მისი დანარჩენი ნაწილი „ცხოველუნარიანია“, რომელსაც პირობითად დავარქმევთ ვიტალურ ეკონომიკას, ანუ ვიტაეკონომიკას, ხოლო მის შემსწავლელ თეორიას ვიტაეკონომიკურ თეორიას, ვიტაეკონომიკსს, რაც თავისი შინაარსით სხვა არა არის რა, თუ არა ეკონომიკური თეორია, ეკონომიკის საყოველთაოდ მიღებული გაგებით. აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკაში ნეკროეკონომიკის ფენომენის გარეშე ვიტაეკონომიკას ეწოდება ეკონომიკა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბაზრო ეკონომიკა ეს არსებითად ვიტაეკონომიკაა.

პირველი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ, ასეთია: – რა საერთო აქვს ნეკროეკონომიკას ვიტაეკონომიკასთან და რა განსხვავებაა მათ შორის?

ნეკროეკონომიკაში ისევე, როგორც ვიტაეკონომიკაში, შეიძლება პროდუქტის წარმოება, ანუ პრაქტიკულად შეიძლება არსებობდეს მიწოდება, მაგრამ ვიტაეკონომიკაში წარმოებული პროდუქტისაგან განსხვავებით, ნეკროეკონომიკაში წარმოებულ პროდუქტზე, მისი დაბალი ხარისხის, ან(და) სიძვირის გამო, არავითარი მოთხოვნა არ არის. შესაბამისად, ნეკროეკონომიკა გამორიცხავს ყიდვა-გაყიდვის ნებისმიერ რაციონალურ აქტს; არსებითად, წონასწორული ფასების არსებობაც გამორიცხებულია.

თუ ეკონომიკის გარკვეული სეგმენტი „მკვდარია“ (ანუ შეუძლებელია მისი „გაცოცხლება“), მაშინ, არსებითად, პრობლემა

არ უნდა იყოს: სალი აზრის თანახმად, „მკედარი“ ეკონომიკა ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს მის „ცოცხალ“ ნაწილზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს სწორედ ასეა: არაკონკურენტუნარიანი წარმოება ისე „ქრება“, რომ ფაქტობრივად არავითარ პრობლემას არ უქმნის ეკონომიკის დანარჩენ ნაწილს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ეკონომიკური თეორიის კვლევის არეალის საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით „შემოფარგვლა“, ვინაიდან მასში ნეკროეკონომიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს.

ძირეულად განსხვავებული სიტუაციაა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში. იქ ნეკროეკონომიკა მბრძანებლური ეკონომიკის ტექნიკური აღჭურვის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის ურთიერთზემოქმედების მექანიზმის გამოვლენის მიზნით, პოსტკომუნისტური ეკონომიკა შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

1. ნეკროეკონომიკა სახელმწიფო სექტორში;
2. ვიტაეკონომიკა სახელმწიფო სექტორში;
3. პრივატიზებული ნეკროეკონომიკა;
4. პრივატიზებული ვიტაეკონომიკა;
5. ახალი კერძო ინვესტიციებით შექმნილი ვიტაეკონომიკა.

პირველ ჯგუფში, როგორც წესი, შედის, უპირატესად, მრეწველობის დიდი და საშუალო ობიექტები, რომლებიც, იქ წარმოებული პროდუქციის სახეობათა დანიშნულებიდან გამომდინარე, შეფასებულია როგორც სტრატეგიული, თუმცა მისი არაკონკურენტუნარიანობის გამო ეს საწარმოები ბაზრის პირობებში „მკედარი“ საწარმოებია.

სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკის საფუძველია უპირატესად ენერგეტიკის (უნინარეს ყოვლისა, ელექტრო-

ენერჯის წარმოება და გადაცემა, ნავთობისა და გაზის მოპოვება და მინოდება), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოები. მათი პრივატიზაციის შემთხვევაში ისინი გადადის მეოთხე ჯგუფში – პრივატიზებულ ვიტაეკონომიკაში. ეს ჯგუფი შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს მრეწველობის ზოგიერთ საშუალო და უპირატესად მცირე ობიექტებს (მათ პრივატიზაციამდე).

მესამე ჯგუფში შედის პირველი ჯგუფის საწარმოები მათი პრივატიზაციის შემდეგ. საკუთრების ფორმის შეცვლა თავისთავად სულაც არ ნიშნავს უმოქმედო საწარმოების ავტომატურ ამოქმედებას, რადგან „მიცვალებულის“ მდგომარეობა იმის მიხედვით როდი იცვლება, თუ ვის ეკუთვნის – სახელმწიფოს თუ კერძო ფირმას. ამ ფაქტის უგულვებელყოფა არის სწორედ პრივატიზაციის პროცესის შედარებითი დისკრედიტაციის ძირითადი მიზეზი, როცა მას, განსაკუთრებით მის საწყის სტადიაში ინვესტირების პროცესთან კავშირის მიუხედავად და მისგან იზოლირებულად, ეკისრებოდა უმოქმედო საწარმოთა ამოქმედების ფუნქცია იმის მიუხედავად, სინამდვილეში „ცოცხალი“ იყო თუ „მკვდარი“ ყოველი კონკრეტული საწარმო.

ბოლო, მეხუთე ჯგუფი, პოსტკომუნისტური ეკონომიკის ყველაზე „ჯანსაღ“ ნაწილს მოიცავს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპების თანახმად ხელახლაა შექმნილი კერძო ინვესტიციების ხარჯზე. მიუხედავად ამისა აქაც არის გარკვეული პრობლემები, რომლებიც ადეკვატურ გააზრებას მოითხოვს. კერძოდ, საქმე ეხება ზოგიერთ უცხოურ ინვესტიციას, რომელთა ხარჯზეც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში იყენებენ არა უახლეს, არამედ ნახმარ, შედარებით მოძველებულ (უფრო სწორად, მსოფლიო სტანდარტების მიხედვით მორალურად მოძველებულ) ტექნოლოგიებს, რომლებსაც, ჩვენი აზრით, სახელწოდება „სეკონდჰანდ ინვესტიციები“ („secondhand shop“ ქართულ თარგმანში ნიშნავს ნახმარი ნივთების მაღაზიას, ანუ „საკომისიოს“)

უფრო შეეფერება; მათი მემკვიდრეობით წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანია მხოლოდ „ახლად წარმოქმნილი ბაზრების“ („emerging markets“) ფარგლებში, ისიც დროის შეზღუდული ინტერვალით – სანამ ამ „ბაზრებზე“ მსოფლიო სტანდარტების მიხედვით კონკურენტუნარიანი საქონელი შეაღწევს.

შემდეგი კითხვა, რომელიც მნიშვნელოვანია მსჯელობისათვის: რა განაპირობებს პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში ნეკროეკონომიკის სტაბილურ არსებობას?

ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება ეკონომიკური ცვლილებების ევოლუციური თეორიიდან გამომდინარე (Nelson, and Winter, 1982). ამ თეორიის ძირითადი „ინსტრუმენტია“ „რუტინის“ („routines“) ცნება, რომელიც გულისხმობს ფირმების ქცევის იმ ჩამოყალიბებულ წესებსა და ხერხებს, რომლებიც მის ქცევის) აღწარმოებას არეგულირებენ (Murtell, 1992a, 1992b).

სწორედ მრავალი ათწლეულის განმავლობაში მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში ჩამოყალიბებული „რუტინა“ არის იმის ძირითადი ფაქტორი, რაც „მკვდარ“ სანარმოებს „აიძულებს“, იმუშაონ მბრძანებლური ეკონომიკის უკვე არარსებულ რეჟიმში, რის შედეგადაც მათი საწყობები არაკონკურენტუნარიანი პროდუქციით არის გავსებული, ხოლო მისი რეალიზაციის პრინციპული შეუძლებლობის გამო გროვდება უიმედო ვალი სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური ფონდისადმი, ენერჯეტიკის სექტორისადმი, სხვა სანარმოებისადმი. შედეგად სანარმოთა ურთიერთდავალიანების დახლართული ქსელი წარმოიქმნება (Åslund, 1995, ch. 6).

მბრძანებლურ ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ტრადიციების თანახმად, როცა სანარმოს ვალები უგროვდებოდა (მათ შორის გააზრებულადაც), მისი დირექტორი ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებში (კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ სტრუქტურებში,

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, ფინანსთა სამინისტროში) მათი ჩამონერის საკითხს აყენებდა და, როგორც წესი, მიზანს აღწევდა. აქედან გამომდინარე, ვალების ჩამონერის პრაქტიკულად შეუზღუდავ (უფრო ზუსტად, გარანტირებულ) შესაძლებლობათა პირობებში, მათი დაგროვება სანარმოს ხელმძღვანელობისათვის სახიფათოდ არ აღიქმებოდა. ვალების ჩამონერის მოცემული მექანიზმი ის დამკვიდრებული „რუტინა“, რომელიც, სამწუხაროდ, პერიოდულად ვლინდება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში „საგადასახადო ამნისტიის“ სხვადასხვა ვარიაციით (მაგალითად, Николаев, 2002, Шульга, 2002).

პოსტკომუნისტური ქვეყნების განვითარებაზე ნეკროეკონომიკის უარყოფითი გავლენა ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, უნდა გამოვლინდეს და ამოქმედდეს ის მექანიზმი, რომელიც „მკედარი“ სანარმოების პრობლემას საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი „ავტომატური“ რეჟიმით გადაჭრის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ მექანიზმმა ეკონომიკური მონყობის საბაზრო პრინციპების ყველგან გავრცელება უნდა უზრუნველყოს. ამ პრობლემის გადაჭრის გასაღები ეკონომიკური ცვლილებების ზემოხსენებულ ევოლუციურ თეორიაში ძევს.

სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პოსტკომუნისტური ეკონომიკის ფირმების მეხუთე ჯგუფი – კერძო სექტორი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კერძო ინვესტიციების ხარჯზეა შექმნილი. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მის განმტკიცებასა და გაფართოებას, იზრუნოს ისეთი სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნისათვის, სადაც კერძო ინვესტიციების ხარჯზე ახალი ფირმები შეიქმნება. გასათვალისწინებელია, რომ ფირმების ამ ჯგუფში ჩამოყალიბებული „რუტინა“ თავისი ხასიათით საბაზრო იქნება და ამით საზოგადოებას

აღარავითარ ნეკროეკონომიკურ საფრთხეს აღარ შეუქმნის.

პოსტკომუნისტური სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი უნდა გახდეს პირველი და მესამე ჯგუფების არეალების შევიწროება მეხუთე ჯგუფის საყოველთაო გაფართოების ხარჯზე. მეხუთე ჯგუფის იმ ფირმების ბუნებრივი „არამიზიდველობის“ მიუხედავად, რომლებიც „სექონდჰენდ ინვესტიციების“ ხარჯზე იქმნებოდა, ისინიც, სათანადო საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში, პრაქტიკულად ვერ გახდებიან ნეკროეკონომიკის შექმნის წყარო, რადგან მათი (ფირმების) ჩამოყალიბება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ხდება, რის გამოც მისი შესაბამისი „რუტინა“ კონკურენტუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში ასპარეზიდან ფირმის „ნასვლას“ უზრუნველყოფს, ვინაიდან იგი საბაზრო მექანიზმებს ემორჩილება.

რაც შეეხება მეორე და მეოთხე ჯგუფებს, იმის მიუხედავად ჯერ კიდევ სახელმწიფოს ეკუთვნის მოცემული კონკრეტული საწარმო, თუ უკვე პრივატიზებულია, იგი დაუყოვნებლივ მოითხოვს ახალი ინვესტიციების მიზიდვას (Папавა, и Месхия, 2002) საკუთრების შესაბამისი წილის გაყიდვის ან, ყოველ შემთხვევაში, სტრატეგიული ინვესტორისათვის გრძელვადიანი პერიოდით მართვის უფლების გადაცემის გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება იმის ალბათობა, რომ მეორე და მეოთხე ჯგუფების ვიტაეკონომიკა, შესაბამისად, პირველი და მესამე ჯგუფების ნეკროეკონომიკად გადაიზრდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისთავად პრივატიზაცია ნეკროეკონომიკის განადგურებას ავტომატურად როდი იწვევს. შესაბამისად, პირველი ჯგუფის სტრატეგიული დანიშნულების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს: მოაწყოს ღია (მათ შორის საერთაშორის-

სო) ტენდერი სტრატეგიული ინვესტორის გამოვლენის მიზნით, რომელსაც კონკრეტული „მკვდარი“ ობიექტი (უფრო ზუსტად, უფლება კონკრეტული „მკვდარი“ ობიექტის კედლებში დაიწყოს მოცემული ქვეყნისათვის სტრატეგიული შესაბამისი წარმოება) მართვის უფლებით ხანგრძლივი ვადით გადაეცემა. გამორიცხული არ არის, რომ ეს ნაბიჯი სტრატეგიული ინვესტორისათვის შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს, და მაშინ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მოცემული ობიექტის პრივატიზაცია, თუნდაც სიმბოლურ ფასად, რადგან „მკვდარი“ საწარმო ძვირი ვერ ეღირება.

absolutურად არავითარი პერსპექტივა არა აქვს მესამე ჯგუფს – პრივატიზებულ ნეკროეკონომიკას.

ნეკროეკონომიკის ტექნიკური ბაზის უმეტესი ნაწილის ერთადერთი სწორი შეფასება ის გახლავთ, რომ ეს სხვა არა არის რა, თუ არა ჯართი. შესაბამისად, ნეკროეკონომიკის განადგურება (პირდაპირი მნიშვნელობით) შესაძლებელია ჯართის უშუალო გაყიდვის გზით, მათ შორის ექსპორტის გზით, რადგან მისი ექსპორტი მფლობელს მყარ ვალუტაში აძლევს მოგებას, რაც არსებითად ვიტაეკონომიკის შესაქმნელად (თუმცა ნაკლები მასშტაბით) შეიძლება იქნეს გამოყენებული.

მბრძანებლური ეკონომიკის შესაბამისი „რუტინა“ შენარჩუნებულია, რადგან მუხრუჭდება იმ ფაქტის აღიარება, რომ „მკვდარი“ მანქანები და მონყობილობა მხოლოდ ჯართია. ხოლო თუ ამის აღიარება არ მოხდა, ხელი შეეშლება (ზოგჯერ კი აიკრძალება კიდევ) ამ ჯართით ვაჭრობა (მით უმეტეს, რომ ეს ეხება ექსპორტს). შედეგად კი გახანგრძლივდება ნეკროეკონომიკის არსებობა.

თეორიულად ცხადია, რომ ნეკროეკონომიკის განადგურების ქმედითი მექანიზმი უშუალოდ უკავშირდება კანონმდებლობას გაკოტრების შესახებ.

ნეკროეკონომიკის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული გარდაქმნების პროცესის ხელშემწყობი ინსტიტუტების შექმნის გზით. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დამთავრების, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის დასასრულის უტყუარი ინდიკატორი თავად ნეკროეკონომიკის ფენომენის ლიკვიდაცია გახდება. ეს კი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებს ევროკავშირის კარს გაუღებს (Papava, 2003b).

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის შესახებ ყოველივე ზემოთქმული საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილ რესპუბლიკას და, კერძოდ, ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს ეხება.

5.2. ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის შესახებ

ცენტრალური კავკასიის შედარებით მცირე ტერიტორია (186,1 ათასი კვადრატული კილომეტრი) ლანდშაფტისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, აგრეთვე ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოების ტერიტორიული განაწილების ინტერესების გათვალისწინებით, ყალიბდებოდა ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი (მაგალითად, Gachechiladze, Nadzhafaliyev, and Rondeli, 1984, Herzig, 1999, Schroeder, 1996, Адамеску, и Силаев (ред.), 1973).

საკმაოდ განვითარებული სამრეწველო ბაზით ხასიათდებოდა საბჭოთა აზერბაიჯანის ეკონომიკა. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ნავთობმოპოვებას და ნავთობგადამუშავებას, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა მეტალურგიას, მინერალური სასუქების, სანვავ-საპოხი მასალების, ჰერბიციდებისა და სინთეზური

კაუჩუკის წარმოებას. მსუბუქი მრეწველობის სანარმოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბამბის, შალისა და ფეხსაცმლის ფაბრიკები. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, მისი პროდუქციით არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებშიც სარგებლობდნენ.

საბჭოთა სომხეთის ეკონომიკას ახასიათებდა ქიმიური მრეწველობის საქონლის, ფერადი ლითონების, ჩარხების, ზუსტი ინსტრუმენტების, ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავის ფეხსაცმლის და ა.შ. წარმოების განვითარება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ატომური ელექტროსადგურის ელექტროენერჯის წარმოება, რომელიც ცენტრალური კავკასიის მთელ ტერიტორიაზე ადრეც და ახლაც ერთადერთი ატომური ელექტროსადგურია. სომხეთის კვების მრეწველობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა (და ახლაც ეთმობა) კონიაკის წარმოებას.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკასაც საკმაოდ განვითარებული სამრეწველო ბაზა ახასიათებდა – მეტალურგია, ფეროშენადნობთა წარმოება, მანქანათმშენებლობა (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, საავიაციო მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა) და ჩარხმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქცია (უწინარეს ყოვლისა, ღვინო, მინერალური წყლები, ჩაი, ციტრუსები) უმეტესად საქართველოს ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ და მათ ყოფილი საბჭოთა კავშირის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე მოიხმარდნენ.

საბჭოთა საზოგადოების კომუნისტური წყობილების დამხობას და საბჭოთა კავშირის დაშლას ყოფილი საბჭოთა კავშირის სანარმოებს შორის კოოპერაციული კავშირების მოშლა და ამ სანარმოების პროდუქციის მოხმარების უზრუნველყოფის სისტემის გაქრობა მოჰყვა: მწვავედ დადგა საგარეო ვაჭრობის რეორიენ-

ტირების საკითხი (მაგალითად, Kaminski, 1996). საერთაშორისო კონკურენციის პირისპირ დარჩენილმა ცენტრალური კავკასიის (ისევე როგორც მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის) ქვეყნების სანარმოთა უმრავლესობამ ვერ გაუძლო ამას. ზემოხსენებული დაივესტიციის პროცესის შედეგად ვერც ერთი ამ ქვეყნის ეკონომიკა ვერ ასცდა დეინდუსტრიალიზაციის ტენდენციას. სამწუხაროდ, ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა კონფლიქტების გამო.

მთლიანად კავკასია და, კერძოდ, ცენტრალური კავკასია მუდამ იყო და ახლა კიდევ უფრო მეტად არის წინააღმდეგობათა კონგლომერატი. ბოლო წლებში ეს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით და ეროვნებათაშორისი და ეთნიკური კონფლიქტებით დადასტურდა (მაგალითად, Antonenko, 2005, Birch, 1996, Chorbajian, Donabedian, and Mutafian, 1994, Coppieters, 2001, 2003, Coppieters, Darchiashvili, and Akaba (eds.), 2000, Cornell, 2001c, 2002, Croissant, 1998, Waal, 2003, Dragadze, 1999, Fairbanks, 1995, Herzig, 1999, pp. 44-83, Hewitt, 1996, Hunter, 1994, Khaindrava, 2002, King, 2001b, 2005, Lynch, 2004a, Nodia, 2000, 2005, pp. 44-60, O'Ballance, 1997, Panico, and Rone, 1994, Socor, 2004, Walker, 2000, Zverev, 1996, Wright, 1996, Казимиров, 2005, Эфендисв, 2006)³. ცენტრალური კავკასიის ხალხების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეს პრობლემები თავისი მნიშვნელობით იმდენად მასშტაბურია, რომ ისინი არა მარტო პოლიტიკურ, სოციალურ და მორალურ მოვლენებს, არამედ, და არანაკლებნილად, ეკონომიკურ მოვლენებს უნდა მივაკუთვნოთ (მაგალითად, Asatiani, 1998, Nakahira, 2004, Papava, 2005a, Максоев, 1998); ყველა ეს პრობლემა რეგიონში უსაფრთხოების ერთ განზოგადებულ პრობლემად ფოკუსირდება (მაგალითად, Aves, 1995, Coppieters, 1996, Coppieters, and Legvold (eds.), 2005, Craft, 2000, Ebnöther, and Gustenau (eds.), 2004, Kanet, 1998, Nodia, 2004, Rondeli, 2000,

Baal, 2002, Эйвазов, 2004). ამავე დროს ცენტრალურ კავკასიაში უსაფრთხოების პრობლემა ბევრად არის დამოკიდებული რეგიონის ქვეყნების განვითარების ეკონომიკურ ასპექტებზე (მაგალითად, Becker, 2003, Мансая, 1999, Максоев, 1999).

საომარ მოქმედებათა წარმოება (მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ჩეჩნეთში (მაგალითად, Cornell, 2005, Dunlop, 1998, Gall, and Waal, 1998, Kashnikov, and Coppieters, 2002, Lapidus, 1998, Olicker, 2001, Sakwa, 2003), რამაც განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახდინა სიტუაციაზე საქართველოში), ამის შედეგად გამოწვეული ნგრევა, მსხვერპლი, დიდი რაოდენობით ლტოლვილების არსებობასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები, სატრანსპორტო არტერიების ბლოკადა, არ შეიძლება, საგრძნობ გავლენას არ ახდენდეს ეკონომიკურ სიტუაციაზე, წარმოებრივ შესაძლებლობათა რეალიზაციაზე ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოებში.

ამ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების მოქმედების შედეგად ცენტრალური კავკასიის ყველა სახელმწიფო ამა თუ იმ დონეზე აღმოჩნდა ღრმა კრიზისში, რომელმაც მათი ცხოველ-მოქმედების ყველა სფერო მოიცვა და წარმოების მკვეთრი შემცირება, ინფლაციის მაღალი დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება გამოიწვია (მაგალითად, Curtis (ed.), 1995, pp. 41-57, 115-129, 190-206, Gurgenidze, Lobzhanidze, and Onoprishvili, 1994, Khaduri, 2005). ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკაზე განსაკუთრებით უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა კონფლიქტებმა, რის შედეგადაც სახეზეა ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პოტენციალურ შესაძლებლობათა დაკარგვა (მაგალითად, Polyakov, 2000)⁴.

მაგალითად, აზერბაიჯანში 1996 წელს მთლიანმა შიგა პროდუქტმა 1990 წელთან შედარებით 42 პროცენტი შეადგინა (მაგა-

ლითად, Самедзაძე, 2004, с. 463); მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოებისა და სამრეწველო პროდუქციის მოცულობა – 1995 წელს 1990 წლის დონესთან შედარებით მან 72 პროცენტი შეადგინა (მაგალითად, Гаджиев К., 2003, с. 104).

სომხეთის ეკონომიკა 1994 წლამდე მძიმე მდგომარეობაში იყო, კერძოდ, ეკონომიკური პოტენციალი თითქმის 90 პროცენტით, მთლიანი შიგა პროდუქტი – 10-ჯერ, ხოლო სამრეწველო წარმოების მოცულობა – 80 პროცენტით შემცირდა (მაგალითად, Гаджиев К., 2003, с. 125).

საქართველოში მთლიანი შიგა პროდუქტი 1990-1994 წლებში 72 პროცენტით, ხოლო სამრეწველო წარმოების მოცულობა – 84 პროცენტით შემცირდა (Папавა, и Беридзе, 2005, с. 162).

1994-1995 წლებიდან მოყოლებული, ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოებში რეფორმების პოლიტიკის აქტიურად გატარების წყალობით ეკონომიკის სტაბილიზაციისა და გაჯანსაღების ტენდენცია შეინიშნება (მაგალითად, Herzig, 1999, pp. 119-146)³, თუმცა კრიზისის შედეგები იმდენად ღრმაა, რომ მათ დაძლევას არაერთი წელი დასჭირდება და აქ გვერდს ვერ ავუვლით რადიკალური კონსტრუქციული შიგაეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, აგრეთვე ამ რეგიონის ყველა სახელმწიფოს ინტერესების ოპტიმალურ შეხამებას და უცხოეთის ინვესტიციების აქტიურად მოზიდვას (მაგალითად, Reznikova, 2003, Starr, 2003, Юданов, 1999).

იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა⁴ და მსოფლიო ბანკის უშუალო მონაწილეობით ხორციელდება, სულაც არ არის გასაკვირი, რომ თავად ეს რეფორმები თავისი ხასიათით პრაქტიკულად ერთი ტიპისაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანი, აქვს რა ნახშირწყალბადოვანთა მნიშვნელოვანი

მარაგი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან აქტიურ თანამშრომლობას არ ჩქარობდა: ამის შედეგად მან ცოტა არ იყოს დააგვიანა საბაზრო რეფორმების გატარება საქართველოსთან და სომხეთთან შედარებით. ამავე დროს ამ ქვეყნების მიერ ერთიანი სცენარით ე. წ. „ეაშინგტონის კონსენსუსით“ განხორციელებული ყველა რეფორმა გამართლებულად როდი შეიძლება ჩაითვალოს (მაგალითად, Cheru, 1999, Gomulka, 1995, Stiglitz, 2002).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სომხურმა დიასპორამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომხეთის განვითარების პრაქტიკულად ყველა სფეროში (მაგალითად, Libaridian, 1999, pp. 119-148, Kotchikian, 2003, Suny, 1993), უნინარეს ყოვლისა კი იმით, რომ ეკონომიკურ დახმარებას უწევს და ინვესტიციებს დებს ეროვნულ ეკონომიკაში (მაგალითად, Freinkman, 2001, Хачатрян, 2004, сс. 203-206)⁷.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკათა რეფორმირების და ამ სფეროში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, აგრეთვე დონორ ქვეყნებთან თანამშრომლობის თანამედროვე ეტაპი სილატაკის დონის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების ფარგლებში მიმდინარეობს (მაგალითად, Gelbard, McHugh, Iradian, Beddies, and Redifer, 2005)⁸.

შენიშვნები

¹ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მთელი საზოგადოების პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის უფრო ვრცელი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რის გამოც ბაზრის ჩამოყალიბების პრობლემა მხოლოდ ეკონომიკურ პრობლემას როდი წარმოადგენს (იხ., მაგალითად, Kennedy, 2002)

² საბჭოთა კავშირის დაშლის ეკონომიკური სიძნელები ამ მომენტისათვის ეროვნული და ეთნიკური პრობლემებით კიდევ უფრო გამწვავდა (მაგალითად, Tuminez, 2003).

- ³ იხ. აგრეთვე (*Южный Кавказ – нестабильный регион «замороженных» конфликтов*. Материалы международной конференции по Кавказу Фонда Фридриха Эберта, Берлин, 26-27 ноября 2001 г. Тбилиси, Friedrich Ebert Stiftung, 2002).
- ⁴ იხ. აგრეთვე (*Lost Potential in the South Caucasus: Aspects of Interstate Trade*. Yerevan-Baku-Tbilisi, „ANTARES“, 2003).
- ⁵ იხ. აგრეთვე (Åslund, 2003, Beridze, and Papava, 2003, Egiazarian, 2003, Khachatryan, 2002, Papava, 1995, 1996, Papava, and Chikovani (eds.), 1997, Rasulov, 2003).
- ⁶ ქვეყნებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების ხასიათის შესახებ საქართველოს მაგალითზე (Papava, 2003a).
- ⁷ იხ. აგრეთვე (Minoian, Victoria and Lev Frcinkman. *Diaspora's Contribution to Armenia's Economic Development: What Drives the First Movers and How Their Efforts Could Be Scaled up? Knowledge for Development Program*, The World Bank, <http://info.worldbank.org/etools/docs/library/152388/victoriaminoian.pdf>).
- ⁸ იხ. აგრეთვე *Economic Development and Poverty Reduction Program of Georgia*. Tbilisi, Government of Georgia, 2003; *Poverty Reduction Strategy Paper*. Yerevan, Information Analytic Center for Economic Reforms, 2003; *Poverty Reduction Strategy Paper (Interim Report)*. Baku, 2001. <http://www.imf.org/external/NP/prsp/2001/aze/01/053001.pdf>; *State Programme on Poverty Reduction and Economic development 2003-2005 (Final Draft)* . Baku, 2003. <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/UNTC/UNPAN016805.pdf>.

6.1. სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორობისა და რეგიონული კლასტარის ჩამოყალიბების შესაძლებლობები

ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ითვისებენ საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორებს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში ძირითად მიმდინარეობათა გათვალისწინებას და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი ადგილის პოვნას. ეს დებულება ფუძემდებლური უნდა გახდეს ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების და ეკონომიკური რეფორმების პრიორიტეტული ფაქტორების განსაზღვრისას.

ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოთა ეკონომიკური პროგრესი, მათი ეკონომიკის „მცირე“ ზომების გამო, უნინარეს ყოვლისა, ამ უკანასკნელთა გახსნილობის ხარისხით და ცივილიზებულ სამყაროსთან მათი ინტეგრირების ტემპით განისაზღვრება (მაგალითად, Connolly, and Melo (eds.), 1994, Dornbush, 1993).

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკების (და არა მხოლოდ მათი) და სახელმწიფო მშენებლობის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით (მაგალითად, Coppieters, and Legvold (eds.), 2005, Cornell, 2001a, Fairbanks, 2004, Freese, 2005, Hunter, 1994,

King, 2001a, 2004, Lynch, 2006, Miller, 2004, Rondeli, 2004a, Rutland, 1994)¹, ინტეგრირების ამოცანა არ შეიძლება ადვილად გადასაწყვეტთა რიგს მივაკუთვნოთ. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცენტრალური კავკასიის რეგიონი, აქ არსებული პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, დანარჩენი სამყაროსგან იზოლაციაში სულაც არ აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის² შემადგენელი ნაწილია, მეორე, აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრები არიან, მესამე, ცენტრალური კავკასიის სამივე სახელმწიფომ პრაქტიკულად ერთდროულად მოაწერა ხელი შეთანხმებას ევროკავშირთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ აგრეთვე მყარდება ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მსოფლიო გაერთიანების მრავალ ქვეყანასთან. მაგრამ საერთაშორისო ინტეგრაციის ყველა ეს მიმართულება მსოფლიო ბაზარში რეგიონის შესვლისათვის საკმარისი პირობა ვერ იქნება.

მრავალი ექსპერტის აზრით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა დღესდღეობით ინტეგრაციულ პროცესებში გარკვეულ სირთულეებს განიცდის (მაგალითად, Friedman, 1996, Гринберг, Зевин, и др., 2001, Козик, Кохно, 2001; Шульга (рук. авт. колл.), 2001, Шумский, 2004.), თანაც იგი, ცნობილი მიზეზების გამო, ხელს უწყობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებით ინტეგრაციული პროცესების შეზღუდვის შენარჩუნებას წარმოებრივი კოოპერაციის იმ კარჩაკეტილობის გარკვეული ანალოგიით, რომლითაც საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემა ხასიათდებოდა (მაგალითად, Olcott, úslund, and Garnett, 1999, Coppieters, 1998b, pp. 194-197).

მართალია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორ-

განიზაციათ, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობის გამო (მაგალითად, Constantinescu, 1997), დიდი პერსპექტივები აქვს და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, მაგრამ ის შედარებით მაინც ახალი სახელმწიფოთაშორისი რეგიონული წარმონაქმნია და ჯერჯერობით არ გააჩნია ინტეგრირებისა და ურთიერთობის აქტიურობის სათანადო დონე, იმისათვის, რომ არსებითი გავლენა მოახდინოს მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებაზე.

ევროკავშირთან და ევროპის ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა დღეს თანასწორ პარტნიორულ საწყისებზე ვერ განხორციელდება. აქ, უფრო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების და ეკონომიკის გაძღოლის საბაზრო მექანიზმების მშენებლობის დემოკრატიული პრინციპების დანერგვაში დახმარების პროცესი მიმდინარეობს (მაგალითად, Alieva, 2004b, Gegeshidze, 1999b, Japaridze, and Rondeli, 2004, Shugarian, 2004)³.

გარდა ამისა, მსოფლიოს მონინავე ქვეყნებს ბევრ შემთხვევაში ლოდინის პოზიცია უკავიათ და თვალს ადევნებენ ცენტრალურ კავკასიაში მოვლენათა განვითარებას. ფართოდ გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ ცენტრალური კავკასია ეს არის „გაყინული“, მაგრამ ჯერ კიდევ „ცხელი წერტილი“ (მაგალითად, Antonenko, 2005, Birch, 1996, Chorbajian, Donabedian, and, Mutafian, 1994, Coppieters, 2001, 2003, Coppieters, Darchiashvili, and Akaba (eds.), 2000, Cornell, 2001c, 2002, Croissant, 1998, Waal, 2003, Dragadze, 1999, Fairbanks, 1995, Hewitt, 1996, Hunter, 1994, Khaindrava, 2002, King, 2001b, 2005, Lynch, 2004a, Nodia, 2000, 2005, pp. 44-60, O'Ballance, 1997, Panico, and Rone, 1994, Socor, 2004, Walker, 2000, Zverev, 1996, Wright, 1996)⁴, რომელსაც არ ახასიათებს საკმარისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, რათა აქტიურად მიიზიდოს ეკონომიკური პარტნიორები:

ეს სულაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ უშუალოდ კონფლიქტური ტერიტორიები არა მხოლოდ ტერორიზმის დასაყრდენად და ნარკოტრაფიკისა და ნარკოვაჭრობის სფეროში კრიმინალების თავშესაფრად, არამედ „ბინძური ფულის“ გათეთრების, მძევალთა გატაცებისა და ადამიანებით ვაჭრობის ზონებადაც გადაიქცევა ხოლმე (მაგალითად, ЯЗНАКОВА, 2005, сс. 57-58).

ამასთან, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ ცენტრალური კავკასიის შედარებით მცირე ზომები (კერძოდ, მოსახლეობა 17 მილიონს არ აღემატება) მათი ბაზრების შესაბამის სიმცირეს განსაზღვრავს. არსებული კონფლიქტური რეგიონების გამო ცენტრალური კავკასიის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობა სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება, რის შედეგადაც, სხვა თანაბარი პირობების არსებობისას, მსხვილი ინვესტიორებისათვის ბევრად უფრო ხელსაყრელია, ინვესტიციები ან რუსეთში ჩადონ, ან თურქეთში და ცენტრალური კავკასიის ქვეყნების დანაწევრებული ბაზრები იქიდან „მოიცვან“.

გლობალიზაციის პროცესების გაფართოების პირობებში, ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის პატარა ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის შესაბამისი ბაზრის ზომის მნიშვნელობა კიდევ უფრო მცირედება: გლობალიზაცია ხელს უწყობს ბაზრების გაერთიანებას და ქვეყნის სათანადო გახსნილობის შემთხვევაში, იმის მიუხედავად, თუ რამდენად დიდია მისი სივრცე და როგორია მისი მოსახლეობის რაოდენობა, მოცემული ქვეყნის ბაზარი შეიძლება ამ გაერთიანებული ბაზრების ნაწილი გახდეს (Alesina, 1998)⁹.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების სუსტი განვითარების და, როგორც ამის შედეგის, საერთაშორისო ბაზრებზე მათი დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის აუცილებლობა, რომ გამოინახოს

ამ სახელმწიფოების ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთმოქმედების შესაძლებლობანი, რათა ერთობლივი ძალისხმევა მათი სწრაფი და მყარი განვითარებისათვის წინამძღვრების შექმნას მოხმარდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღის წესრიგში დგება ცენტრალურ კავკასიაში სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორობის (და არა მხოლოდ თანამშრომლობის) შესაძლებლობათა გამოძენის აუცილებლობა (Papava, 1998, 2002b, 2002c, Papava, and Gogatadze, 1998). მხოლოდ ერთობლივი (თავიდან თუნდაც არაფორმალური) ძალისხმევა რეგიონისათვის უცხოური ინვესტიციების მიზიდვის სფეროების გამონახვას აადვილებს (მაგალითად, Papava, and Gogatadze, 1998, Reznikova, 2003, Starr, 2003, Юданов, 1999).

რაც შეეხება ცენტრალური კავკასიის რეგიონში ფართო მასშტაბის ინვესტიციების მიზიდვის საკითხს, აქ მთავარი პრობლემა გრძელვადიან დაბანდებათა არსებული მაღალი რისკის შემცირებაა, რომლის გამოც ცენტრალურ კავკასიაში საინვესტიციო საქმიანობა კვლავაც ნაკლებად მიმზიდველია. ამავდროულად რეგიონში არის სფეროები, რომლებიც უცხოელი ინვესტორებისათვის განსაკუთრებული დაინტერესების ობიექტებს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საკმარისია დავასახელოთ კასპიის აუზის ნეთობი (მაგალითად, Croissant, and Croissant, 1999, Gökay, 1999, Karl, 1998, Mahnovski, 2003, Roberts, 2001, Rosenberg, and Saavalainen, 1998, Tsalik, 2003) და ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფანი, რომელიც ევროპას და აზიას ცენტრალური აზიისა და ცენტრალური კავკასიის რეგიონების მეშვეობით აკავშირებს (მაგალითად, Martirosian A., 2000, Чеботарев, и Бондарцев, 1999, Гершидзе, 1999a, Гошадзе, и Шарадзе, 1998, Митяев, 2001), რათა დავასკვნათ, რომ ცენტრალური კავკასია განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს და ამ რეგიონში თავისი ადგილის დამკვიდრება

მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოსა და წამყვანი კომპანიისათვის სტრატეგიული ამოცანა ხდება.

აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება უმთავრესად შეიძლება განაპირობოს ნავთობმოპოვებისა და ნავთობგადამამუშავებელი დარგის განვითარების მოცულობის ზრდამ.

ამავე დროს, როგორც ნავთობის დარგის განვითარების პრობლემა, ისე მთელი ცენტრალური კავკასიის მომავალი ეკონომიკური განვითარება ბევრად არის დამოკიდებული ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის სატრანსპორტო არტერიების მოგვარებაზე. ამ გეგმის პრაქტიკული რეალიზაცია ტრასეკას – ევროპა-აზია-კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის ფართოდ ცნობილი პროექტის განხორციელებით დაიწყო (Shevardnadze, 1999).

დღეს ტრასეკა განიხილება როგორც სატრანზიტო დერეფანი, რომელიც შეავსებს და განავითარებს უკვე არსებულ, უწინარეს ყოვლისა, ევროპულ მარშრუტებს. ამასთან დაკავშირებით ჩნდება შავი ზღვის, კასპიის, ადრიატიკის, ხმელთაშუა ზღვების გაერთიანების შესაძლებლობანი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მილსადენი ტრანსპორტით ენერგომემცველების ტრანსპორტირების საკითხის გადანყვეტაც (მაგალითად, Asadov, 2000, Chase, 2002, DeLay, 1999, Kalicki, 2001, Müller, 2000, Rondeli, 2004b, Starr, and Comell, 2005, Starr, and Cornell (eds.), 2005, Tevzadze, 2004). კერძოდ, ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების აზერბაიჯან-საქართველოს მარშრუტი საქართველოში პირველი პრიორიტეტული დიდი მასშტაბის პროექტი გახდა, რომელიც მნიშვნელოვან უცხოურ ინვესტიციებს იზიდავს. ამასთან, ამ პროექტის რეალიზაციამ წინა პირობები შეუქმნა უფრო აქტიურ ინვესტირებას აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკათა სხვა სფეროებშიც, ამ რეგიონში უსაფრთხოების დონის ამაღლებაზე რომ აღარაფერი

ვთქვათ (მაგალითად, Maisaia, 2002).

მეორე მხრივ, ამ პროექტის რეალიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანიდან რუსეთის გავლით ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის ამოქმედებას, რადგან კონფლიქტების პირობებში, როცა ნავთობსადენები „ცხელ წერტილებში“ ან მათ მახლობლად გაივლის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ალტერნატიული მილსადენების არსებობას. შესაბამისად ეს მაგალითი მოწმობს, რომ ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების საკითხში არა მარტო აზერბაიჯანი და საქართველო არიან სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორები, არამედ საქართველო და რუსეთიც, და აზერბაიჯანი და რუსეთიც (თუმცა, სამწუხაროდ, რუსეთი ამას არასოდეს აღიარებდა) შეიძლება ასეთებად მივიჩნიოთ⁶.

პოსტსაბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკურ პარტნიორობას საფუძველი ჩაუყარა მილსადენებმა: ბაქო-თბილისი-სუფსის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენებმა და საზღვაო საბადოს „შაჰ-დენიზის“ გაზის ტრანსპორტირების სამხრეთ კავკასიის გაზსადენმა; ორ ბოლო პროექტში უშუალოდ მონაწილეობს თურქეთი (მაგალითად, Caglayan, Mamedov, Medzmariashvili, et al., 2003).

აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკური პარტნიორობის გაღრმავების, აგრეთვე ამ პროცესში თურქეთის ჩაბმის გზაზე შემდგომი ნაბიჯი შეიძლება გახდეს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო სისტემის მშენებლობა და ფუნქციონირება: ამ პროექტის რეალიზაციისათვის (წინასწარი შეფასებით დაახლოებით 300-500 მილიონი დოლარის ღირებულების) საქართველოს ახალქალაქთან თურქეთის ყარსის შემაერთებელი 68-კილომეტრიანი მონაკვეთია გასაყვანი (მაგალითად, Ziyadov, 2005).

ყველა ეს პროექტი (მილსადენი და რკინიგზა) იმის თვალსაჩინო

მაგალითია, რომ ცენტრალური კავკასიის ორი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები ემთხვევა თურქეთისას, რომლის ჩრდილოეთ რეგიონები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას წარმოადგენს.

სომხეთისა და საქართველოს ეკონომიკებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს, სომხეთისა და ირანის გავლით სატრანსპორტო დერეფნის პროექტის რეალიზაციას⁷, რაც, შეიძლება, უფრო მასშტაბური პროექტის – „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ (მაგალითად, Mukhin, and Mesamed 2004).

კავკასიაში არსებული კონფლიქტები იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, რომ საქართველოს მონაწილეობის გარეშე მრავალი რეგიონული პროექტის რეალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად, საქართველო „დამაკავშირებელ რგოლად“ გვევლინება როგორც ცენტრალურ, ისე მთელ კავკასიაში. ამ პროექტების ეფექტიანობა კი ბევრად არის დამოკიდებული რუსეთის კონსტრუქციულ (მათ შორის ეკონომიკურ) პოლიტიკაზე (Rondeli, 2003, Рондели, 2002).

მთელი გეოგრაფიული რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და აქ მდებარე სახელმწიფოთა ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტების განხილვისას რეგიონის ცალკეულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კონკურენციის წარმოქმნის საკითხსაც უნდა შევეხოთ.

საბაზრო კონკურენციის თეორიაში ცნობილია მისი გამოვლენის სხვადასხვა დონე: ფირმების დონე, დარგების დონე, ქვეყნების დონე, რეგიონული წარმონაქმნების დონე. როგორც წესი, კონკურენტებს უნდა ახასიათებდეთ მეტ-ნაკლებად თანაბარი ეკონომიკური სიძლიერე და სტრატეგიული ინტერესების არჩევაში ერთნაირი მიმართულებები, რაც განაპირობებს კიდევ მათი ეკონომიკური მისწრაფებების გადაკვეთას.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია, უნინარეს ყოვლისა, იმაზე, თუ რამდენად ნაყოფიერად იყენებს იგი ეროვნულ ბუნებრივ, შრომით, მატერიალურ და საფინანსო რესურსებს. ამავე დროს, ნებისმიერი კონკურენცია, გარკვეულწილად, სრულყოფის სტიმულს წარმოადგენს. საერთაშორისო კონკურენცია რომ არა, ყოველ ცალკეულ ქვეყანაში პროდუქტიულობის დონე პრაქტიკულად არ იქნებოდა დამოკიდებული სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე, ვინაიდან საქონლისა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები ქვეყნის რესურსების გამოყენების პროდუქტიულობის ამალღების შესაძლებლობას წარმოადგენს, აუქმებს ყველა სახეობის საქონლისა და მომსახურების თავად წარმოების აუცილებლობასა და ხელს უწყობს ეკონომიკის იმ დარგებსა და ბაზრის იმ სეგმენტებზე სპეციალიზაციას, რომელთა მიხედვითაც ქვეყანა შედარებით უფრო კონკურენტუნარიანია.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგალითად, აზერბაიჯანი და საქართველო არ არიან სტრატეგიული კონკურენტები. ეს იმით აიხსნება, რომ აზერბაიჯანს აქვს ნავთობი და გაზი, საქართველოს ზღვით ოკეანეზე გასასვლელი და უშუალო საზღვარი თურქეთთან, ორივე ქვეყანა კი ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის „ტრასაზე“ მდებარეობს, თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი, მთელ რიგ შემთხვევებში უნიკალური წარმოებრივი პოტენციალი აქვს. ყოველივე ეს განსაზღვრავს იმ მდგომარეობას, რომ აზერბაიჯანი და საქართველო არ შეიძლება კონკურენტებად განვიხილოთ, ისინი სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორები უფრო არიან.

ამავე დროს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური კონკურენციის არარსებობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღვიქვათ როგორც განვითარების საბაზრო სტიმულების უქონლობა: ამ ქვეყნებს სხვა კონკურენტი ქვეყნები ჰყავთ, თავად ისინი კი, ერთად აღებული,

რეგიონთაშორის კონკურენციაში ეკონომიკურ პარტნიორებად უნდა მივიჩნიოთ. აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკური პარტნიორობა შეიძლება (რაც გარკვეულწილად პრაქტიკითაც დასტურდება) „მაგნიტი“ გახდეს არა მარტო ცენტრალური, არამედ მთელი კავკასიის სხვა სუბიექტების მისაზიდადაც (თუმცა, სამწუხაროდ, ყველა როდი აღიარებს რეგიონში სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორობის უპირატესობას).

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორობა ის „საძირკველია“, რომელზეც საჭიროა და უნდა აიგოს კიდევ ცენტრალური კავკასიის ეკონომიკური სისტემა.

ამ კონტექსტში იბადება კითხვა, თუ რამდენად შეუძლია ამ ორ ქვეყანას, შექმნას სახელმწიფოთაშორისი კლასტერი, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიო ბაზრებზე მათი ერთობლივი კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

კლასტერის თეორიის თანახმად⁸, გეოგრაფიულად მეზობელი და ურთიერთდაკავშირებული, გარკვეულ სფეროში ერთად მოქმედი (რაც აყალიბებს სწორედ კლასტერს) კომპანიების, ფირმებისა და ორგანიზაციების ჯგუფი მნიშვნელოვნად ზრდის მათ ერთობლივ კონკურენტუნარიანობას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კონკურენციის გლობალიზაციის პირობებში ხდება კონკურენტულ უპირატესობათა ლოკალიზაცია (Enright, 1998), რის შედეგადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამა თუ იმ ქვეყნის გამოცდილების შესწავლა (მაგალითად, Brown R., 2000, Enright, and Roberts, 2001, Jensen, 2004, Møller-Pedersen, 2003, Wolfe, 2003) შესაბამისი რეგიონული პოლიტიკის შემუშავების სფეროში (მაგალითად, Raines, 2001).

როგორც ცნობილია, კლასტერის გეოგრაფიული მასშტაბები შეიძლება ვარიირებდეს და მოიცავდეს როგორც ერთ ქალაქს, ისე მთელ ქვეყანას და მეზობელ ქვეყნებსაც კი⁹.

კლასტერების ერთიანი მწყობრი თეორიის, როგორც ასეთის¹⁰, მიმართ ერთგვარი სკეპტიციზმის მიუხედავად, ამჟამად რამდენიმე სკოლაც კი არსებობს (მაგალითად, Pilipenko, 2005):

- ამერიკული, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სტანდარტების მქონე ქვეყნების კონკურენციულ განვითარებაზეა ორიენტირებული;
- ბრიტანული, რომელიც ძირითად ყურადღებას ამახვილებს ტრანსნაციონალური კორპორაციების როლზე შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარებაში;
- სკანდინავიური, ოთხი ჯგუფისაგან – დანიური, ფინური, ნორვეგიული და შვედური ჯგუფებისაგან შემდგარი, რომლებიც ამა თუ იმ ზომით ყურადღების ფოკუსირებას ახდენენ ინოვაციების სისტემებზე, კონკურენტუნარიანობის ისტორიულ ევოლუციასა და საბაზრო ორგანიზაციის თავისებურებებზე.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნებისათვის კლასტერების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაძლებლობათა საკითხი, როგორც ჩანს, შეიძლება ჯეროვნად იქნეს შესწავლილი ამერიკის კლასტერების თეორიის სკოლის ფარგლებში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანს ნავთობი და გაზი აქვს, მთელი ცენტრალური კავკასიის რეგიონისათვის (არა მხოლოდ აზერბაიჯანისათვის) უეჭველად პერსპექტიულია ნავთობის კლასტერის შექმნისა და ფუნქციონირების საქმეში ნორვეგიის გამოცდილების გაზიარება (Steensmaes, 2002)¹¹, ყველა სახეობის ენერგეტიკული რესურსების (არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებშიც) გამომუშავებისა და გამოყენების საქმისადმი კომპლექსური მიდგომის გათვალისწინება, რასაც საფუძვლად დაედება ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ მომავალში, მთიან ყარაბაღთან დაკავშირე-

ბული კონფლიქტის გადაჭრის პირობით, ცენტრალურკავკასიურ კლასტერში სათანადო ადგილს სომხეთიც დაიკავებს.

ასეთი მიდგომა, გარდა იმისა, რომ გაზრდის მსოფლიო ბაზრებზე ამ ქვეყნების კონკურენტუნარიანობას, რეგიონში სტრატეგიული პარტნიორობის ურთიერთობასაც გააძლიერებს.

6.2. ცენტრალური კავკასია, როგორც სატრანსპორტო-ენერგეტიკული ჰაბი

თანამედროვე მსოფლიოში ვაჭრობის, ბაზრების, საფინანსო სისტემისა და მთელი ბიზნესის გლობალიზაციის პროცესმა (მაგალითად, Beck, 1999, ch. 7, Held, Goldblatt, McGrew, and Perraton, 1999, ch. 3-5, Hirst, and Thompson, 1999, Stiglitz, 2002, Гопначев, и др., 2003, Дюрова, 1998) დღის წესრიგში დააყენა სივრცისა და ეკონომიკის სივრცითი ორგანიზაციის პრინციპულად ახალი გააზრების საკითხი (მაგალითად, Castells, 1996, ch. 6).

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების მოუხედავად, ეკონომიკური განვითარება გეოგრაფიულად უნიფიცირებული მაინც არ გახდა (Scott, 2000, pp. 133); უფრო მეტიც, გეოგრაფიული ფაქტორი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობაში (Enright, 1998, p. 6).

ტრადიციულ მიდგომებთან ერთად რეგიონული ეკონომიკის თეორია და სივრცის გამოყენების ეკონომიკური თეორია მრავალი თანამედროვე შეხედულებითა და თეორიული ნამუშევრით შეივსო (მაგალითად, Armstrong, and Taylor, 2001, Fujita, Krugman, and Venables, 2001, Krugman, 1993, 1997, Гранберг, 2004).

ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემების კვლევის სამეცნიერო აპარატი ფართოდ იყენებს „ჰაბის“ ცნებას.

ტერმინი ჰაბი (hub) ყველაზე ხშირად გამოიყენება კომპიუტერებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართ; კერძოდ, ჰაბში იგულისხმება ერთგვარი ბლოკი, რომელიც ერთიან ტექნიკურ სისტემაში აერთიანებს მის დანარჩენ ნაწილებს და ამით უზრუნველყოფს მთელი სისტემის მუშაობას. ტერმინ ჰაბის ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეკონომისტები მას იყენებენ ერთგვარი ტერიტორიული სისტემის საკვანძო ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელის ფუნქციონირებას (მაგალითად, Cepreeb, 2001). უფრო განზოგადებული მიდგომის მცდელობის თანახმად, ცნება ჰაბი გაიაზრება როგორც მართვის ორგანიზაციის ყველაზე სრულყოფილი პრინციპი (Viskovic, 2004).

ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ლიტერატურაში ჰაბის ცნების ფართოდ გავრცელების მიუხედავად, მისი ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს: ხშირად მას აიგივებენ კვანძთან („node“) (მაგალითად, Felsenstein, Schamp, and Shachar, 2002, Schamp, Rachor-Hagelueken, and Grimm, 2002), ან კვანძთან („junction“) (მაგალითად, Fujita, Krugman, and Venables, 2001, pp. 129-131), ანდა სულაც სატრანსპორტო კვანძთან („transport junction“) (მაგალითად, Cepreeb, 2001).

შემდგომი მსჯელობის სიცხადისათვის ვეცდებით გავმიჯნოთ „ჰაბი“ („hub“) და „კვანძი“ („node“, „junction“).

კვანძში („node“ და „junction“) იგულისხმება, როგორც წესი, უშუალო კონტაქტის არეალში განლაგებული ობიექტების ისეთი ტერიტორიული შეხამება, რომელიც განსაზღვრავს სწორედ მოცემული ლანდშაფტის განვითარებას (Araeb, 1983, cc. 55-56). „კვანძის“ („node“) ცნება გულისხმობს მუდმივ ურთიერთმოქმედებას ფირმებთან, ოჯახურ მეურნეობებთან და ა.შ., და რაც ასევე საყურადღებოა, კვანძის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი „ურთიერთობით“ სხვა კვანძებთან (Felsenstein, Schamp, and Shachar, 2002, pp. 2-3).

უფრო კონკრეტულად „სამრეწველო კვანძი“ („industrial node“) არის სამრეწველო სანარმოების (ერთი ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის) შეხამება სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის საერთო ობიექტებთან, რომლებიც ამავე დროს განლაგებულია კომპაქტურ ტერიტორიაზე (Гранберг, 2004, с. 27). სხვა მიდგომის თანახმად, მოცემული განსაზღვრება შეესაბამება „ეკონომიკური კვანძის“ („economic knot“) ცნებას, ხოლო „სამრეწველო კვანძი“ ეს მხოლოდ სამრეწველო სანარმოთა ბლოკია, რომლებსაც ერთმანეთთან სანარმოო კავშირი აქვთ; ამავე დროს გამოიყენება „ინტეგრალური კვანძის“ („integrated node“) ცნება, რომელიც „ეკონომიკური კვანძის“ შემადგენლობასთან ერთად შეიცავს მელიორანტულ ელემენტებს, ანუ საშუალებებს, რომლებიც აუმჯობესებს ეკოლოგიურ ვითარებას (Алаев, 1983, сс. 96, 220).

ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ტერმინი „სატრანსპორტო კვანძი“, როგორც სატრანსპორტო კომუნიკაციების გადაკვეთა, როგორც ნესი, შეხამებული ნარმოებისა და მოსახლეობის კონცენტრაციასთან (Гранберг, 2004, с. 27). „სატრანსპორტო კვანძის“ უფრო მარტივი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ეს ისეთი პუნქტია, სადაც ერთდება სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთმოქმედი სატრანსპორტო საშუალებების სულ ცოტა ორი ხაზი მაინც (Алаев, 1983, с. 215).

კვანძის მოცემული ეკონომიკური განმარტებებისაგან განსხვავებით, ცნება „ჰაბი“ გულისხმობს როგორც რაღაც ტერიტორიაზე გარკვეული ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ფუნქციების კონცენტრაციას, ისე ამ ტერიტორიის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ მდებარე ეკონომიკურ ობიექტებს შორის კავშირის არსების სავალდებულო არსებობას. ამგვარად, ჰაბის ცნება ჩამოყალიბდა როგორც „სატრანსპორტო კვანძის“ („transportation hub“) განზოგადებული ცნება (მაგალითად, Herzog, 2000). შემთხვევითი არ არის, რომ

ჰაბის ამ თავისებურების აღნიშვნისას, სამეცნიერო თვალსაზრისით ხშირად იყენებენ ტერმინს „ჰაბი-ლერძი“ („hub-and-spoke“) (მაგალითად, Armstrong, and Taylor, 2001, pp. 296-297, (Сепреев, 2001)).

უფრო ფართო განმარტების თანახმად, ჰაბი არის სატრანსპორტო კვანძის („transport junction“), საფინანსო ცენტრის, სამეცნიერო კვლევის ცენტრის, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების ცენტრისა და საგანმანათლებლო ცენტრის კომბინაცია (Сепреев, 2001).

სამეცნიერო ლიტერატურაში ჰაბად განიხილება სხვადასხვა ტერიტორიული წარმონაქმნები, მათ შორის ცალკეული სახელმწიფოები (მაგალითად, Lee, 2004, Philips, 1999, 2004). უფრო მეტიც, ჰაბი შეიძლება იყოს სახელმწიფოთა შედარებით დიდი გაერთიანება, ხოლო მისი ლერძები („spoke“) – როგორც ცალკეული სახელმწიფოები, ისე მათი ნაკლებად მსხვილი გაერთიანებები; ამის ყველაზე მკაფიო მაგალითებია ევროკავშირი, რომელიც ჰაბის სახით გვევლინება, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც ბოლო დრომდე არ შედიოდნენ ევროკავშირში და გვევლინებოდნენ როგორც ლერძი (იგულისხმება ცალკეული ქვეყნები), ან ბლოკ-ლერძები („block-spoke“) (იგულისხმება ქვეყნების გაერთიანება) (მაგალითად, Adam, Kosma, and McHugh, 2003, Benedictis, Santis, and Vicarelli, 2005, Enders, and Wonnacott, 1996, Wonnacott, 1996).

ჰაბის ზემოხსენებული მახასიათებლების თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, თუ მისი როგორი ნაირსახეობანია პერსპექტიული ცენტრალური კავკასიისათვის.

აზერბაიჯანმა პრაქტიკულად უკვე დაიმკვიდრა ძირითადი რეგიონული სატრანსპორტო ჰაბის იმიჯი (მაგალითად, Derr, 1998), და სერიოზულად აცხადებს პრეტენზიას გახდეს ჰაბი საბანკო

საქმიანობაშიც და ბიზნესსერვისშიც, მსუბუქ მრეწველობაშიც, სასაწყობო მეურნეობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც (Escudero, 2002). ამავე დროს, ბაქოს ახალ აეროპორტსაც აქვს პრეტენზია, იყოს მთელი კასპიის რეგიონის სატრანსპორტო ჰაბი (Escudero, 2002): არცთუ უსაფუძვლოდ მიჩნეულია, რომ ბაქოს შეუძლია, ამ რეგიონში ცენტრალური ჰაბის ფუნქცია შეასრულოს და ახალი დუბაი გახდეს (Escudero, 2001).

საქართველო დაინტერესებულია იმით, რომ კასპიის ნავთობისა და გაზის (და არა მხოლოდ) დასავლეთში ტრანსპორტირება მოხდეს მისი ტერიტორიის გავლით, რაც იმავდროულად აზერბაიჯანის ეკონომიკურ ინტერესსაც წარმოადგენს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს მარშრუტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს და სხვადასხვაგვარი ტვირთი (არა მხოლოდ ნავთობი და გაზი) აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით მისი ტერიტორიის გავლით იმოდრავებს. კასპიის ნავთობისა და გაზის საქართველოს გავლით თურქეთში ტრანსპორტირება გააფართოებს ამ უკანასკნელის, როგორც ენერგეტიკული რესურსების სატრანსპორტო ჰაბის როლს (Boucher, 2005). ამ აზრს განამტკიცებს ისიც, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენი კასპიის რეგიონს ევროპის ენერგეტიკული რესურსების ახალი სატრანსპორტო ჰაბის ფუნქციას ანიჭებს (Yevgrashina, 2002).

ამავე დროს საქართველოს მდებარეობამ კავკასიის გავლით ევროპის აზიასთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ, ამ ქვეყანას ე.წ. „სატრანზიტო ჰაბის“ ფუნქცია დაუმკვიდრა (Ivakhnenko, 2005).

აქ ერთი რამ უნდა დავძინოთ. ცენტრალური კავკასიის ან მთელი რეგიონის ცალკეული ქვეყნის სატრანსპორტო ჰაბთან დაკავშირებით აქ მოყვანილ ლიტერატურაში ბევრ შემთხვევაში, სამწუ-

ხაროდ, „ჰაბი“ უფრო მოდის გამო იხმარება და ჩვენი მოსაზრებით ბევრად უფრო გამართლებული იქნებოდა ტერმინ „სატრანსპორტო კვანძის“ გამოყენება.

სომხეთის, როგორც სატრანსპორტო ჰაბის ამოქმედების შესაძლებლობანი ბევრად არის დამოკიდებული მთიან ყარაბაღსა და აფხაზეთში კონფლიქტების მშვიდობიან გადაჭრასთან: პირველი ხელს შეუწყობს აზერბაიჯანი-სომხეთი-თურქეთის მარშრუტის გამოყენებას, ხოლო მეორე – რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის სატრანსპორტო ლერძის ჩამოყალიბებას. ზემოხსენებული კონფლიქტების გარდა ამ პროექტების რეალიზაციის გზაზე სხვა დაბრკოლებებიცაა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ირანიდან მომდინარე მზარდი საფრთხე, რომელიც მეტად სათუოს ხდის ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ (და არა მხოლოდ) ურთიერთობაში ამ ქვეყნის უფრო ინტენსიური ჩაბმის მიზანშეწონილობას.

ჰაბის განზოგადებული განმარტებიდან გამომდინარე და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გათვალისწინებით საქართველოს უწევს ცენტრალურ კავკასიაში „რეგიონული ჰაბის“ ფუნქციის შესრულება: კავკასიის ამ რეგიონში ნებისმიერი პოლიტიკური, ეკოლოგიური, კულტურული, სამეცნიერო და ა.შ. ურთიერთობა და შეხვედრები რეგიონის სამივე ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში პრინციპულად მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი.

ცენტრალურ კავკასიაში სრულფასოვანი ეკონომიკური ჰაბის შექმნამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის და რეგიონის მთელი პოტენციალური შესაძლებლობების სწორი გამოყენების შემთხვევაში, აგრეთვე იმ პირობით, თუ უცხოური ინვესტიციები სატრანსპორტო-ენერგეტიკული ჰაბის კონ-

ტურების განვითარებისათვის იქნება მოზიდული, ყველა საფუძველი იქნება იმის მტკიცებისათვის, რომ ცენტრალური კავკასია თანდათან შეიძლება „ჰაბი-ლერძის“ დატოტვილ სისტემად გადაიქცეს.

6.3. საერთაშორისო ფაქტორები ცენტრალური კავკასიის ძველნების ეკონომიკურ განვითარებაში

თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს იგი. ამ ფუნქციის ჩამოყალიბება, უნინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მოცემული კონკრეტული ქვეყნის შედარებით უპირატესობებზე, რომელთა გამოყენება განსაზღვრავს სწორედ მის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში. ამავე დროს ბევრი რამ არის დამოკიდებული ამ ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობაზე როგორც უშუალოდ გეოგრაფიულ მეზობლებთან, ისე იმ ქვეყნებთან, რომლებიც განსაზღვრავენ ძირითად მიმართულებებს მსოფლიო პოლიტიკაში. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ქვეყანას არ შეუძლია სრულად გამოიყენოს არსებული შედარებითი უპირატესობანი, თუ ამას ხელს არ უწყობს მისი საერთაშორისო ურთიერთობა.

ამასთან ცენტრალური კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობას ბევრად განსაზღვრავს ისტორიული ფესვები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად გავლენას ახდენს ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებაზე (მაგალითად,) Adalian, 1995, Alieva, 1995, Curtis, and Suny, 1995, pp. 64-70, Hovannisian, 1994, Hunter, 2000, Jones St., 2003, Kukhianidze, 1998, Nichol, 1995, pp. 138-141, Nodia, 1998, Slider, 1995, pp. 219-225).

ცენტრალური კავკასიის ქვეყნებიდან აშკარად გამოხატული

შედარებითი უპირატესობებით ხასიათდება აზერბაიჯანი, რომელიც მდიდარია ნახშირწყალბადოვანი რესურსებით, ამას ემატება ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ხელს უწყობს მის, როგორც სატრანსპორტო ჰაბის გამოყენებას.

ცენტრალური კავკასიის გეოგრაფიული თავისებურებების გამო აზერბაიჯანის სატრანსპორტო პოტენციალის გამოყენება ბევრად არის დამოკიდებული რეგიონის სხვა ქვეყნებზე – საქართველოსა და სომხეთზე.

საქართველოსათვის ძირითადი შედარებითი უპირატესობაა ევროპისა და აზიის შემაერთებელი სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც განსაზღვრავს სწორედ ცენტრალური კავკასიის ამ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას (მაგალითად, Papava, 2002d). საქართველოს აგრეთვე აქვს პოტენციალური შესაძლებლობანი, გახდეს სომხეთთან და შემდეგ ირანთან რუსეთის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი რგოლი.

პოტენციალური სატრანსპორტო ფუნქციით ხასიათდება სომხეთიც, როგორც „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ მიმართულებით (თურქეთი-სომხეთი-აზერბაიჯანი), ისე „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მიმართულებითაც (რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანი).

სომხეთისათვის, ისევე როგორც საქართველოსათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე სატრანსპორტო დერეფანი „დასავლეთი-სამხრეთი“ (საქართველო-სომხეთი-ირანი), რომელიც შავ ზღვას სპარსეთის ყურესთან აკავშირებს.

პრობლემა ის არის, თუ რამდენად უწყობს ხელს ცენტრალური კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობა მათი შედარებითი უპირატესობების გამოყენებას.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში ნავთობისა და გაზის პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი

ბევრად განსაზღვრავს ცენტრალური კავკასიისადმი მრავალი სახელმწიფოს დამოკიდებულების ხასიათს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ აზერბაიჯანის ნახშირწყალბადოვანმა რესურსებმა და მათი ტრანსპორტირების მარშრუტებმა, რომელთაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ (მაგალითად, Cornell, Tsereteli and Socor, 2005), თავიდანვე განაპირობა დადებითი და უარყოფითი ეფექტები როგორც ამ ქვეყნის, ისე მთლიანად რეგიონისათვის (მაგალითად, O'Hara, 2004).

დადებითი ეფექტი, ძირითადად, დაკავშირებულია დასავლეთის ქვეყნებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ნავთობისა და გაზის მიღების რაც შეიძლება მეტი ალტერნატიული წყარო იქონიონ, ამიტომაც თავიდანვე დიდად იყვნენ დაინტერესებული აზერბაიჯანის ენერგორესურსების ათვისებით და მათი ტრანსპორტირებისათვის ალტერნატიული მილსადენების შექმნით. ამან კი, თავის მხრივ, უზრუნველყო მნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინება როგორც აზერბაიჯანში, ისე კავკასიის სხვა ქვეყნებში (საქართველოსა და თურქეთში), სადაც მილსადენები გადის.

რაც შეეხება უარყოფით ეფექტებს, ისინი, უწინარეს ყოვლისა, მომდინარეობდა ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ტრანსპორტირების სფეროში რეგიონული კონკურენტებისგან – რუსეთისა და ირანისგან, რომლებიც მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით ცდილობდნენ, თავიანთი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ აზერბაიჯანის ნახშირწყალბადოვანი რესურსების ექსპლუატაცია და, განსაკუთრებით, ტრანსპორტირება.

აზერბაიჯანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თურქეთთან ეთნიკურ, კულტურულ და ენობრივ სიახლოვეს, რაც მრავალ საერთაშორისო საკითხში პოზიციების ერთიანობას განაპირობებს. ეს, როგორც მოსალოდნელიც იყო, ნავთობისა და გაზის ტრანს-

პორტირების მარშრუტის განსაზღვრის დროსაც გამოვლინდა.

მოუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის თურქეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა სომხეთზე გადის, ეკონომიკური თვალსაზრისით ამ პოტენციურად ყველაზე ხელსაყრელი სატრანსპორტო მარშრუტის არჩევას ხელი შეუშალა ამ ქვეყნებს შორის შექმნილმა ურთიერთობამ:

ჯერ ერთი, მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტმა, და სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის დაპყრობამ ამ კონფლიქტური რეგიონის ფარგლებს მიღმა, აზერბაიჯანსა და მის ავტონომიას – ნახიჩევანს შორის სარკინიგზო კავშირის მოშლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა აზერბაიჯანის უარყოფითი პოზიცია სატრანსპორტო დერეფნად სომხეთის ტერიტორიის გამოყენების მიმართ.

მეორე, თურქეთმაც, თავის მხრივ, აზერბაიჯანის მხარდასაჭერად სომხეთთან სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება მოახდინა¹².

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთსაც თავისი პრეტენზიები აქვს თურქეთის მიმართ XX საუკუნის დამდეგს „სომეხთა გენოციდის“ აღიარების თაობაზე. ამასთან, სომხების მიერ თურქებთან აზერბაიჯანელების საკმაოდ ხშირი იდენტიფიკაცია ნარმოადგენს იმის მიზეზს, რომ სომხები აზერბაიჯანელებსაც „სომეხთა გენოციდში“ თანამონაწილეებად აღიქვამენ (Hunter, 2000, pp. 30).

სომხეთთან დაკავშირებული ეს შემთხვევა იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მისი, როგორც თურქეთთან აზერბაიჯანის დამაკავშირებელი უმოკლესი გზის შედარებითი უპირატესობის გამოყენებას ხელი შეუშალა ამ ქვეყნებთან ჩამოყალიბებულმა კონფლიქტურმა ურთიერთობამ (მაგალითად, Aras, and Foster, 1999, pp. 236, Diკბას, 2005, Harutyunyan, 2004)¹³.

აქვე მიზანშეწონილია აღვნიშნოთ, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ოფიციალური, კერძოდ, ეკონომიკური ურთიერთობის უქონლობა სულაც არ გამორიცხავს მათ შორის არალეგალური სავაჭრო კავშირის არსებობას (თუმცა შედარებით მცირე მოცულობით), რაც საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით ხორციელდება: აზერბაიჯანის მხარის იმ მოთხოვნის მიუხედავად, რომ არ დაუშვან საქართველოს გავლით საქონლის გადაზიდვა აზერბაიჯანიდან სომხეთში, საქართველოს მხარე, იმ საბაბით, რომ საქართველო და სომხეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან, ამ მოთხოვნას ყოველთვის როდი ასრულებს, რაც აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობაშიც გარკვეულ სიძნელეებს ქმნის (Alkhazashvili, 2006).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში რუსეთმა თავიდანვე სომხეთის მხარე დაიჭირა. აქვე უნდა გავუსვათ ხაზი, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერით რუსეთი საქართველოსაც დაუპირისპირდა¹⁴.

საბოლოო ანგარიშით სომხეთსა და რუსეთს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ამ ქვეყნების სტრატეგიულ პარტნიორობად გაფორმდა. ცენტრალურ კავკასიაში რუსეთის ავანგარდული თავდაცვითი ფუნქციის აღიარებით¹⁵ სომხეთმა კავკასიაში რუსეთის ფორპოსტის სტატუსი შეიძინა, რაც არცთუ სახარბიელოა სუვერენული სახელმწიფოსათვის (მაგალითად, Liloyan, 2004, Cameron, and Domacski, 2005)¹⁶.

აზერბაიჯანიდან დასავლეთისკენ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების მარშრუტიდან სომხეთის გამორიცხვამ დიდად განსაზღვრა საქართველოს მიმართულების გამოყენების მიზანშეწონილობა (მაგალითად, Croissant, 1999), რაც ფაქტობრივად განხორციელდა კიდევ.

გეოპოლიტიკურად საქართველოს საკვანძო ადგილი უკავია ცენტრალურ კავკასიაში, განსაკუთრებით სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტის გათვალისწინებით: საქართველოს რეგიონში „დამაკავშირებელი რგოლის“ ფუნქციის შესრულება უზღდება. გარდა ამისა, სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველომ თავისი სტრატეგიული – პროდასავლური არჩევანი გააკეთა (მაგალითად, Rondeli, 2001).

განეკუთვნება რა მაღალი სისტემური რისკ-ფაქტორების მქონე ქვეყნების რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, კორუფციის მაღალი დონის (Brzezinski, and Bell, 2003) გამო, საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა დაბალია, თუმცა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის პროექტის (მაგალითად, Papava, 2005e) და მასთან დაკავშირებული პროექტების რეალიზაცია ენერგეტიკული სექტორის მიღმა ინვესტიციების გაფართოების ახალ შესაძლებლობებს სახავს (Starr, 2003, p. 87). ეს სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა „ვარდების რევოლუციის“ (მაგალითად, Ascherson, 2004, Baran, 2004b, Fairbanks, 2004, Karumidze, and Wertsch (eds.), 2005, King, 2004, Miller, 2004, Welt 2004) შემდეგ, რადგან გაიზარდა ნდობა ქვეყნისადმი, რომელმაც ოფიციალურად გამოაცხადა პოსტრევოლუციურ გარდაქმნებში დემოკრატიულ ფასეულობათა პრიორიტეტი (მაგალითად, Papava, 2005b).

პრაქტიკულად დასავლეთისკენ კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისა და ამ მიზნით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობის (რუსეთისა და ირანის ტერიტორიების გვერდის ავლით) იდეის გაჩენისთანავე აზერბაიჯანი (მაგალითად, Cornell, and Ismailzade, 2005, Nassibli, 1999), საქართველო (მაგალითად, Croissant, 1999, Papava, 2005e) და თურქეთი (მაგალითად, Aras, and Foster, 1999, Baran, 2005) ფაქტობრივად ერთ „გუნდად“¹⁷ იქცნენ

ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი მხარდაჭერით (მაგალითად, Kalicki, 2001, p. 122, Mahnovski, 2003 pp. 116-117). ეს სავსებით შეესაბამებოდა რეგიონში შეერთებული შტატების ძირითად მიზნებს: ირანის იზოლაცია; რეგიონში რუსეთის მონოპოლიური პოზიციის აღდგენის პრევენცია; ამერიკული კომპანიების მიერ რეგიონში ინვესტირების მხარდაჭერა (მაგალითად, Müller, 2000, p. 189).

2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ამ მიზნებს დამატა ისიც, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს რეგიონის ქვეყნების ისეთ განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ტერორისტული აქტების საშიშროების თავიდან აცილებას, ხელს შეუწყობს ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ნარმატივით დასრულებას (მაგალითად, Gati, and Christiansen, 2003)¹⁸.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევა უმაღლესი პრიორიტეტის რანგში აიყვანა, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შეერთებული შტატების საერთაშორისო ენერგეტიკული პოლიტიკა, კერძოდ კი, კასპიის რეგიონში (მაგალითად, Kalicki, 2001, p. 120). რეგიონში შეერთებული შტატების სტრატეგიის დახასიათება შეიძლება როგორც „მილსადენტა სიმრავლის“ უზრუნველყოფა, რაც არსებულ მილსადენტებზე ახლების დამატებას ნიშნავს (მაგალითად, Pamir, 2000).

და მაინც, რეგიონში შეერთებული შტატების ინტერესები ენერგეტიკული ხასიათის ინტერესებით არ ამოიწურება (მაგალითად, Jaffe, 2001).

ამერიკის შეერთებული შტატების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მხარი დაუჭიროს რეგიონის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს,

რათა დაძლიონ საბჭოთა ეკონომიკის ნიშნები, განავითარონ საბაზრო ეკონომიკა და კერძო სექტორი, მიაღწიონ ეკონომიკური ზრდისათვის ჯანსაღი საფუძველის შექმნას, დაამკვიდრონ უფლებათა ნორმები, გადაჭრან სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები, უზრუნველყონ ენერგეტიკული რესურსების და დატოტვილი საექსპორტო მაგისტრალების ათვისებით სარგებლობის მიღება (Mann, 2003).

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „კასპიის პოლიტიკა“, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში რუსეთის მონოპოლიური პოზიციის აღდგენის პრევენციას, აღიქმება როგორც თავად რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. სინამდვილეში ეს ასე არ არის (მაგალითად, Baran, 2004a) და შეერთებული შტატების ოფიციალური პოზიციის თანახმად კასპიის ენერგეტიკული რესურსები რუსეთთან პოტენციური კოოპერაციის ასპარეზს წარმოადგენს (მაგალითად, Larrabee, 2004, Mann, 2003, pp. 152-153). ამასთან ერთად შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის კოოპერაციის შესაძლებლობა ისეთ სფეროებსაც მოიცავს, როგორცაა რეგიონის სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობა, რელიგიური და პოლიტიკური ექსტრემიზმის და საერთაშორისო ტერორიზმის პრევენცია (Chufrin, 2001).

შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის სწორედ კოოპერაციას და პარტნიორობას, და არა ინტერესთა კონფლიქტს (Naumkin, 2001), შეუძლია ხელი შეუწყოს კასპიის რეგიონის ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაში რაც შეიძლება მეტი დადებითი შედეგების მიღწევას.

კოოპერაციისა და პარტნიორობის პრინციპების რეალიზაციას, რეგიონის ქვეყნებს შორისაც შეუძლია უზრუნველყოს მათი ინტერესების დაცვა; სამწუხაროდ, რეგიონში ამ პრინციპების გაგება

და პრაქტიკული დაცვა ყველაზე მეტად უჭირს რუსეთის მხარეს (მაგალითად, Papava, 1998, Papava, and Gogatadze, 1998). ამავე დროს, ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ტერიტორიებზე ცნობილი ე.წ. „გაყინული კონფლიქტები“ მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ შორის ეკონომიკური (და არა მხოლოდ) თანამშრომლობის შესაძლებლობებს (მაგალითად, Yunusov, 1999), თუმცა ეს სულაც არ გამოორიცხავს ასეთი თანამშრომლობის გზების ძიების შესაძლებლობას (მაგალითად, Champain, 2004, Champain, Klein, and Mirimanova (eds.), 2004).

ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა ევროკავშირის ყურადღება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მიმართ (მაგალითად, Grabbe, 2004, Lynch, 2004b). აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნისა და ევროპაში ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირების პროექტები ყველაზე მეტად შეესაბამება ცენტრალური კავკასიის განვითარების ევროპულ თვალსაზრისს (მაგალითად, Rondeli, 2004b, p. 52). „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის რეალიზაცია განიხილება როგორც ევროპის ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი (მაგალითად, Chase, 2002). უფრო მეტიც, შავი ზღვის რეგიონის ნავთობსადენების სისტემა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ევროკავშირის „ევროპის გაფართოების“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი და ამ თვალსაზრისით ევროპისა და ტრანსატლანტიკური სტრუქტურების პოტენციალური პრეტენდენტების – საქართველოსა და აზერბაიჯანის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია (მაგალითად, Baran, 2004a, p. 120).

კასპიის ენერგეტიკულმა რესურსებმა შეიძლება არა მარტო სარგებლობა მოუტანოს ცენტრალურ კავკასიას, არამედ საფრთხეც შეუქმნას ამ რეგიონის ქვეყნებს, რაც განპირობებულია რუსეთის შიშით, რომ გაიზრდება დასავლეთის გავლენა რეგიონზე, რომელიც,

ვითომდა საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ უსაფრთხოებას და ენი-
ნააღმდეგება მის ინტერესებს (Rondeli, 2002).

მაინც რა ძირითადი ეკონომიკური ინტერესები აქვს რუსეთს
კასპიის ენერგეტიკული რესურსების რეგიონში? ისინი შემდეგ-
ნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ
ხელსაყრელი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარ-
ება; მათ სატრანსპორტო შესაძლებლობათა გამოყენება; ენერგე-
ტიკული რესურსების წარმოებასა და გადაზიდვაში მონაწილეობა
(Naumkin, 2001, p. 122).

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნავთობისა და
გაზის ექსპორტისაგან რუსეთი ქვეყანაში მყარი ვალუტით მიღე-
ბული მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 50 პროცენტს იღებს
(Pamir, 2000, p. 34)¹⁹. ბუნებრივია, რუსეთი არ არის დაინტერესე-
ბული, რომ კასპიის ენერგორესურსებისგან მიღებული სხვა
ქვეყნების შემოსავლები მისი კონტროლის მიღმა დარჩეს.

რუსეთის ექსპერტთა აღიარებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“
ნავთობსადენის მშენებლობა რუსეთის ინტერესებს ენიშნაღმდე-
გება (მაგალითად, Загашвили, 2000). სამართლიანობა მოითხოვს
აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი დასავლელი ექსპერტიც მხარს უჭ-
ერს რუსეთის პოზიციას ნავთობსადენების პროექტებთან დაკავ-
შირებით და გამოიჩინა ანტიამერიკული კრიტიკით (მაგალითად,
Collon, 2000), თუმცა ეს არანაირად არ ასახავს რეალისტურ
შეხედულებას რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, და, მით უმეტეს,
დასავლეთის ოფიციალურ პოზიციას.

რუსეთის პოლიტიკოსებს არ ასვენებთ იმპერიის აღდგენის
იდეა²⁰, მოდერნიზებული სახით მაინც, რამაც ე.წ. „ლიბერალური
იმპერიის“ შექმნის კონცეფციაში პოვა ასახვა (Цыганец, 2003)²¹,
რომლის თანახმადაც რუსეთს ეკონომიკური ექსპანსიის გზით

შეუძლია აღადგინოს და უნდა აღადგინოს კიდევ ეკონომიკური ზეგავლენა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში²³.

„ლიბერალურ იმპერიის“ ჩამოყალიბების პროცესში კავკასიის ჩაბმის გეგმის განხორციელება რუსეთმა რეგიონში თავისი სტრატეგიული პარტნიორით – სომხეთით დაიწყო: 2002 წლის დამლევისათვის დაიდო რუსეთ-სომხეთის შეთანხმება „ქონება ვალის სანაცვლოდ“²⁴. ამ შეთანხმების თანახმად, რუსეთმა სომხეთისაგან მიიღო სანარმოები, რომელთა საერთო ღირებულება საკმარისი აღმოჩნდა რუსეთისადმი სომხეთის 93 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალის სრული დაფარვისათვის. ამ მიმართულებით საქართველოში რუსეთის აქტიურობა, რომელიც ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ დაიწყო, რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა (Papava, and Starr, 2006), რასაც საქართველოს ხელმძღვანელობამაც შეუწყო ხელი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რუსეთის „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში უფრო გაადვილდება ამ იმპერიის სქემაში აზერბაიჯანის ჩართვაც, რადგან მისი ყველა ძირითადი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო არტერია, მათ შორის ძირითადი მილსადენები, საქართველოს ტერიტორიაზე გადის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ რუსეთის მხარე არათუ დაინტერესებული არ არის საქართველოს გავლით სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით და, კერძოდ, მის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მშენებლობით, არამედ ყველა შესაძლო მექანიზმსაც იყენებს ამ პროექტების რეალიზაციისათვის დაბრკოლებების შესაქმნელად (მაგალითად, Rondeli, 2002).

რუსეთის ექსპერტთა გავრცელებული პოზიციის თანახმად, საქართველოში საზოგადოებრივი აზრი თითქოსდა გადაჭარბებით

აფხაზებს საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციაში რუსეთის როლს, რომელიც მიზნად ისახავს შეაჩეროს შავ ზღვასთან და ხმელთაშუა ზღვასთან ბაქოს დამაკავშირებელი ნავთობსადენების მშენებლობა; ამავე დროს ეს ექსპერტები მაინც აღიარებენ იმის დამადასტურებელი ფაქტების არსებობას, რომ რუსეთი ნეგატიურად მოქმედებს საქართველოს მიმართ (Zubarevich, and Fedorov, 1999, pp. 138-139).

ამ კონტექსტით საინტერესოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომლის თანახმადაც რუსეთთან დასაყვანის მომავალ ურთიერთობას ბევრად განსაზღვრავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შედეგები: რას მიაჩნებენ რუსეთი უპირატესობას – საქართველოს სახით განვითარებულ და სტაბილურ მეზობელს, თუ „იმპერიული წარსულის ტუსაღის“ შენარჩუნებას (Baran, 2004b, p. 118). სამწუხაროდ, რუსეთის ზოგიერთი ექსპერტი უპირატესობას როგორც საქართველოს, ისე მთლიანად ცენტრალური კავკასიის მიმართ მეორე ვარიანტს ანიჭებს (Дергеев, 2005).

რუსეთის ექსპერტთა აღიარებით, იმ საკითხში, რომელიც ეხება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბების წინააღმდეგ გამოსვლებს, რუსეთის სტრატეგიული პარტნიორები არიან ირანი და სომხეთი (მაგალითად, Загашвили, 2000, с. 188).

რეგიონში რუსეთისა და ირანის მთელი რიგი ინტერესების დამთხვევას (მაგალითად, Cornell, 2001b, pp. 85-88, Freedman, 1997) და, კონკრეტულად, კასპიის ენერგეტიკულ რესურსებთან (და არა მხოლოდ) დაკავშირებით ხაზს უსვამენ როგორც რუსი (მაგალითად, Малышева, 2000), ასევე ირანელი ექსპერტები (მაგალითად, Maleki, 2003/2004). პრაქტიკულად ისინი ერთსულოვანნი არიან „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის პროექტის ეკონომიკური

(და არა მხოლოდ) მხარის სექტორულად შეფასებაში (მაგალითად, Entessar, 1999, pp. 173-174, Maleki, 2003/2004, p. 56, Загашвили, 2000, сс. 193-194). ამ პოზიციას ზოგიერთი დასავლელი ექსპერტიც იზიარებს (მაგალითად, Sherman, 2000, Stauffer, 2000).

ირანი განსაკუთრებით შენუხებულია იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაყინებითი მოთხოვნით ირანი გამოირიცხა აზერბაიჯანის ენერგეტიკული რესურსების ათვისებისა და ტრანსპორტირების პროექტებიდან (მაგალითად, Entessar, 1999, p. 171, Freedman, 1997, p. 107).

არცთუ უსაფუძვლოდ არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ირანს არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, ვინაიდან კასპიის ენერგეტიკული რესურსების ძირითადი მომხმარებლები უფრო მეტად დაინტერესებული არიან აღმოსავლეთ-დასავლეთის ინფრასტრუქტურით, ვიდრე სპარსეთის ყურის გავლით ნავთობის ტრანსპორტირებით (Müller, 2000, p.192).

ამ თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს მიმართ ირანს რეალური ინტერესი აქვს: საქართველო ირანის ევროპასთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი მონაკვეთია (მაგალითად, Малышева, 2000, с. 67).

ამასთან გაცეხას იწვევს იმგვარი ტიპის მსჯელობა, რომლის თანახმადაც კასპიის აუზის ნავთობი და მთლიანად ენერგეტიკული რესურსები რეგიონის ქვეყნებისათვის პროგრესის საფუძველი უნდა გახდეს და ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა ნავთობსადენების სქემიდან ირანის გამორიცხვის თაობაზე თითქოს ამ პროცესს ამუხრუჭებს (მაგალითად, Mohsenin, 2001, p. 176). ჯერ ერთი, მეტი წილი ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ ნავთობი და სხვა ენერგეტიკული რესურსები ყოველთვის

როდი უზრუნველყოფს მათ პროგრესს (Karl, 1997; Karl, and Gary, 2004), რაც მოკლედ ზემოთაც აღინიშნა; მეორე, დასაბუთებულად ვერ მიიჩნევა, რომ ნავთობსადენის მარშრუტებიდან ირანის გამორიცხვა და მათში ახალი ქვეყნების ჩართვა ხელს უშლის ამ უკანასკნელთა პროგრესს.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ირანი მიესალმება რეგიონულ კოოპერაციას, როგორც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ინსტრუმენტს (მაგალითად, Mohsenin, 2001, p. 174), რასაც თავისთავად პოზიტიური მნიშვნელობა აქვს.

ზემოთ აღინიშნა, რომ საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს, სომხეთისა და ირანის გავლით სატრანსპორტო დერეფნის პროექტის რეალიზაციას, რაც უფრო მასშტაბური პროექტის – „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელ ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ (მაგალითად, Mukhin, and Mesamed, 2004); ამასთან ამ პროექტს თავისი სირთულეებიც აქვს.

„ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანსპორტო დერეფანი ბუნებრივად გულისხმობს რუსეთის მონაწილეობასაც და რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის სატრანსპორტო კავშირის ამოქმედებას²⁵. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება როგორც საქართველოს ფოთის ნავსადგურსა და რუსეთის კავკაზის ნავსადგურს შორის საბორნე მიმოსვლის ამოქმედებას, ისე რუსეთსა და საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის, უფრო ზუსტად კი საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენას: ამ მონაკვეთზე მოძრაობა 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგ შეწყდა.

ამ სარკინიგზო კავშირის განახლება, უწინარეს ყოვლისა, სტრატეგიული პარტნიორების – რუსეთისა და სომხეთის ინტერესებშია

(მაგალითად, Atshemian, 2005, Volkhonsky, 2005)²⁶. საქართველოსთვის – აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მონესრიგებაში რეალური წინსვლა თუ არ მოხდა – ამ პროექტმა შეიძლება რუსეთთან მოლაპარაკებაში იმ მეტ-ნაკლებად ქმედითი მექანიზმის დაკარგვა გამოიწვიოს, რომლის თანახმადაც რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა შეიძლება განხორციელდეს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული რეინტეგრაციის ხელშეწყობის სანაცვლოდ (Katcharava, 2003, 2006)²⁷. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის შესაძლებლობა შექმნის პრეცედენტს, რომელსაც შეიძლება სომხეთისთვის უარყოფითი საერთაშორისო ეფექტი მოჰყვეს მთის ყარაბაღის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის გარეშეც სომხეთის მხარის ინტერესები გათვალისწინებულია ფოთისა და „კავკაზის“ ნავსადგურებს შორის სარკინიგზო საბორნე კავშირით (მაგალითად, Pachkoria, 2005).

ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთის ოფიციალურ წრეებში ირანისაკენ რკინიგზის მშენებლობის რამდენიმე პროექტს განიხილავენ, რომელთა ღირებულება 700 მილიონიდან 1 მილიარდ დოლარამდეა²⁸, მით უმეტეს, რომ ეს პროექტები საქართველოს გავლით რუსეთთან სარკინიგზო კავშირის განახლების შესაძლებლობასთან ერთიან კონტექსტში განიხილება²⁹. ამასთან, არსებობს მოსაზრებანი, რომ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა გააძლიერებს საქართველოსთან დაპირისპირებულ რუსეთი-სომხეთი-ირანის კოალიციას (მაგალითად, Мелия, 2005a, 2005b) და გამოიწვევს რუსეთი-სომხეთი-ირანის ღერძის ფიზიკურ შეპირაპირებას (მაგალითად, Cornell, 1998, pp. 62-64) და რეგიონში შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებას

(მაგალითად, Мартиросян, 2003), რაც რუსეთ-ირანის თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს (მაგალითად, Cornell, 2001b, pp. 86).

თეორიული თვალსაზრისით რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის რკინიგზამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერებას, მაგრამ იმ მზარდი საფრთხის გათვალისწინებით, რომელსაც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, უნინარეს ყოვლისა, ირანი უქმნის, ამკარა პარტნიორობა – რუსეთთან მისი სარკინიგზო კავშირის მიზანშეწონილობა ნამდვილად სათუო ხდება.

ის, რომ სომხეთი და საქართველო ვერ იყენებენ „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ პოტენციალური სატრანსპორტო დერეფნის შედარებით უპირატესობებს, კიდევ ერთხელ მონიშნავს, რომ რეგიონის ქვეყნები ეკონომიკურ დანაკარგებს განიცდიან მთელ კავკასიაში პოლიტიკური სირთულეების გამო.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მომავალი ბევრად არის დამოკიდებული რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგებასთან და ამ ქვეყნების მიმართ კავკასიელი მეზობლების დამოკიდებულებაზე: ისინი სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს უნდა აღიქვამდნენ არა იმდენად თავიანთი გავლენის სფეროების ობიექტებად, რამდენადაც პარტნიორობად რეგიონულ ეკონომიკურ (და არა მხოლოდ) პროექტებში. მაშინ, ცენტრალური (და არა მხოლოდ) კავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობაც კიდევ უფრო გაიზრდება, რის შედეგადაც, რეგიონში ინვესტირებით მსხვილი საერთაშორისო კაპიტალის დაინტერესება მის საგრძნობ ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

შენიშვნები

- ¹ სახელმწიფო მშენებლობის პრობლემა თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან სუსტი და არშემდგარი სახელმწიფოები, როგორც წესი, მსოფლიო მასშტაბის მრავალი საფრთხის წყაროს წარმოადგენს (მაგალითად, შიდა, ნარკობიზნის, ტერორიზმი) (Fukuyama, 2004).
- ² 2006 წლის გაზაფხულზე რუსეთმა საქართველოს ლეინოების იმპორტზე აკრძალვა შემოიღო, ამასთან საბაზად გამოიყენა მათი ფალსიფიკაციის პრობლემა, თუმცა ქართულად ნოდებული ფალსიფიცირებული ლეინო საქართველოს ფარგლებს გარეთ იწარმოება (Anjaparidze, 2006a, Tsereteli, 2006). რუსეთის ბაზრის დახურვის მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა საქართველოს სხვა საქონელიც (Parsons, 2006). თუ ამას დავუმატებთ საქართველოს მოქალაქეებისათვის საეიზო რეჟიმის შემოღებას, მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ყოფნა ეკონომიკურ აზრს კარგავს (Anjaparidze, 2006b, Mackedon, 2006, Socor, 2006).
- ³ ამ მიმართულებით არანაკლებ (თუ არა უმეტესად) მნიშვნელოვანია ნატოსთან ცენტრალური კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობანი (იხ.: Alieva, 2004a, Anderson, 2000, Asmus, and Jackson, 2004, Blandy, 2004, Cornell, 2004, Cornell, McDermott, O'Malley, Socor, and Starr, 2004, Hiscock, 2004, Nuriyev, 2000, Sir Johnson, 2004, Skonieczka, 2004, Кунэ, 2003).
- ⁴ იხ. აგრეთვე *Южный Кавказ – нестабильный регион «замороженных» конфликтов*. Материалы международной конференции по Кавказу Фонда Фридриха Эберта, Берлин, 26-27 ноября 2001 г. Тбилиси, Friedrich Ebert Stiftung, 2002.
- ⁵ დამოუკიდებელი შესწავლის საგანია პრობლემა, თუ რა გავლენას ახდენს ქვეყნის სიდიდე მის ეკონომიკურ განვითარებაზე დემოკრატიზაციის დონის, აგრეთვე პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Alesina, and Spolaore, 2005).
- ⁶ რუსეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მნიშვნელობასა და პარტნიორობის შესაძლებლობათა შესახებ. იხ. მაგალითად (Papava, 1998, Papava, and Gogataдзе, 1998, Аваков, и Лисов (ред.), 2000, сс. 171-207, Барковский (ред.), 2003).
- უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობები ბევრად არის დამოკიდებული რუსეთში (Marshall, 2003) და ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში საინვესტიციო კლიმატის პრინციპულ გაუმჯობესებასა და „გათანაბრებაზე“ (Starr, 2003).
- ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცენტრალური

- კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის მიმართ დასავლეთის სტრატეგიებში რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება (მაგალითად, Larabee, 2004).
- ⁷ უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის სატრანსპორტო კავშირი მთიან ყარაბაღში კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტამდე გამოირიცხებოდა.
- ⁸ კლასტერის თეორიის ფუძემდებელი პუბლიკაციებია: (Porter, 1990, 1998).
- ⁹ კლასტერის სიერცობრივი საზღვრების პრობლემა დამოუკიდებელი შესწავლის საგანია (მაგალითად, Belussi, 2004, Enright, 1996, 2000).
- ¹⁰ კლასტერის ერთიანი თეორიის არსებობის უარყოფა სულაც არ გამოირიცხავს იმ უამრავი თეორიისა და იდეის არსებობას, რომლებიც შუქს აწენს კლასტერის შინაარსსა და ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ლოგიკას (იხ., მაგალითად, Feser, 1998).
- ¹¹ აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ კასპიის ზღვაში აზერბაიჯანის ნავთობის საბადოები – აზერი, ჩიგარი, გონაშლი კვალიფიცირდება როგორც კლასტერი (იხ., მაგალითად, Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) Pipeline Open Yesterday. *Scandinavian Oil-Gas Magazine*, 2005, May 26, http://www.scandoil.com/moxie/news/fd_news/bakutbilisiceyhan-btc-pip.shtml; Townshend Mike. BTC Section – Between Two Seas Progress on the BTC Pipeline Project. *Azerbaijan International*, 2002, No. 10.3, http://www.azer.com/aiweb/categories/magazine/ai103_folder/103_articles/103_btc.html).
- ¹² აღსანიშნავია, რომ სომხეთისა და თურქეთის ურთიერთობაში არსებული პრობლემების მიუხედავად, ამ ქვეყნების ნარმოშადგენლებს შორის ეკონომიკური კონტაქტები მაინც არსებობს (მაგალითად, Soyak, 2004, pp. 59-62). ამასთან ამ ქვეყნებს შორის ნლიური სავაჭრო ბრუნვა 100 მილიონ დოლარს შეადგენს (Hill, and Taspinar, 2006, p. 16).
- ¹³ საჭიროა აღინიშნოს, რომ სომხეთის ეკონომიკურ ინტერესებში შედის აზერბაიჯანთან და თურქეთთან ურთიერთობის თანდათანობითი გაუმჯობესება, ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მონქსრიგების თაობაზე საერთო ენის გამონახვის გზით (მაგალითად, Хачатурян, 2004, сс. 222-227).
- ¹⁴ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი და, შესაბამისად, რუსეთისა და თურქეთის მიერ მათი მხარდაჭერა, აგრეთვე ჩეჩნეთის წინააღმდეგ რუსეთის საომარი მოქმედება არანაირად არ უნდა განვიხილოთ როგორც კავკასიაში ქრისტიანული და მამამადიანური რელიგიების დაპირისპირება (Huntington, 1996): მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა რუსეთმა პრაქტიკულად მართლმადიდებლური ქრისტიანული საქართველოს ტერიტორიის ოკუპირება მოახდინა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ხოლო მამამადიანური ირანი სომხეთ-

აზერბაიჯანის კონფლიქტში მამადიანურ აზერბაიჯანს კი არა, ქრისტიანულ სომხეთს უჭერს მხარს (Cornell, 2001c, pp. 47-51).

კავკასიაში ქრისტიანული და მამადიანური რელიგიების დაპირისპირების კონცეფციას უარყოფს კავკასიაში რუსეთისა და თურქეთის ინტერესების ერთგვარი დაახლოება (Hill, and Taspinar, 2006). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესების ზოგიერთი ზედაპირული დამთხვევა, ჩვენი აზრით, სულაც არ ნიშნავს რუსეთისა და თურქეთის ალიანსის შეტანაკლებად დაჩქარების შესაძლებლობას.

¹⁵ იქიდან გამომდინარე, რომ სომხეთი კავკასიაში რუსეთის ავანგარდულ თავდაცვით ფუნქციას ასრულებს, კეთდება სალი აზრის სრულიად სანინაალმდეგო დასკვნა, თითქოს ეს ზღუდადებს რეგიონში რუსეთის პირდაპირ ყოფნას (Саркисян, 1999). ამ კონტექსტით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, სომხეთი კავკასიაში რუსეთის ამ თავდაცვით ფუნქციას რომ არ ასრულებდეს, რუსეთს რეგიონში პირდაპირი ყოფნის მიზნით საომარ მოქმედებათა დაწყება მოუწევდა.

არანაკლებ აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთი (მაგალითად, Дарбинян, 2004), ისევე როგორც რუსეთი (მაგალითად, Захаров, и Силаев, 2005), არ არის დაინტერესებული საქართველოსა და აზერბაიჯანში ნატოს და შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების შესაძლო განლაგებით. ამასთან, სომხეთში სულაც არ გამორიცხავენ ნატოსთან თანამშრომლობას (მაგალითად, Blandy, 2004, p. 70, Яхьяова, 2005, с. 60). იმის მიუხედავად, რომ რუსეთზე დამოკიდებულების გამო სომხეთი თავს იკავებს ნატოს წევრობისაგან (მაგალითად, Asmus, and Jackson, 2004), ეს მას ხელს არ უშლის ინტენსიურად იმუშაოს ევროპულ ორგანიზაციებში ინტეგრაციის მიმართულებით (მაგალითად, Minasian, 2005).

¹⁶ ამ კონტექსტით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ჩამოყალიბებული აზრის თანახმად, ირანს იმედი აქვს, რომ რუსეთმა შეიძლება დაუთმოს თავისი ფორპოსტი კავკასიაში, და სომხეთი რუსეთის ფორპოსტიდან ირანის ფორპოსტად გარდაიქმნება (მაგალითად, Media Review, U.S. Embassy Yerevan. *Daily Media Reviews*, 2005, December 9. <http://www.usa.am/mediareviews.html?id=9&m=12&y=2005>).

¹⁷ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ერთობლივმა მოქმედებამ ამ ქვეყნებს საშუალება მისცა, ისეთი ეფექტისათვის მიეღწიათ, რომელიც ბევრად აღემატება ამ პროექტის რეალიზაციით მიღებულ უშუალო ეკონომიკურ ეფექტს (Elkind, 2005), რაც, უნინარეს ყოვლისა, ამ ქვეყნებს შორის მრავალ სფეროში თანამშრომლობის საგრძნობ გაფართოებაში მდგომარეობს (Starr, 2005).

¹⁸ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასია 9 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ამერიკის

შეერთებული შტატების საერთაშორისო პოლიტიკის პრიორიტეტებში კატეგორიიდან – „ინტერესებისადმი საფრთხეები, მაგრამ არაპირდაპირი საფრთხე უსაფრთხოებისადმი“ („threats to interests but not an immediate threat to one’s security“) გადავიდა „ინტერესებისა და უსაფრთხოებისათვის პირდაპირი საფრთხეების“ („imminent threats to a country’s security and interests“) კატეგორიაში (Foster, 2004).

¹⁰ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი არანაირად არ არის დაინტერესებული პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებში ნეთობისა და გაზის ექსპორტის შემცირებით (იხ., მაგალითად, Korchemkin, 1996). ამან შეიძლება არა მარტო შეამციროს ენერგეტიკული რესურსების გაყიდვით უშუალოდ მიღებული შემოსავალი, არამედ სერიოზულად შეარყიოს კიდევ ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების დამოკიდებულება რუსეთის კეთილ ნებაზე, მისაღები ფასით ანუდიდეს მათ ამ ენერგეტიკულ რესურსებს.

²⁰ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში იმპერიის აღდგენის იდეა მუდამ (საბჭოთა კავშირის დაშლისთანავეც) განსაკუთრებით აქტუალური რჩებოდა (მაგალითად, Dawisha, 1995. Smith, 2004, pp. 3–4), რაც უმთავრესად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რუსეთის მოქალაქეობის ინსტიტუტის შენარჩუნებაში გამოვლინდა (მაგალითად, Simonia, 1995, p. 22).

პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სწორედ იმპერიის აღდგენის ცდუნება ბევრად განსაზღვრავს რუსეთის ქცევას მთლიანად კასპია-კავკასიის რეგიონში, და ამ რეგიონის ენერგეტიკული რესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების მიმართ (მაგალითად, Shoumikhin, 1999, p. 136–139).

²¹ უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ „ლიბერალური იმპერიის“ იდეა, იური კრუპნოვის სამართლიანი შენიშვნის თანახმად (Krupnov, 2005), რუსეთს სულაც არ ეკუთვნის, და იგი პირველად XIX საუკუნის მეორე ნახევარში წამოაყენეს დიდ ბრიტანეთში (იხ., მაგალითად, Matthew, 1973), შემდეგ განვითარება პოვა XX საუკუნის დამლევს (მაგალითად, Reiff, 1999), და სულ უფრო მკვეთრად იძენს ამერიკულ „ელფერს“ (მაგალითად, Farrell, 2005).

უფრო მეტიც, როგორც ჩანს, უნდა დავეთანხმობთ იმ აზრს, რომ რუსეთის „ლიბერალური იმპერიის“ ვერსიის ჩამოყალიბების დაჩქარებას (Torbakov, 2003) ბიძგი მისცა ავღანეთსა და ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების საომარმა მოქმედებამ, როგორც ამერიკული დემოკრატიული იმპერიის“ ჩამოყალიბების შესაძლებლობამ (Kurtz, 2003).

²² მისი არქიტექტორების ჩანაფიქრით „ლიბერალური იმპერია“ უნდა იქმნებოდეს არა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ძალადობრივი შეიარაღებული ოკუ-

პაციის გზით, არამედ მათ ტერიტორიებზე განლაგებული ძირითადი ეკონომიკური ობიექტების დაუფლების (შეძენისა და აქტივების განვითარების) გზით. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში რუსეთის ინვესტიციების პრაქტიკულად ყოველსმომცველი ანალიზი მოცემულია სტატიაში: (Crane, Peterson, and Oliker, 2005).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რუსეთის „ლიბერალური იმპერიის“ იდეაში მისი შემქმნელები და რეალიზატორები სიტყვა „ლიბერალური“ გულისხმობენ ამ „იმპერიის“ შექმნის არასამხედრო მეთოდებს, და არა თავად „იმპერიის“ ფუნქციონირებას (რასაც საერთოდ არც ეხებიან), რაც პრაქტიკულად არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ პუტინის რუსეთის რეჟიმის არადემოკრატიულ და არალიბერალურ ხასიათს (მაგალითად, Åslund, 2005, Trenin, 2005).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის პოლიტიკაში ერთმანეთთანაა დაკავშირებული „ენერგეტიკული დამოკიდებულება“ და „პოლიტიკური დამოუკიდებლობა“, როცა პირველის გაძლიერებასთან ერთად სუსტდება მეორე (Smith, 2004, pp. 5-8). შემთხვევითი სულაც არ არის, რომ რუსეთისათვის, „ლიბერალური იმპერიის“ ჩამოყალიბებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიზანმიმართულ წინსვლას „ენერგეტიკული იმპერიის“ შექმნის მიმართულებით (Hill, 2004).

²³ უნდა აღინიშნოს, რომ „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის იდეა მრავალი თვალსაზრისით ენათესავება რუსეთის ევრაზიული მისიის იდეას (მაგალითად, Dugin, 2005), რომელსაც რუსეთში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს (მაგალითად, Gloveli, 2000).

²⁴ მაგალითად, *Armenia: Economic Hai-Lights*. 2002, July. <http://www.bisnis.doc.gov/bisnis/bisdoc/020809ARHaiLights.htm>.

²⁵ უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის გავლით რუსეთის სომხეთთან სატრანსპორტო კავშირის ვარიანტი მთიან ყარაბაღში კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრამდე გამორიცხებულია.

²⁶ უფრო მეტიც, რუსეთის მხარე აყენებს საკითხს, რომ რუსეთ-საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი მართვაში სომხეთს გადაეცეს (მაგალითად, *Abkhazskuyu zheleznyu dorogoy predlagается передать в управлении Армении*. *Armianskaia gazeta*, 2004, May 24. http://www.yerkir.am/rus/index.php?sub=news_ართ&day=24&month=05&year=2004&id=6539).

²⁷ ყურადღებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს პოსტრევოლუციურ ხელ-

მძღვანელობას დადებითი პოზიცია აქვს რკინიგზის აფხაზეთის შონაკვეთის აღდგენის მიმართ (მაგალითად, Anjaparidze, 2005); იხ. აგრეთვე Abkhaz Railway Consortium Set up. *Civil Georgia, Tbilisi, May 5, 2006*. <http://www.civil.ge/eng/detail.php?id=12496>.

²⁸ მაგალითად *Армения и Иран обсуждают возможности строительства железной дороги*. *Day.Az: Новости Армении*, 2005, Декабрь 16. <http://www.day.az/news/armenia/37247.html>; *Рассматриваются проекты строительства железной дороги Иран-Армения*. http://scripts.online.ru/money/news/98/07/10_551.htm.

ირანისა და სომხეთის ეკონომიკურ ურთიერთობაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ ქვეყნების დამაკავშირებელი გაზსადენის პროექტი (მაგალითად, Chitchian, 2001, Shahabi, 2001).

²⁹ მაგალითად, *Армения намерена построить новую железную дорогу в Иран*. *webargo.net*, 2005, Сентябрь 28. <http://www.webargo.ru/news.php?id=14896>; *Economic News in Brief. Iran News*, 2005, September 28. http://www.iran.ru/cng/iran_news.php?act=news_by_id&news_id=19667; *Iran, Armenia to Work on Joint Railway project*. *IranMania*, 2005, September 29. <http://www.iranmania.com/News/ArticleView/Default.asp?NewsCode=36090&NewsKind=Current%20Affairs>.

- Act, 1999. *The Silk Road Strategy Act of 1999*. 106th CONGRESS, 1st Session. <http://www.cursianet.org/resource/regional/silkroad.html>.
- Adalian, Rouben Paul, 1995. Armenia's Foreign Policy: Defining Priorities and Coping with Conflict. In: *The Making of Foreign Policy in Russia and The New States of Eurasia*. Ed. by Adeed Dawisha, and Karen Dawisha. The International Politics of Eurasia, Vol. 4. Series Editors Karen Dawisha, and Bruce Parrott. Armonk, M. E. Sharpe, pp. 309-339.
- Adam, Antonis, Theodora S. Kosma, and Jimmy McHugh, 2003. *Trade Liberalization Strategies: What Could South Eastern Europe Learn from CEFTA and BFTA*. <http://www.etsg.org/ETSG2003/papers/adam.pdf>.
- Ahmady, Vahid, 2001. *Azerbaijan: A Common Neighbor for I.R. Iran & Caspian, But Indifferent to Common Interests*. International Institute for Caspian Studies. <http://www.caspianstudies.com/article/Ahmadi-c.htm>.
- Akimer, Shirin, 2000. Emerging Political Order in the New Caspian States: Azerbaijan, Kazakhstan, and Turkmenistan. In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia*. Ed. by Gary K. Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones, and Michael Beck. New York, Routledge, pp. 90-125.
- Alesina, Alberto, 1998. Its the Size of the Market, not the Country that Counts. *Project Syndicate*, December. <http://www.project-syndicate.org/commentary/ale1>.
- Alesina, Alberto, and Enrico Spolaore, 2005. *The Size of Nations*. Cambridge, The MIT Press.
- Aliiev, Rafiq, 1998. 'Caucasian Home': A View from Azerbaijan. In: *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia*. Ed. by Bruno Coppeters, Alexei Zverev and Dmitri Trenin. London, FRANK CASS PUBLISHERS, pp. 99-110.
- Aliieva, Leila, 1995. The Institutions, Orientations, and Conduct of Foreign Policy in Post-Soviet Azerbaijan. In: *The Making of Foreign Policy in Russia and The New States of Eurasia*. Ed. by Adeed Dawisha, and Karen Dawisha. The International Politics of Eurasia, Vol. 4. Series Editors Karen Dawisha, and Bruce Parrott. Armonk, M. E. Sharpe, pp. 286-308.
- Aliieva, Leila, 2004a. Making Cooperation more Visible and more Transparent. In: *The South Caucasus: Promoting Values Through Cooperation*. Seminar Report Series No. 20. Helsinki, 12-15 May 2004. Rome, NATO Defense College, Academic Research Branch, pp. 77-83.
- Aliieva, Leila, 2004b. South Caucasus: Going West. In: *A New Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region*. Ed. by Ronald D. Asmus, Konstantin Dimitrov, and Joerg Forbrig. Washington, The German Marshall Fund of the United States, pp. 65-76.
- Alijarly, Sulciman, 1996. The Republic of Azerbaijan: Notes on the State Borders in the Past and the Present. In: *Transcaucasian Boundaries*. Ed. by John F.R. Wright, Suzanne Goldenberg, and Richard Schofield. New York, St. Martin's Press, pp. 113-133.
- Alkhashashvili, Malkhaz, 2006. Armenia-Azerbaijan: Trade Relations via Georgia. *The Messenger*, January 24, No. 015 (1035), p. 3.
- Allen, W. E. D., 1971. *History of the Georgian People*. New York, Routledge & Kegan Paul.
- Altdstadt, Audrey L., 1992. *The Azerbaijani Turks. Power an Identity under Russian Rule*. Stanford, Hoover Institution Press.
- Anderson, Ewan W., 2000. NATO Expansion and Implications for Southern Tier Stability. In: *Crossroads*

- and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia*. Ed. by Gary K. Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones, and Michael Beck. New York, Routledge, pp. 129-139.
- Anjaparidze, Zaal, 2005. Tbilisi Warm to Idea of Restoring Rail Link to Abkhazia. *Eurasia Daily Monitor*, Vol. 2, No. 118, June 17. http://www.jamestown.org/publications_details.php?volume_id=407&issue_id=3372&article_id=2369906.
- Anjaparidze, Zaal, 2006a. Russia Continues to Press Georgian Wine Industry. *Eurasia Daily Monitor*, Vol. 3, No. 77, April 20. http://www.jamestown.org/edm/article.php?article_id=2371002.
- Anjaparidze, Zaal, 2006b. Saakashvili Convenes Commission on Consequences of Withdrawing from CIS. *Eurasia Daily Monitor*, Vol. 3, No. 97, May 18. http://www.jamestown.org/edm/article.php?article_id=2371095.
- Antoncnko, Oksana, 2005. Frozen Uncertainty: Russia and the Conflict over Abkhazia. In: *Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution*. Ed. by Bruno Coppieters, and Robert Legvold. Cambridge, The MIT Press, pp. 205-269.
- Aras, Bülent, and George Foster, 1999. Turkey: Looking for Light at the End of Caspian Pipeline. In: *Oil and Geopolitics of the Caspian Sea Region*. Ed. by Michael P. Croissant, and Bülent Aras. Westport, Praeger, pp. 229-247.
- Armstrong, Harvey, and Jim Taylor, 2001. *Regional Economics and Policy*. Oxford, Blackwell Publishers.
- Arunova Mariam, and Vladimir Goriunkov, 2004. The Shanghai Cooperation Organization: An Analysis of its Sustainability and Development (On the Outcome of the Meeting of the SCO Council of Heads of Government. Bishkek, September 2004). *Central Asia and The Caucasus*, No. 6, pp. 120-124;
- Azadov, Farda, 2000. Oil Caravans of the 21st Century on the Great Silk Road: What the Future has in Store for Azerbaijan and Kazakhstan. *Central Asia and The Caucasus*, No. 6, pp. 179-185.
- Asatiani, Rozeta, 1998. Issues of Economic Development of the Caucasus. *Caucasica. The Journal of Caucasian Studies*, Vol. 1, pp. 34-42.
- Ascherson, Neal, 2004. After the Revolution. *London Review of Books*, Vol. 26, No. 5, http://lrb.verioyos.co.uk/v26/n05/asch01_.html.
- Åslund, Anders, 1995. *How Russia Became a Market Economy*. Washington, The Brookings Institution.
- Åslund, Anders, 2003. Eventual Success of Market Reform. In: *Russian-Eurasian Renaissance? U.S. Trade and Investment in Russia and Eurasia*. Ed. by, Jan H. Kalicki, and Eugene K. Lawson. Washington, Woodrow Wilson Center Press, pp. 405-428.
- Åslund, Anders, 2005. Putin's Decline and America's Response. *Policy Brief*, No. 41, August. Washington, Carnegie Endowment for International Peace.
